სს „ლიბერთი ბანკი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 21
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 23
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 25
8. კლიენტებზე გაცემული სესხები 26
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 40
10. ძირითადი საშუალებები 43
11. არამატერიალური აქტივები 45
12. იჯარა 45
13. გადასახადები 46
14. სხვა აქტივები, გადახდილი ავანსები და სხვა ვალდებულებები 49
15. საკრედიტო ზარალის ხარჯი და სხვა გაუფასურება და ანარიცხები 51
16. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 52
17. ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ 53
18. სუბორდინირებული ვალი 54
19. საკუთარი კაპიტალი 54
20. პირობითი ვალდებულებები 57
21. წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან 58
22. წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან 58
23. სხვა შემოსავალი 59
24. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 59
25. რისკის მართვა 60
26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები 85
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 92
28. კაპიტალის მართვა 94

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

Building a better working world

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*, აღნიშნული საკითხის ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხის განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხები	**როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	
ვინაიდან მომხმარებლებზე გაცემული სესხები მნიშვნელოვანია ბანკის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ („ფასს 9“) მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა კომპლექსურია და განსჯას საჭიროებს, ეს საკითხი აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნიეთ. დანაკარგების გამო სესხების გაუფასურება გამოითვლება ერთდროულად კოლექტიური დარეზერვების მოდელითა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური სასესხო რეზერვის შექმნით, და აგრეთვე რეგრესული საპროგნოზო შეფასებების საფუძველზე.	ჩვენ გავერკვიეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის პროცესში და შევაფასეთ ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდები. აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ: ► შევაფასეთ საკრედიტო რისკის მოდელები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დარეზერვების ძირითადი პარამეტრების დადგენისა და თითოეული პორტფელისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განსაზღვრისთვის; ► შევაფასეთ ხელმძღვანელობის განსჯა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდის და დეფოლტის შემთხვევის გამოვლენასთან მიმართებით ინდივიდუალურ და კოლექტიურ საფუძველზე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიხედვით;

Building a better working world

კოლექტიური და ინდივიდუალური დარეზერვება დამოკიდებულია მთელ რიგ დაშვებასა და განსჯაზე. მაგალითად:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელ მოდელში გამოყენებული სააღრიცხვო ინტერპრეტაციები და დაშვებები;
- სესხების გადანაწილება პირველ, მეორე და მესამე სტადიებზე ფასს 9-ში წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
- სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის გავლენის შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები;
- დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების განსაზღვრა; და
- ინდივიდუალურად დადგენილი რეზერვების შეფასება, მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით.

რეზერვის დადგენისას გამოყენებული განსჯისა და მოდელირების სხვადასხვა ხერხის გამო, დაშვებებმა და პროგნოზებმა შეიძლება განაპირობოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული რეზერვი.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია შესულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის დართულ მე-8 შენიშვნაში „მომხმარებლებზე გაცემული სესხები“ და 25-ე შენიშვნაში „რისკის მართვა“.

შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული კრიტერიუმების გამოყენების თანმიმდევრულობა საანგარიშგებო თარიღისთვის; გავტესტეთ სესხების განაწილება შესაბამის გაუფასურების სტადიებზე ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიაში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

- ინდივიდუალურად შეფასებული სესხების შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ბანკისთვის შევაფასეთ საფუძველი, რომლითაც განისაზღვრა რეზერვი და მტკიცებულება, რასაც ეყრდნობა ხელმძღვანელობის ანალიზი, შევამოწმეთ ძირითადი დაშვებები და ამოსავალი მონაცემები მართებული იყო თუ არა მსესხებლის გარემოებებისთვის და გადავიანგარიშეთ გაუფასურების ზარალი. ჩვენ შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ საკრედიტო რისკით გაუფასურებული კორპორაციული კრედიტები და საფუძვლიანად შევამოწმეთ სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ დაშვებები, უზრუნველყოფის საგნების ღირებულებისა და მოსალოდნელი შედეგების დადგომის ალბათობების ჩათვლით.
- კოლექტიურად შეფასებული რეზერვის შესამოწმებლად შევაფასეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელები, მთავარი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები და ასევე შევაფასეთ საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებაში.

შევაფასეთ მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბანკის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ბანკის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს, ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი, და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Building a better working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ბანკში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ბანკის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

აუდიტის კომიტეტს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

აუდიტის კომიტეტისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 25 მაისი

თბილისი, საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2022*	*2021*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	450,324	641,617
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	105,341	87,656
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	8	2,426,423	1,879,721
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	369,481	239,654
ძირითადი საშუალებები	10	152,074	148,071
არამატერიალური აქტივები	11	57,159	55,893
აქტივის გამოყენების უფლება	12	30,141	32,964
გადახდილი ავანსები	14	6,310	4,689
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		1,982	3,552
სხვა აქტივები	14	40,372	17,894
სულ აქტივები		**3,639,607**	**3,111,711**
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	16	327,279	349,727
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	17	2,689,673	2,233,668
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები		5,250	–
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	19,565	835
საიჯარო ვალდებულებები	12	28,741	35,897
სხვა ვალდებულებები	14	56,630	30,126
სუბორდინირებული ვალი	18	98,774	112,460
სულ ვალდებულებები		**3,225,912**	**2,762,713**
საკუთარი კაპიტალი	19		
სააქციო კაპიტალი		54,629	54,629
დამატებით შეტანილი კაპიტალი		36,851	36,851
გამოსყიდული აქციები		(10,138)	(10,138)
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები		4,565	4,565
გაუნაწილებელი მოგება		303,834	240,950
სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		1,526	–
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		22,428	22,141
სულ საკუთარი კაპიტალი		**413,695**	**348,998**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**3,639,607**	**3,111,711**

ბანკის წესდების 9.8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტი ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია ბანკის დირექტორთა საბჭოს სახელით შემდეგი დირექტორების მიერ:

ბექა გოგიჩაიშვილი — გენერალური დირექტორი

ვახტანგ ბაბუნაშვილი — ფინანსური დირექტორი

25 მაისი, 2023 წ.

5-96 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2022*	*2021*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		406,625	339,945
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		22,866	22,807
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		12,160	5,785
		441,651	**368,537**
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		(164,448)	(120,496)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(16,546)	(16,341)
საიჯარო ვალდებულებები		(1,471)	(1,841)
სუბორდინირებული ვალი		(9,177)	(10,439)
		(191,642)	**(149,117)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**250,009**	**219,420**
საკრედიტო ზარალის ხარჯი	15	(25,940)	(34,216)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდგომ		**224,069**	**185,204**
წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან:	21	**28,920**	**20,221**
- შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან		47,669	34,735
- საკომისიო ხარჯი		(18,749)	(14,514)
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:			
- სავალუტო ოპერაციების და წარმოებული ინსტრუმენტების გადაფასება	22	8,921	2,544
- საკურსო სხვაობები	22	(2,623)	(3,951)
შემოსულობა პორტფელის შეძენიდან	8	17,084	–
სხვა შემოსავალი	23	2,185	9,354
არასაპროცენტო შემოსავალი		**54,487**	**28,168**
პერსონალზე გაწეული ხარჯი	24	(100,380)	(81,216)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	24	(45,110)	(41,901)
ცვეთა და ამორტიზაცია	10, 11, 12	(34,532)	(34,252)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(11,982)	(9,893)
სხვა გაუფასურება და რეზერვები	15	(959)	(509)
არასაპროცენტო ხარჯი		**(192,963)**	**(167,771)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**85,593**	**45,601**
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(22,431)	(3,106)
წლის მოგება/(ზარალი)		**63,162**	**42,495**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად არ რეკლასიფიცირდება			
შენობების გადაფასება		2,334	–
გადავადებული საგადასახადო ეფექტი		(1,549)	–
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად არ რეკლასიფიცირდება		***785***	**–**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირდება			
მოძრაობა სამართლიანი ღირებულების რეზერვში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		1,526	**–**
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირდება		**1,526**	**–**
წლის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გათვალისწინებით		**2,311**	**–**
წლის სრული შემოსავალი, გადასახადის გათვალისწინებით		**65,473**	**42,495**
შემოსავალი აქციაზე:	19		
საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (₾-ში მთლიანი თანხა)		0.014	0.00926
განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე (₾-ში მთლიანი თანხა)		0.014	0.00926

5-96 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	ბანკის აქციონერებისთვის მიკუთვნებადი							
	სააქციო კაპიტალი	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*გამოსყიდული აქციები*	*კონვერ-ტირებადი პრივილ-ეგირებული აქციები*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდე-ბისთვის სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით*	*ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი*	*სულ*
31 დეკემბერი, 2020 წ.	**54,629**	**36,851**	**(10,138)**	**4,565**	**198,770**	–	**22,602**	**307,279**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	–	–	42,495	–	–	**42,495**
გადაფასების რეზერვის ცვლა *(მე-19 შენიშვნა)*	–	–	–	–	461	–	(461)	**–**
კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები *(19 შენიშვნა)*	–	–	–	–	(776)	–	–	**(776)**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**54,629**	**36,851**	**(10,138)**	**4,565**	**240,950**	–	**22,141**	**348,998**
წმინდა მოგება	–	–	–	–	63,162	–	–	**63,162**
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	–	–	1,526	785	**2,311**
წლის სრული შემოსავალი	**–**	**–**	**–**	**–**	**63,162**	**1,526**	**785**	**65,473**
გადაფასების რეზერვის ცვლა *(მე-19 შენიშვნა)*	–	–	–	–	498	–	(498)	–
კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი დივიდენდები *(19 შენიშვნა)*	–	–	–	–	(776)	–	–	**(776)**
31 დეკემბერი, 2022 წ.	**54,629**	**36,851**	**(10,138)**	**4,565**	**303,834**	**1,526**	**22,428**	**413,695**

5-96 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	*2022*	*2021*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		383,911	354,805
გადახდილი პროცენტი		(178,945)	(149,981)
მიღებული საკომისიო		47,521	34,692
გადახდილი საკომისიო		(18,748)	(14,515)
წმინდა რეალიზებული(ზარალი)/შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან		31,895	3,823
მიღებული სხვა შემოსავალი		3,572	897
პერსონალზე გაწეული ხარჯების გადახდა		(105,180)	(82,711)
იჯარაზე გადახდილი პროცენტი		(1,471)	(1,841)
ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები		(56,937)	(55,271)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**105,618**	**89,898**
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(30,203)	107,344
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(283,771)	(336,573)
ავანსები და სხვა აქტივები		(28,555)	–
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(5,459)	37,432
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ		241,447	100,080
სხვა ვალდებულებები		9,679	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**8,756**	**(1,819)**
მოგების გადახდილი გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**8,756**	**(1,819)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(209,408)	(20,650)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		83,346	52,940
არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების შეძენა		(21,975)	(12,077)
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		1,144	14
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(146,893)**	**20,227**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	12	(7,087)	(7,289)
სუბორდინირებული სესხის გაცემა	18	–	7,504
სუბორდინირებული ვალის დაფარვა	18	–	(2,610)
კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები	19	(776)	(776)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(7,863)**	**(3,171)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(45,266)	(5,740)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(27)	18
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(191,293)**	**9,515**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	6	641,617	632,102
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6	**450,324**	**641,617**

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები 2022 წელს უკავშირდებოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელის შეძენას (მე-4 შენიშვნა).

5-96 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „ლიბერთი ბანკი“ (შემდგომში - „ბანკი“) არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე 1993 წელს ჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - „სებ“) მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული #3500/10 ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304).

„ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი.“, ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანია, არის ბანკის მშობელი საწარმო და ფლობს მის 74.38%-იან სააქციო წილს. ბანკის საბოლოო ბენეფიციალური მფლობელები არიან ბატონი ირაკლი რუხაძე, ბატონი ბენ მარსონი და ბატონი იგორ ალექსეევი.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის საცალო და კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. მისი სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში, და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჰქონდა 471 ფილიალი, სერვისცენტრი, სადისტრიბუციო ცენტრი და მობილური სერვისცენტრი (2021 წლის 31 დეკემბერი: 459). ბანკის იურიდიული მისამართია ლიბერთი თაუერი, საქართველო, 0162 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის პირდაპირი აქციონერები იყვნენ:

	2022		*2021*	
აქციონერი	*საკუთრების წილი, %*	*ხმის უფლება, %*	*საკუთრების წილი, %*	*ხმის უფლება, %*
ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ	74.38%	91.99%	74.38%	91.18%
ლიბერთი ბანკი (გამოსყიდული აქციები)	18.42%	–	18.43%	–
სს „Heritage Securities“ (ნომინალური მფლობელი)	1.18%	–	1.29%	–
სხვა აქციონერები (რომელთაგან თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს)	6.02%	8.01%	5.90%	8.82%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

ბანკი წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიას და მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერების მიერ. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს, რომლებსაც 2022 და 2021 წლებში შეზღუდული ოპერაციები ჰქონდათ.

			ბანკის საკუთრების წილი			
სახელწოდება	*ურთიერ-თობის ტიპი*	*რეგისტრაცი-ის ქვეყანა*	*31 დეკემბერი, 2022 წ.*	*31 დეკემბერი, 2021 წ.*	*დაფუძნების თარიღი*	*საქმიანობა*
შპს „Bus Stop“	შვილობი-ლი საწარმო	საქართველო	100.00%	100.00%	27 აგვისტო, 2009 წ.	გარე სარეკლამო მომსახურება
სს „სმარტექსი”*	მეკავშირე საწარმო	საქართველო	21.47%	21.47%	5 იანვარი, 2009 წ.	ადრეულ ეტაპზე განხორციელებული ინვესტიციები სარისკო კაპიტალში

* *ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია წილობრივი მეთოდით.*

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს”) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების იმ ნაწილია, რომელიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, წარმოებული ინსტრუმენტებისა, საინვესტიციო ქონებისა და შენობებისა, ქვემოთ წარმოდგენილი ფინანსური სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („₾“), თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. 2023 წლის 23 მაისს ჯგუფმა გამოსცა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, რომელიც ფასს სტანდარტების შესაბამისად იყო მომზადებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბანკმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

სტანდარტებში შესული, ქვემოთ მოცემული, ცვლილებების პირველად გამოყენება მოხდა მოხდა 2022 წელს, რის შედეგადაც სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით შენიშვნებში შესაბამისი ცვლილებები აისახა.

- „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში
- ძირითადი საშუალებები: „შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე“ – ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში
- „წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში
- ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები
- ბასს (IAS) 41 – „სოფლის მეურნეობა“ – გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ბანკი ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები იანგარიშება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ბანკის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ბანკის წილი აისახება მოგებაში ან ზარალში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ბანკის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ბანკი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ბანკსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ბანკის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ ოპერაცია არ ამტკიცებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აღრიცხულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და არაფინანსურ აქტივებს, მაგ. საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

საწყისი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით
- სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბანკი თავისი წარმოებული ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, ან როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან ამორტიზებული ღირებულებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი შესაბამისი ბიზნესმოდელი.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

ბანკი მხოლოდ მაშინ აფასებს ამორტიზებული ღირებულებით მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ.

ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი თავის ბიზნესმოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესოდ ასახავს, როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს თავისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ბანკის ბიზნესმოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიულ ფაქტორებს, როგორიც არის:

- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ.
- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბიზნესმოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, „ყველაზე ცუდი“ და „სტრესული შემთხვევის“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ საწყისი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადების რეალიზაცია ბანკის თავდაპირველი მოლოდინისგან განსხვავებულად ხდება, ბანკი ამ ბიზნესმოდელის დანარჩენი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას კი არ ცვლის, არამედ ამ ინფორმაციას ითვალისწინებს მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე სტადიის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ბანკი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება საწყისი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ მოხდა ძირითადი თანხის დაფარვა ან პრემიის/დისკონტის ამორტიზაცია).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ბანკი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორიც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს რისკის მინიმუმზე მეტ მოცულობას ან იმ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მერყეობა, რომლებიც არ უკავშირდება სესხის დაფარვის ძირითად პირობებს, არ წარმოშობს ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და აუთვისებელი საკრედიტო ხაზი

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებს და სასესხო ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკის ვალდებულება თითოეული გარანტიის მიხედვით ფასდება ან თავდაპირველად აღიარებული თანხით, რომელსაც აკლდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული დაგროვილი ამორტიზაცია, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო მეტია.

ამოუღებელი სასესხო ვალდებულება და აკრედიტივები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლის ფარგლებშიც, ვალდებულების არსებობის პერიოდში, ბანკი ვალდებულია მომხმარებელზე გასცეს სესხი წინასწარ განსაზღვრული პირობებით. ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების მსგავსად, ამ ხელშეკრულებებზეც ვრცელდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნები.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ვალდებულების შესრულების გარანტია

ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შესრულების გარანტიით საკრედიტო რისკი არ გადაიცემა. ვალდებულების შესრულების გარანტიის ხელშეკრულებების მიხედვით, რისკი არის იმის ალბათობა, რომ მეორე მხარე ვერ შესრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების გარანტიები არ ჩაითვლება ფინანსურ ინსტრუმენტებად და, ამრიგად, არ ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ჩვეულებრივი საქმიანობისას ბანკი სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებს ავანსებსა თუ დეპოზიტებს სხვა ბანკებში. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების თანხა აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ახორციელებს სხვადასხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით ოპერაციებს, მათ შორის ფორვარდებს და სვოპებს სავალუტო და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები ფლობილია სავაჭროდ და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან ან როგორც წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები ვალდებულებების სახით მაშინ კლასიფიცირდება, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებების, მეანაბრეების წინაშე და სუბორდინირებულ ვალს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ეს არ ეხება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებს და დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები მთლიანად წარმოდგენილია ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

რესტრუქტურიზებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურიზაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ბანკმა შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორიც არის მომხმარებლებზე გაცემული სესხი, პირობების განმეორებით შეთანხმებისას როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- სესხის ვალუტის ცვლილება;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- ხომ არ იწვევს მოდიფიცირება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ მოდიფიცირება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ბანკი აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო ამონაგებში, თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ბანკის პოლიტიკის თანახმად, პროდუქტების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა ექვემდებარება რესტრუქტურიზაციას. ყველა რესტრუქტურიზებული სესხი კლასიფიცირებულია მეორე სტადიის სესხებად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად მათზე ვრცელდება აქტივის არსებობის მთელ მანძილზე დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლები. ბანკის პოლიტიკის თანახმად, იგი ფინანსურ ინსტრუმენტს განიხილავს „გამოჯანსაღებულად“ და, შესაბამისად, მე-2 სტადიიდან რეკლასიფიცირებულად, როდესაც არსებობს მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული თვის გადახდები.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკმა (ა) ან გადასცა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) ან არც გადასცა და არც შეინარჩუნა აქტივზე არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ მან გადასცა აქტივის კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, აქტივის აღიარება ხდება შენარჩუნებული მონაწილეობის პირობით. შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელიც იძენს გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ ანაზღაურების მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შეიძლება ბანკს მოეთხოვოს.

ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ან ნაწილობრივ, ან მთლიანად მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი შეწყვეტს მათი ამოღების მცდელობას.თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მოკლევადიანი ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

i. ბანკი, როგორც მოიჯარე

ბანკი იყენებს აღიარების და შეფასების ერთ მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ბანკი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ გადაიხადოს საიჯარო გადახდები და აქტივის გამოყენების უფლებები, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება

ბანკი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები. თუ ბანკს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ბანკი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულს მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლადი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებით, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები ასევე შეიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ბანკი მას გამოიყენებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს ბანკის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება საიჯარო გადახდების შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიცირება ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები

თანხა, რომელიც ბანკმა აღიარა, როგორც მოკლევადიანი იჯარის ხარჯი სრულ შემოსავალში, არის 2,080 ლარი (2021 წ.: 1,933 ლარი (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის ოფციონს). მოკლევადიან იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით, იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

განახლების ოფციონის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა განსჯის საფუძველზე

ბანკი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის აღსრულების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლებსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი აღსრულება არ მოხდება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

ბანკს, ზოგიერთი იჯარის მიხედვით, უფლება აქვს, იჯარით გადასცეს თავისი აქტივები დამატებითი პირობებით სამიდან ხუთ წლამდე ვადით. ბანკი განსჯაზე დაყრდნობით აფასებს საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იჯარის განახლების ოფციონს აღასრულებს. ანუ, იგი ითვალისწინებს ყველა რელევანტურ ფაქტორს, რომლებიც მისთვის ქმნიან განახლების ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ ბანკი ხელახლა განსაზღვრავს იჯარის ვადას, თუ ხდება მნიშვნელოვანი მოვლენა, ან გარემოებების ცვლილება, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს მის უნარზე, აღასრულოს (ან არ აღასრულოს) ოფციონი (მაგ. ცვლილება ბიზნეს სტრატეგიაში).

ii. საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც ბანკი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

გადასახადით დაბეგვრა

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ის წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის ხარჯების ჯამს.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო თანხებს შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის საწყისი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის გაუქმების დრო და ახლო მომავალში მათი გაუქმება არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, შენობების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო თანხების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო თანხის აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

თვითღირებულებით საწყისი აღიარების შემდგომ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმ სიხშირით, რაც საკმარისია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგებაში ან ზარალში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი წლიური განაკვეთებით:

მიწა და შენობა-ნაგებობები	2%-5%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-20%
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	15%-25%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-25%
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10%-25%

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

მიწა სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება და ცვეთა არ ერიცხება. საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

მესამე მხარეებისგან მიღებული კომპენსაცია ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებისთვის, რომლებიც გაუფასურდა, დაიკარგა ან გადაცემულ იქნა, შედის სხვა შემოსავალში, როდესაც კომპენსაციის ვალდებულებას მესამე მხარე აღიარებს.

საინვესტიციო ქონება

ბანკი გარკვეულ ქონებას ფლობს საინვესტიციო ქონების სახით, საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის ან ორივე მიზნით, და მათი გამოყენება ან ფლობა არ ხდება ჩვეული საქმიანობის პროცესში გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება სხვა შემოსავლის ან სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლებს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ვადით ფასდება. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 1-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

შიდა რესურსებით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და შესაბამისი ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯები

კვლევის დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯები ინიდივიდუალურ პროექტზე აღიარდება, როგორც არამატერიალური აქტივი, როდესაც ბანკს შეუძლია აჩვენოს:

- რომ ტექნიკურად განხორციელებადია არამატერიალური აქტივის დასრულება ისე, რომ მისი გამოყენება ან გაყიდვა გახდეს შესაძლებელი;
- აქტივის დასრულების განზრახვა და გამოყენების ან მისი გაყიდვის შესაძლებლობა და სურვილი;
- როგორ წარმოქმნის აქტივი მომავალ ეკონომიკურ სარგებელს;
- აქტივის დასრულებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- შემუშავების განმავლობაში გაწეული დანახარჯების სარწმუნოდ შეფასების უნარი.

აქტივის შექმნის ხარჯის საწყისი აღიარების შემდეგ აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. აქტივის ამორტიზაცია იწყება მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის შექმნა და აქტივი გამოყენებისთვის მზად არის. აქტივის ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი მომავალი სარგებლის მიღების პერიოდის განმავლობაში. ამორტიზაცია აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები

ბანკს არა აქვს ცალკე საპენსიო სქემა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემის გარდა. ბანკს ასევე არა აქვს გათვალისწინებული საპენსიო შეღავათები.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი და დამატებით შეტანილი კაპიტალი

ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

გამოსყიდული აქციები

როდესაც ბანკი შეიძენს ბანკის აქციებს, გადახდილი საფასური და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი საკუთარი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. შემდგომში ასეთი აქციების გაყიდვის ან ხელახლა გამოშვების შემთხვევაში ხდება მიღებული საფასურის ჩართვა საკუთარ კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია ამონაგების სათანადო სიზუსტით შეფასება. ამონაგების აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი ამონაგები და ხარჯი

ბანკი გამოითვლის საპროცენტო ამონაგებს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის ოფციონს) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტოს საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ყველა ფინანსური აქტივიდან მიღებული საპროცენტო ამონაგები სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით აღირიცხება „სხვა საპროცენტო შემოსავალში“ ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. საკომისიო საზღაური შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საზღაური

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისთანავე. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა დამატებით დანახარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი

ანგარიშსწორების, ფულადი გზავნილების, ქვითრების გადახდების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია აღირიცხება, როგორც ცალკე შესასრულებელი სახელშეკრულებო მოვალეობა.

საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი

მოლაპარაკებების წარმოებისთვის ან მესამე მხარისთვის გარიგების თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის – მაგალითად, როდესაც ბანკის სახელშეკრულებო ვალდებულება არის აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან ბიზნესების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები) მიღებული გასამრჯელო აისახება ამ გარიგების დასრულებისთანავე. საკომისიო და საკომისიოს ის კომპონენტები, რომლებიც უკავშირდება გარკვეულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, საზღაურისა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებული კუმულაციური ამონაგების თანხის მნიშვნელოვანი გაუქმება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ გაირკვევა ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი დივიდენდის სახით

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკმა შემდეგი გაცვლითი კურსი გამოიყენა:

	2022	*2021*
₾ / 1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
₾ / 1 ევრო	2.8844	3.5040

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ბანკის ფინანსური მდგომარეობისთვის.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ბანკი იყენებს კომპლექსურ მოდელებს, რომლებიც ეყრდნობა რამდენიმე დაშვებას ცვლადი მონაცემების არჩევასთან და მათ ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ბანკის კრედიტის გაცემის შიდა მოდელი, რომელიც დეფოლტების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ ქულებს ანიჭებს;
- ბანკის კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით და ხარისხობრივად;
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;
- კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ მონაცემებს შორის, როგორიცაა უმუშევრობის დონეები და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებები, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე;
- საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში გამოყენების მიზნით.

ბანკი პერიოდულად ამოწმებს თავის სასესხო პორტფელს, რათა შეაფასოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა, ჩაატაროს გაუფასურების შემოწმება და განსაზღვროს გაუფასურების ზარალის ოდენობა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და მსგავს მსესხებლებთან მიმართებაში ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება. ანალოგიურად, ბანკი სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს იმ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რომლებიც მიუთითებენ, რომ მსესხებლების გადახდის სტატუსი გაუარესდა. ხელმძღვანელობა ალბათობებს განსაზღვრავს მსესხებლებთან ურთიერთობის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რა დროსაც ითვალისწინებს დეფოლტის შემთხვევების მსგავსებასა და დეფოლტის შემთხვევაში მიღებულ დანაკარგებს. ბანკი თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით აკორექტირებს ერთგვაროვანი სესხების ჯგუფის ემპირიულ მონაცემებს, რათა ასახოს არსებული ვითარება და საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები (მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაწვრილებით აღწერილია მე-8 შენიშვნაში).

საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონება და შენობები სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეფასების დღეს შეიძლება აქტივი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

ბანკის შენობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2022 წლის 31 დეკემბერი იყო *(მე-10 შენიშვნა).*

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების და შენობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შემოსავლის მეთოდის გამოყენებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდზე დაყრდნობით. აღნიშნული ითვალისწინებს ნებისმიერი მიმდინარე იჯარის ხელშეკრულების და სხვა ხელშეკრულებების პირობებს და როდესაც ეს ხელმისაწვდომია, ისეთ მტკიცებულებებს, როგორებიცაა ანალოგიური ძირითადი საშუალებების იჯარის მიმდინარე საბაზრო ფასი, შედარებადი ადგილმდებარეობა და პირობები. გამოიყენება დისკონტირების განაკვეთები, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების მოცულობისა და პერიოდულობის გაურკვევლობის საბაზრო შეფასებებს.

ზემოაღნიშნული შეფასებები ექვემდებარება შემდგომ ცვლილებას ახალი გარიგებების შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ახალი საბაზრო მონაცემების საფუძველზე.

სესხების და დეპოზიტების პორტფელის შეძენა ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან

ბანკმა „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ შეიძინა მომხმარებელთა სესხების, მომხმარებელთა დეპოზიტების და გარანტიების პორტფელი 2022 წლის მარტში. „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ გაასხვისა თავისი აქტივებისა და ვალდებულებების დიდი ნაწილი, რადგან ვერ შეძლო საქართველოში საქმიანობის გაგრძელება მის მაკონტროლებელ მხარეებზე აშშ-ის, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების გამო. ამ ოპერაციის მიზანი ბანკისთვის იყო ბიზნესის პორტფელის გაზრდა შეძენის გზით.

ბანკმა გააანალიზა ეს ოპერაცია აქტივებისა და ვალდებულებების შეძენას წარმოადგენდა თუ საწარმოთა გაერთიანებას. ბანკმა განსაჯა, რომ შეძენილი აქტივები და ვალდებულებები არ აკმაყოფილებდა საწარმოს განმარტებას ფასს 3-ის მიხედვით – *„საწარმოთა გაერთიანება“.*

ამ განსჯას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოპერაციის აღრიცხვაზე.

ოპერაცია მოიცავდა ბანკის მიერ ფინანსური აქტივების მიღებას და ფინანსური ვალდებულებების აღებას. ბანკმა ყველა ფინანსური ინსტრუმენტი აღიარა სამართლიანი ღირებულებით აღიარების თარიღისთვის. ვინაიდან აქტივების სამართლიანი ღირებულება აღემატებოდა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას, ბანკმა ოპერაციიდან აღიარა 17,084 ლარის პირველი დღის მოგება. საწყისი აღიარების შემდეგ, შეძენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, მათი კლასიფიკაციის საფუძველზე.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა აფასებს მთლიან ბანკს, როგორც ერთი საოპერაციო სეგმენტს, საბანკო ბიზნესს. სეგმენტის საქმიანობის შედეგები ფასდება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მოგების ან ზარალის საფუძველზე.

ჯგუფი საქმიანობას ეწევა ერთ გეოგრაფიულ ბაზარზე - საქართველოში. ვინაიდან ბანკის აქტივები განთავსებულია ერთ გეოგრაფიულ ერთეულში, ბანკის გარე შემოსავალი, მთლიანი აქტივები და კაპიტალის დანახარჯებიც ამავე ერთეულშია განთავსებული. ბანკს არ მიუღია შემოსავალი რომელიმე გარე მომხმარებლისგან, რომელიც შეადგენდა ბანკის ამონაგების 10%-ზე მეტს.

(ათას ლარში)

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2022	*2021*
ნაღდი ფული	267,685	261,951
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	122,357	33,798
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	60,309	39,133
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	–	306,735
	450,351	**641,617**
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(27)	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**450,324**	**641,617**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ₾ 28,511 (2021 წლის 31 დეკემბერი: ₾ 24,943) იყო განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე ეთგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ბანკებში, რომლებიც კონტრაჰენტებად გამოდიან ბანკის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში.

სხვა საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების საკრედიტო რეიტინგი ასეთია:

	2022	*2021*
პასუხი	14,261	–
A-	14,250	–
BBB+	–	24,908
BBB-	–	1,442
BB-	75,708	3,689
B+	10	402
B	2,819	3,123
B-	17	–
რეიტინგის გარეშე	15,292	234
სულ	**122,357**	**33,798**

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგი:

	2022	*2021*
BB-	–	306,735
სულ	–	**306,735**

ცხრილებში მოცემულია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული რეიტინგები. ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი პირველ სტადიას მიეკუთვნება.

(ათას ლარში)

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	2022	*2021*
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	73,138	71,062
განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები	31,478	15,921
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	905	837
	105,521	**87,820**
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(180)	(164)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**105,341**	**87,656**

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. სებ-ის რეგულაციების მიხედვით, ბანკს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება. 2021 წელს სავალდებულო რეზერვის პროცენტულობა, რომელიც ბანკის ვალდებულებების გარკვეულ კატეგორიებზე ვრცელდებოდა, შემცირდა, რის შედეგადაც შემცირდა შესაბამისი სავალდებულო რეზერვის აქტივის ოდენობა. ბანკს ევალება სებ-ში სავალდებულო პროცენტიანი დეპოზიტის გახსნა კლიენტებისგან და არარეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 5%-25%-ის ოდენობით (2021 წ.: 5%-25%).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ₾ 31,478 (2021 წლის 31 დეკემბერი: ₾ 15,921) იყო განთავსებული საგარანტიო დეპოზიტის სახით სვოპ გარიგებების დასაფინანსებლად გაფორმებული სვოპ დილერთა საერთაშორისო ასოციაციის (ISDA) ჩარჩო ხელშეკრულების „კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ დანართით“ განსაზღვრული ვარიაციული და საიმედოობის მარჟებისთვის. ვარიაციული მარჟა დროდადრო იცვლება ფორვარდულ კონტრაქტებში საბაზრო კოტირებების მიხედვით გადაფასებისას. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია *მე-14 შენიშვნაში.* ბანკის სვოპ შეთანხმებებით გათვალისწინებული აქტივები და ვალდებულებები შეიძლება უზრუნველყოფის საგანთან გაიქვითოს გარკვეულ გარემოებებში შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულების ურთიერთგადაფარვის პირობების თანახმად. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოებული აქტივები და შესაბამისი გადახდილი უზრუნველყოფა არ აკმაყოფილებდა გაქვითვის კრიტერიუმებს ბასს 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“ მიხედვით.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაში და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი ასე გამოიყურება:

	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**87,820**	**(164)**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	77,774	(129)
დაფარული აქტივები	(47,858)	89
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(12,215)	24
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**105,521**	**(180)**

(ათას ლარში)

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (გაგრძელება)

	საერთო საბალანსო ღირებულება	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**203,788**	**(634)**
წარმოქმნილი ახალი აქტივები	59,906	**(111)**
დაფარული აქტივები	(168,613)	**524**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(7,261)	**57**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**87,820**	**(164)**

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ყველა ნაშთი პირველ სტადიას მიეკუთვნება.

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2022	*2021*
კომერციული სესხები	859,683	576,361
სამომხმარებლო სესხები	615,760	487,031
კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით*	365,010	397,350
მიკროსესხები	318,945	261,470
იპოთეკური სესხები	207,177	166,105
სალომბარდო სესხები	175,002	142,313
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები ამორტიზებული ღირებულებით	**2,541,577**	**2,030,630**
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(115,154)	(150,909)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	**2,426,423**	**1,879,721**

* *კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით, მოიცავს საპენსიო სესხებს, ოვერდრაფტებს, სახელფასო სესხებს.*

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ₾ 72,623-ის (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ₾ 77,248) მომხმარებელთა სესხები იყო დაგირავებული საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად.

სესხების და დეპოზიტების პორტფელის შეძენა ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან

უკრაინაში ომისა და რუსულ საკრედიტო დაწესებულებებზე დაწესებული სანქციების გამო, „ვითიბი ბანკი რუსეთის“ შვილობილმა საწარმომ – „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ 2022 წლის პირველ კვარტალში გაასხვისა მომხმარებლებთან თავისი აქტივებისა და ვალდებულებების უმრავლესობა. ბანკმა ამ პორტფელების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძინა. რუსეთის აგრესიის შემდეგ არსებული განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხისა და „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უუნარობის გამო, რომ სრული მომსახურება გაეწია მომხმარებლებისთვის და შეემცირებინა ხანგრძლივი განუსაზღვრელობის პოტენციური უარყოფითი გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე, ოპერაცია ჩატარდა შეზღუდულ ვადებში. ოპერაციის მიზანი „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთვის“ იყო გაესხვისებინა, ხოლო ბანკისათვის იყო – შეეძინა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებების ტოლ ფასად. თუმცა, ზემოხსენებული შეზღუდული ვადის გამო, ოპერაციის განსახორციელებლად მხარეებმა ვერ შეძლეს სრული წინასაინვესტიციო შეფასების და დეტალური შეფასების ჩატარება, ამიტომ ოპერაცია შედგა მხარეთა მიერ შეთანხმებულ, შეძლებისდაგვარად ზუსტად გამოთვლილ, ფასად.

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების და დეპოზიტების პორტფელის შეძენა ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან (გაგრძელება)

ოპერაციის განხორციელების შემდეგ, 2022 წლის 12 მარტს ბანკმა ჩაატარა ოპერაციის ფარგლებში შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების დეტალური ანალიზი და შეფასება. ამის შედეგად, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ 2022 წლის 12 მარტის მდგომარეობით, ბანკმა შეიძინა მომხმარებლებზე გაწეული წმინდა სესხები 317,070 ლარის ოდენობით, მომხმარებლების დეპოზიტები 302,037 ლარის ოდენობით, ნაღდი ფული 2,051 ლარის ოდენობით და გარებალანსური ვალდებულებები, მათ შორის გარანტიები 6,252 ლარის პირობითი თანხის ოდენობით და აუთვისებელი საკრედიტო ლიმიტები 24,063 ლარის პირობითი თანხის ოდენობით (გარებალანსური მუხლების სამართლიანი ღირებულება არაარსებითი იყო). აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა 17,084 ლარის შემოსულობა, როგორც შემოსულობა პორტფელის შეძენიდან, რაც წარმოადგენდა სხვაობას შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს შორის.

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით

2022 წლის 31 დეკემბრითა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომერციული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

კომერციული სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**466,868**	**101,648**	**7,845**	–	**576,361**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	714,392	–	–	–	**714,392**
ვითიბისგან შეძენილი ახალი აქტივები	281,855	–	–	10,403	**292,258**
დაფარული აქტივები	(669,344)	(61,143)	(3,439)	(3,078)	**(737,004)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	18,794	(18,584)	(210)	–	–
გადატანები მე-2 სტადიაზე	(33,757)	33,786	(29)	–	–
გადატანები მე-3 სტადიაზე	(1,267)	(1,751)	3,018	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	160	–	**160**
აღდგენები	–	–	297	–	**297**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(38)	–	**(38)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	18,359	(1,907)	(2,127)	(1,068)	**13,257**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**795,900**	**52,049**	**5,477**	**6,257**	**859,683**

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების და დეპოზიტების პორტფელის შეძენა ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან (გაგრძელება)

კომერციული სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**377,455**	**120,008**	**4,158**	**501,621**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	646,159	–	–	**646,159**
დაფარული აქტივები	(538,413)	(46,630)	(1,749)	**(586,792)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	7,676	(7,521)	(155)	**–**
გადატანები მე-2 სტადიაზე	(41,074)	41,353	(279)	**–**
გადატანები მე-3 სტადიაზე	(2,876)	(3,413)	6,289	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	123	**123**
აღდგენები	–	–	159	**159**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(182)	**(182)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	17,941	(2,149)	(519)	**15,273**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**466,868**	**101,648**	**7,845**	**576,361**

კომერციული სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასურე-ბული*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,424	7,294	2,904	–	**17,622**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	11,875	–	–	–	**11,875**
ვითიბისგან შეძენილი ახალი აქტივები	197	–	–	–	**197**
დაფარული აქტივები	(7,512)	(4,527)	(1,647)	–	**(13,686)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	1,446	(1,276)	(170)	–	**–**
გადატანები მე-2 სტადიაზე	(1,367)	1,381	(14)	–	**–**
გადატანები მე-3 სტადიაზე	(278)	(1,276)	1,554	–	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	160	–	**160**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(1,368)	2,005	577	–	**1,214**
აღდგენები	–	–	297	–	**297**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(38)	–	**(38)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(4,264)	491	(910)	345	**(4,338)**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**6,153**	**4,092**	**2,713**	**345**	**13,303**

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

კომერციული სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,979**	**9,368**	**1,518**	**18,865**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	13,268	–	–	**13,268**
დაფარული აქტივები	(8,508)	(4,284)	(462)	**(13,254)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	503	(405)	(98)	**–**
გადატანები მე-2 სტადიაზე	(2,653)	2,794	(141)	**–**
გადატანები მე-3 სტადიაზე	(378)	(405)	783	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	123	**123**
პერიოდის განმავლობაში სტადიებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(418)	1,247	885	**1,714**
აღდგენები	–	–	159	**159**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(182)	**(182)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(2,369)	(1,021)	319	**(3,071)**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**7,424**	**7,294**	**2,904**	**17,622**

2022 წლის 31 დეკემბრითა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში სამომხმარებლო სესხების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

სამომხმარებლო სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**412,182**	**18,033**	**56,816**	**–**	**487,031**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	711,422	–	–	**–**	**711,422**
დაფარული აქტივები	(619,020)	(17,523)	(9,989)	**–**	**(646,532)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	7,730	(7,470)	(260)	**–**	**–**
გადატანები მე-2 სტადიაზე	(54,807)	55,900	(1,093)	**–**	**–**
გადატანები მე-3 სტადიაზე	(2,488)	(24,683)	27,171	**–**	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,854	**–**	**3,854**
აღდგენები	–	–	2,428	**–**	**2,428**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(33,704)	**–**	**(33,704)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	90,975	128	158	**–**	**91,261**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**545,994**	**24,385**	**45,381**	**–**	**615,760**

(ათას ლარში)

8. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით (გაგრძელება)

სამომხმარებლო სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*სულ*
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**256,678**	**13,518**	**49,362**	**319,558**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	565,397	–	–	**565,397**
დაფარული აქტივები	(445,018)	(14,793)	(6,958)	**(466,769)**
გადატანები 1-ელ სტადიაზე	3,710	(3,482)	(228)	**–**
გადატანები მე-2 სტადიაზე	(36,717)	37,493	(776)	**–**
გადატანები მე-3 სტადიაზე	(2,450)	(17,969)	20,419	**–**
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	3,614	**3,614**
აღდგენები	–	–	626	**626**
ჩამოწერილი თანხები	–	–	(11,484)	**(11,484)**
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	70,582	3,266	2,241	**76,089**
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**412,182**	**18,033**	**56,816**	**487,031**

სამომხმარებლო სესხები	*1-ელი სტადია*	*მე-2 სტადია*	*მე-3 სტადია*	*შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული*	*სულ*
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**7,956**	**5,643**	**46,545**	–	**60,144**
2022 წელს ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა კუთვნილმა წმინდა შემოსავალმა შეადგინა ₾ 62,386 (2021 წ.: ₾ 41,575), ხოლო წლის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა იყო 4,488,426,027 (2021 წ.: 4,488,426,027), შესაბამისად, შემოსავალი აქციაზე 2022 წელს შეადგენდა ₾ 0.014-ს (2021 წ.: ₾ 0.00926).

2022 წლის 31 დეკემბერს კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს არ ჰქონდა განზავების ეფექტი, რადგან ₾ 0.09 კონვერტაციის ფასი აღემატებოდა აღნიშნული პერიოდის კოტირებულ საშუალო შეწონილ საბაზრო ფასს, ₾ 0.014-ს, ამ პერიოდისთვის. 2021 წლის 31 დეკემბერს კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებს არ ჰქონდა განზავების ეფექტი, რადგან ₾ 0.08 კონვერტაციის ფასი აღემატებოდა აღნიშნული პერიოდის კოტირებულ საშუალო შეწონილ საბაზრო ფასს, ₾ 0.014-ს, ამ პერიოდისთვის. ამრიგად, პოტენციური განზავება არ მოიცავდა 4,565,384 პრივილეგირებული აქციის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის პოტენციურ ეფექტს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დივიდენდები

2022 და 2021 წლებში ბანკს არ გადაუხდია დივიდენდები თავის ჩვეულებრივ აქციებზე. 2022 წელს ბანკმა კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე გადაიხადა დივიდენდები ₾ 776-ის ოდენობით (2021 წ.: ₾ 776), ერთ აქციაზე ₾ 0.17.

(ათას ლარში)

19. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

რეზერვები

რეზერვების დინამიკა ასეთია:

	სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	*ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი*
2020 წლის 31 დეკემბერს	–	**22,602**
გადაფასების რეზერვი, გადასახადის გათვალისწინებით	–	–
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	–	(461)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**–**	**22,141**
გადაფასების რეზერვი, გადასახადის გათვალისწინებით	1,526	785
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	–	(498)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,526**	**22,428**

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ეს რეზერვი ასახავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში შესულ ცვლილებებს.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გამოიყენება შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება საკუთარ კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

(ათას ლარში)

20. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). სამეთვალყურეო საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

იურიდიული საკითხები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიძრას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2022	*2021*
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
გარანტიები	38,778	17,293
სესხების გაცემის ვალდებულება	125,258	121,888
	164,036	**139,181**
პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან	1,807	3,733
პირობითი ვალდებულებები	**165,843**	**142,914**
ანარიცხები საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის *(მე-14 შენიშვნა)*	1,428	1,258
გამოშვებული გარანტიების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული (*მე-1717*	4,861	1,327

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა ბანკების კომპლექსური დაზღვევა, დირექტორებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის, ასევე ქონებისა და ავტოტრანსპორტის დაზღვევა საოპერაციო ზარალისთვის 5 მილიონი ლარის სადაზღვევო ლიმიტით.

ყველა ვალდებულება პირველ სტადიას განეკუთვნება და წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვანი მოძრაობები არ მომხდარა.

(ათას ლარში)

21. წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს შემდეგს:

	2022	*2021*
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	24,819	18,456
საანგარიშსწორებო ოპერაციები	10,092	9,055
ფულადი გადარიცხვები	6,200	2,750
საკასო ოპერაციები	3,521	2,174
კომუნალური გადახდებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	2,240	2,019
გარანტიები და აკრედიტივები	706	209
სხვა	91	72
შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	**47,669**	**34,735**
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(15,461)	(12,497)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(1,441)	(1,068)
საკასო ოპერაციები	(1,130)	(371)
კომუნალურ გადახდებზე გაწეული საკომისიო ხარჯი	(587)	(432)
გარანტიები და აკრედიტივები	(130)	(146)
საკომისიო ხარჯი	**(18,749)**	**(14,514)**
წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	**28,920**	**20,221**

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ბანკის ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ძირითადად წარმოადგენს შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან, გარანტიებიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აღიარებულია 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და შეადგინა ₾ 47,669 (2021 წ.: ₾ 34,735).

ბანკი იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

22. წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან

	2022	*2021*
სავალუტო ოპერაციები	22,844	7,084
წმინდა შედეგი უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(13,923)	(4,540)
საკურსო სხვაობები	(2,623)	(3,951)
	6,298	**(1,407)**

(ათას ლარში)

23. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს:

	2022	*2021*
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	479	–
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის ეფექტი	437	1,715
შემოსავალი იჯარიდან	210	123
შემოსავალი სადაზღვევო მოთხოვნებიდან	162	2,732
შემოსულობა აქტივების გაყიდვიდან	16	254
შემოსავალი კოვიდ-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო სუბისიდირებიდან	–	1,884
სხვა	881	2,646
სხვა შემოსავლები, სულ	**2,185**	**9,354**

მომხმარებელთა სესხების და ავანსების დაგვიანებული გადახდიდან შემოსავალი რეკლასიფიცირდა მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლად ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. შესადარისი ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა შეიცვალა ისე, რომ შესაბამისობაში მოსულიყო მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან, რის შედეგადაც მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა, ხოლო სხვა შემოსავალი შემცირდა 9,030 ლარით, 2021 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან შედარებით.

24. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

თანამშრომლებზე გაწეული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2022	*2021*
ხელფასები	78,978	66,312
ცვალებადი ყოველთვიური პრემია	14,459	8,323
სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული პრემიალური თანხები	6,943	6,581
პერსონალზე გაწეული ხარჯი	**100,380**	**81,216**

თანამშრომლების საშუალო რაოდენობა წელიწადში:

	2022	*2021*
მუდმივ შტატზე		
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	6	4
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	135	167
სულ თანამშრომლები	4,672	4,797
დროებით დასაქმებული		
სულ თანამშრომლები	887	743
სულ	**5,700**	**5,711**

(ათას ლარში)

24. თანამშრომლებზე გაწეული და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

	2022	*2021*
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	9,875	9,187
მარკეტინგი და რეკლამა	7,590	6,408
საკომუნიკაციო მომსახურება	3,899	3,507
კომუნალური ხარჯი	3,763	3,624
საოფისე მარაგები	3,568	2,433
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	3,325	5,130
შენობის დატვირთვა და საიჯარო ქირა	3,041	2,781
საოპერაციო გადასახადები	2,542	2,552
დაზღვევა	1,793	1,625
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	875	488
უსაფრთხოება	651	782
მგზავრობის ხარჯი	558	390
აუდიტი, აუდიტთან დაკავშირებული და სხვა მომსახურების ხარჯები	500	523
სხვა	3,130	2,471
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**45,110**	**41,901**

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2022 და 2021 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2022	*2021*
საზღაური ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	308	353
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	116	135
სულ საზღაურები და ხარჯები	**424**	**488**

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა ₾ 137 (2021 წ.: ₾ 107).

25. რისკის მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორიცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო რისკები და სხვა არაფინანსური რისკები. ბანკის მიერ დანერგილი რისკის მართვის სისტემა საქმიანობის თითოეული მიმართულებისთვის თითოეული ტიპის რისკის დასაშვებ დონეს აწესებს და უზრუნველყოფას მის დაცვას.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობაა, უზრუნველყონ, რომ ბანკი აკმაყოფილებდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. მასთან შესაბამისობას უზრუნველყოფა ხდება რისკის დასაშვები დონის მაჩვენებლების მუდმივი მეთვალყურეობითა და, გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, ამ პარამეტრების შეცვლის წინადადებების წამოყენებით.

რისკის დასაშვები დონის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა აკისრია საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილებას. პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს რისკის გამომწვევი მოვლენების დადგომისა და ლიმიტების დარღვევის ესკალაციის სცენარებს იმისათვის, რომ დროულად და ეფექტურად დაიწყოს და განახორციელოს რისკის შემცირებისკენ მიმართული წინასწარ განსაზღვრული ზომები. ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში ეფექტურად ჩართვის მიზნით, რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკის პარამეტრები უფრო დაწვრილებითი სახითაა წარმოდგენილი ბიზნესერთეულებისა და ოპერაციების დონეებზე. დირექტორთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და სიცხადეს ყველა დონეზე, რისკის ამოცანებთან მიმართებაში, რისკის პროფილის მუდმივ მონიტორინგს და მისი შესაბამისობის შემოწმებას რისკის დასაშვები დონის შესახებ პოლიტიკასთან, ასევე რისკების დროულად აღმოჩენასა და მათ შესამცირებლად ზომების შემუშავებას.

რისკების მართვის სისტემა და სტრუქტურა

ბანკის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება. სამეთვალყურეო საბჭოს დაფუძნებული აქვს კომიტეტები, რომლებსაც ევალებათ შესაბამის კონკრეტულ სფეროში ბანკის რისკის მართვის სხვადასხვა პოლიტიკის შედგენა და კონტროლი, რომლებიც აისახება პოლიტიკაში რისკის დასაშვები დონის შესახებ.

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს ბანკის წინაშე მდგარი რისკების გამოვლენა და გაანალიზება, რისკის სათანადო ლიმიტების დაწესება და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, ასევე რისკებისა და მათი ლიმიტების დაცვის ზედამხედველობა. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რომ მასში აისახოს საბაზრო პირობებში და ბაზარზე შეთავაზებულ პროდუქტებსა და მომსახურებებში მომხდარი ცვლილებები. ბანკს, თავისი მართვის სტანდარტებით, პროცედურებითა და ტრენინგებით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც თანამშრომლებს კარგად აქვთ გააზრებული თავიანთი როლები და მოვალეობები.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში. იგი პასუხს აგებს რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და მონიტორინგს უწევს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. აუდიტის კომიტეტს ამ ფუნქციების შესრულებაში შიდა აუდიტი ეხმარება.

შიდა აუდიტი

ჯგუფში რისკების მართვის პროცესებს მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც სისტემატური და არასისტემატური შემოწმებებით ადგენს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს დირექტორთა საბჭოსთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკების მართვის სისტემა და სტრუქტურა (გაგრძელება)

სხვა სტრუქტურული ერთეულები

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, თუმცა რისკების მართვა და მონიტორინგი ასევე ხორციელდება ჯგუფის დამოუკიდებელი განყოფილებების მიერ. რისკის დასაშვები დონის ზღვარს აწესებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო მონიტორინგი ევალებათ შემდეგ კომიტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს, დირექტორთა საბჭოს აქტიური მონაწილეობით:

- საკრედიტო რისკს მართავენ საკრედიტო რისკის კომიტეტები;
- ლიკვიდურობის რისკს მართავს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი;
- საბაზრო რისკს მართავს აქტივ-პასივების კომიტეტი;
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის განყოფილება დირექტორთა საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რისკებს მართავს საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილება.

კომიტეტები დაკომპლექტებულია ყველა შესაბამისი ბიზნესერთეულის წარმომადგენლებით და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს.

ბანკში ყოველდღიური საქმიანობისა და ოპერაციების თანმდევი რისკების მართვა შესაბამისი განყოფილებების ამოცანაა. ბიზნესპროცესებს ახლავს მაკონტროლებელი ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ შესაბამისი რისკის განყოფილების წარმომადგენლები. რისკის მართვის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულები დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენენ. საკრედიტო, ლიკვიდურობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე პასუხისმგებლები არიან შემდეგი განყოფილებები:

- საწარმოს რისკის მართვა;
- საკრედიტო ანდერაიტინგი;
- კრედიტების ადმინისტრირება;
- საკრედიტო კონტროლი;
- დავალიანების ამოღება;
- საოპერაციო რისკის მართვა;
- საინფორმაციო უსაფრთხოება.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლა იმართება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის განყოფილების მიერ, ხოლო კანონშესაბამისობის რისკი იმართება კანონშესაბამისობის განყოფილების მიერ. დავალიანების ამოღების ფუნქცია გაყოფილია ორ მსხვილ ქვეფუნქციად, რომელთაგან თითოეული პასუხისმგებელია დავალიანების ამოღების პროცესის წარმართვასა და მონიტორინგზე, დაუფარავი მოთხოვნების ტიპების მიხედვით.

ბანკში ყოველდღიური საქმიანობისა და ოპერაციების თანმდევი რისკების მართვა შესაბამისი განყოფილებების ამოცანაა. ბიზნესპროცესები მოიცავს რისკის მართვის წარმომადგენლების ყოველდღიურ ჩართულობას, რა დროსაც ყურადღება მახვილდება რისკის გამოვლენაზე, ანალიზზე, შეფასებასა და შემცირებაზე.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება რისკის დასაშვები დონის პოლიტიკით დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელისთვის. ზედა რგოლის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი რეზერვის მართებულობას.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ბანკის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას ჰქონდეს წვდომა ამომწურავ, სათანადო და განახლებულ ინფორმაციაზე.

რისკის შემცირება

საკრედიტო რისკების შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფის საგნებს (ძვირფასი ქვები, უძრავი ქონება, ანაბრები, ფასიანი ქაღალდები, მოძრავი ქონება, მოთხოვნები და კომპანიის აქციები) და მიმართავს დივერსიფიკაციას.

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ბანკის საქმიანობის მეტ მგრძნობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე. ბანკის რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს იმას, რომ რისკის კონცენტრაციის პოტენციური უარყოფითი გავლენა დროულად გამოვლინდეს, შესაბამისი რისკები სათანადოდ შეფასდეს და, საბოლოოდ, დაიგეგმოს და განხორციელდეს საპასუხო ზომები. პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს ლიმიტებს საკრედიტო, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკების ჭარბ კონცენტრაციაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი განიცდის ზარალს, თუ მისი მომხმარებლები, მომხმარებლები ან კონტრაჰენტები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეების, ასევე გეოგრაფიული და დარგობრივი კონცენტრაციებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს.

საჭიროების შემთხვევაში ბანკი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება კლიენტებისგან ხდება აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

გაუფასურების შეფასება

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა	*დეფოლტის ალბათობა* არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება	*დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება* არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა), სესხის გაცემის ვალდებულებების ფარგლებში კრედიტების მოსალოდნელ ათვისებას და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს. ზოგ შემთხვევაში ბანკი მიმართავს კონსერვატიულ მეთოდს, რომელიც იყენებს დაუფარავ დავალიანებას, როგორც დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას.
დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში	*დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში* არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

1-ელი სტადია:	სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
მე-2 სტადია:	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
მე-3 სტადია:	სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. ბანკი ქმნის დეფოლტის შემთხვევაში ზარალის რეზერვს.
შეძენილი ან შექმნილი გაუფასु-რებული:	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარებისას და საპროცენტო ამონაგების აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

დეფოლტის და გამოსწორების განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ბანკი ბანკების მიმართ არსებულ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელად და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება საქმიანობის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, მომხმარებელს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ბანკი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შეასრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მე-3 სტადიას, ან ხომ არ არის მე-2 სტადია უფრო მართებული. ეს მოვლენები მოიცავს შემდეგს:

- მსესხებლის შიდა რეიტინგი მიანიშნებს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე კრედიტის დეფოლტზე ან დეფოლტამდე მისვლაზე;
- მსესხებელმა გადაუდებელი დაფინანსებას ითხოვს ბანკისგან;
- მსესხებლის გარდაცვალება;
- შესაბამისი უზრუნველყოფის საგნის ღირებულების მკვეთრი შემცირება, თუ სესხის ამოღება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით არის მოსალოდნელი;
- მსესხებლის ბრუნვის მკვეთრი შემცირება ან მსხვილი კლიენტის დაკარგვა;
- ისეთი პირობის დარღვევა, რაზეც ბანკს ნებართვა არ გაუცია;
- დებიტორის (ან დებიტორების ჯგუფში შემავალი იურიდიული პირის) გაკოტრების საქმე იხსნება.

ბანკის პოლიტიკის თანახმად, იგი ფინანსურ ინსტრუმენტს განიხილავს „გამოსწორებულად“ და, შესაბამისად, მესამე სტადიიდან რეკლასიფიცირებულად, როდესაც დეფოლტის არცერთი კრიტერიუმი არ არის წარმოდგენილი მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მეორე სტადიას უნდა მიეკუთვნოს თუ პირველს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე საწყისი აღიარების შემდეგ.

შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

ბანკის დამოუკიდებელი საკრედიტო რისკის განყოფილება ფუნქციონირებს S&P-ის სარეიტინგო მოდელების საფუძველზე და მნიშვნელოვანი დავალიანებების შემთხვევაში იყენებს შეფასების სკალებს. მოდელები მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე - რაოდენობრივ ინფორმაციას და, მსესხებლის დამახასიათებელ ინფორმაციასთან ერთად, იყენებენ დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა იმოქმედონ მსესხებლის ქცევაზე. თუ შესაძლებელია, ისინი ასევე ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციას. თითოეულ სტადიას ენიჭება დეფოლტის ალბათობები, რომლებიც მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას და, ფასს 9-ის შესაბამისად, რისკის სტადიების მიხედვით კლასიფიკაციას. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაჰენტები არიან ფინანსური მომსახურების გამწევი დაწესებულებები, ბანკები, საბროკერო-სადილერო კომპანიები, სავალუტო და საკლირინგო ცენტრები. ამ ურთიერთობებისთვის ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორიცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, გარე რეიტინგები, და მათ ანიჭებს შიდა რეიტინგს ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კორპორაციული სესხები და სესხები მცირე ბიზნესისთვის

კორპორაციული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ეყრდნობა კრედიტუნარიანობის შეფასების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორიცაა:

- ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, მომხმარებლის მიერ მომზადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებითაც ფასდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია მომხმარებლებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ფასდება;
- მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ფასებს, პრესრელიზებს და სტატიებს;
- ნებისმიერი მაკროეკონომიკური ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, მშპ-ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სეგმენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას;
- ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

რეიტინგის განსაზღვრის ტექნიკების კომპლექსურობა და დეტალიზაცია განსხვავდება ბანკის რისკზე დაქვემდებარების და მომხმარებლის კომპლექსურობისა და ზომის გათვალისწინებით. მცირე ბიზნესისთვის რამდენიმე ნაკლებად კომპლექსური სესხის რეიტინგის განსაზღვრა ხდება ბანკის საცალო პროდუქტების მოდელების გამოყენებით.

სამომხმარებლო სესხები და საცხოვრებელი სახლის იპოთეკები

ერთგვაროვანი საცალო სესხების ჯგუფების მოდელირება ხდება შესაბამის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე დაყრდნობით. ამის შემდეგ თითოეულ პროდუქტს ენიჭება ინდივიდუალური მაკროეკონომიკური სცენარი. თითოეულ საცალო პროდუქტს მინიმუმ სამი მაკროეკონომიკური ცვლადი ენიჭება. სხვა მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ამ მოდელებში გამოიყენება, არის მშპ-ის ზრდა, უმუშევრობის დონე, ცვლილება ფიზიკური პირის შემოსავალში/სახელფასო დონეში, ფიზიკური პირების დავალიანება, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ნომინალური ეფექტური სავალუტო კურსი, სფი-ს ინფლაცია და, საცხოვრებელი სახლის იპოთეკების შემთხვევაში, სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც მომხმარებლის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში – 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით. ზოგ შემთხვევაში ბანკი მიმართავს კონსერვატიულ მეთოდს, რომელიც იყენებს დაუფარავ დავალიანებას, როგორც დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

კორპორაციული დაკრედიტების აქტივების შემთხვევაში, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება წელიწადში ორჯერ საოპერაციო მენეჯერების მიერ და გადაიხედება და მტკიცდება ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების მიერ.

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

ბანკის ახდენს მისი საცალო საკრედიტო პროდუქტების უფრო მცირე ერთგვაროვან პორტფელებად სეგმენტირებას, იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. გამოყენებული მონაცემები ეფუძნება ზარალის შესახებ მიღებულ ისტორიულ მონაცემებს და ისინი მოიცავენ გარიგების მახასიათებლების უფრო ფართო ნაკრებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის საგნების უფრო ფართო დიაპაზონი), ასევე ნასესხებ მახასიათებლებს.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი უახლესი მონაცემები და საპროგნოზო ეკონომიკური სცენარები გამოიყენება, რომ განისაზღვროს ფასს 9-ის მიხედვით დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული ჯგუფისთვის. საპროგნოზო ინფორმაციის შეფასებისას, მოლოდინი ეფუძნება სხვადასხვა სცენარს. მთავარი ამოსავალი მონაცემების მაგალითებია ცვლილებები უზრუნველყოფის საგნის ღირებულებაში, მათ შორის უძრავი ქონების ფასები იპოთეკისთვის, სასაქონლო ფასები, გადახდისუნარიანობის სტატუსი და სხვა ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს ბანკის ზარალზე.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთები ფასდება პირველი, მეორე და მესამე სტადიებისთვის და თითოეული აქტივის კლასის შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული სეგმენტისთვის. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთების ამოსავალი მონაცემები ფასდება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკალიბრდება სესხის დაბრუნების მიმდინარე მაჩვენებლების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასების გზით. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ. ეს შეფასება მოიცავს სხვადასხვა პარამეტრის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობისა და შედეგების გაუარესების, ანალიზს. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

აქტივების კლასები, რომლებისთვისაც ბანკი ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს:

- მესამე სტადიის აქტივებიდან მხოლოდ ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის კრედიტები, განურჩევლად ფინანსური აქტივების კლასისა;
- მეორე და მესამე სტადიები - კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის სესხები, რომელთა თანხა ერთ მსესხებელზე აღემატება ₾ 300 ათასს;
- ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის მატარებელ კრედიტებზე ზარალი ინდივიდუალურად ფასდება. ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით, ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე რისკის მატარებელი კრედიტის მინიმალური ზვარი ₾300 ათასია.
- კრედიტი, რომელიც ₾ 300 ათასზე მცირეა შეიძლება დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით;
- სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები (როგორიც არის, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ფულადი სახსრების ეკვივალენტები და სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით/სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით).

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- მცირე ბიზნესისთვის საბანკო სესხების უფრო მცირე და მეტად გენერიული ნაშთები;
- ყველა საცალო პროდუქტი.

ბანკი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე, მაგალითად, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების, ან მსესხებლის საოპერაციო სეგმენტის მიხედვით.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ბანკი ფართო სპექტრის საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- მშპ-ის ზრდა;
- უმუშევრობის დონეები;
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი;
- ვალუტის კურსები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად.
2022 წელს ბანკმა გადახედა წარსულში გამოყენებულ გარკვეულ დაშვებებს კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულ განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით. ბანკმა შეცვალა 2021 წელს გამოყენებული ეკონომიკური სცენარების წონები, რომლებიც იყო ოპტიმისტური 15%, საბაზისო 15%, პესიმისტური და 2022 წელს გახდა ოპტიმისტური 30%, საბაზისო 30%, პესიმისტური 40%.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

მთავარი ფაქტორები	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი*	*მინიჭებული ალბათობები, %*	*2022*	*2023*	*2024*
ქვეყნის სუვერენული რისკ-პრემიის ცვლილება*					
	ოპტიმისტური	25%	+1.4 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი
	საბაზისო სცენარი	50%	+1.4 პროცენტული პუნქტი	-0.25 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი
	პესიმისტური	25%	+1.4 პროცენტული პუნქტი	+1 პროცენტული პუნქტი	-0.5 პროცენტული პუნქტი
ლარი/აშშ დოლარის ნომინალური სავალუტო კურსი					
	ოპტიმისტური	25%	უცვლელი	გამყარება 2%-ით	უცვლელი
	საბაზისო სცენარი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	პესიმისტური	25%	უცვლელი	გაუფასურება 15%-ით	გამყარება 5%-ით
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წლიური)					
	ოპტიმისტური	25%	10.0%	6.0%	5.0%
	საბაზისო სცენარი	50%	10.0%	4.0%	5.5%
	პესიმისტური	25%	10.0%	2.0%	4.0%
უმუშევრობის დონის ცვლილება					
	ოპტიმისტური	25%	-3.6 პროცენტული პუნქტი	-2.0 პროცენტული პუნქტი	+0.0 პროცენტული პუნქტი
	საბაზისო სცენარი	50%	-3.6 პროცენტული პუნქტი	-1.0 პროცენტული პუნქტი	-0.25 პროცენტული პუნქტი
	პესიმისტური	25%	-3.6 პროცენტული პუნქტი	+0.0 პროცენტული პუნქტი	+0.25 პროცენტული პუნქტი
სფი-ს ინფლაციის ტემპი (წლიური)					
	ოპტიმისტური	25%	11.9%	5.0%	3.0%
	საბაზისო სცენარი	50%	11.9%	5.3%	3.1%
	პესიმისტური	25%	11.9%	9.0%	6.0%
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)					
	ოპტიმისტური	25%	+0.0 პროცენტული პუნქტი	-2.5 პროცენტული პუნქტი	-1.5 პროცენტული პუნქტი
	საბაზისო სცენარი	50%	+0.0 პროცენტული პუნქტი	-1.4 პროცენტული პუნქტი	-1.6 პროცენტული პუნქტი
	პესიმისტური	25%	+0.0 პროცენტული პუნქტი	+2.5 პროცენტული პუნქტი	-3.0 პროცენტული პუნქტით
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი					
	ოპტიმისტური	25%	უცვლელი	გამყარება 1.5%-ით	უცვლელი
	საბაზისო სცენარი	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	პესიმისტური	25%	უცვლელი	გაუფასურება 10%-ით	გამყარება 3%-ით
ცვლილება უძრავი ქონების ფასებში (გამოხატული ლარში, წლიური)	ოპტიმისტური	25%	7.5%	8.0%	5.5%
	საბაზისო სცენარი	50%	7.5%	7.0%	5.5%
	პესიმისტური	25%	7.5%	10.0%	8.0%

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით. ცხრილში მოცემულია საკრედიტო ხარისხი აქტივების კლასების მიხედვით ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სასესხო მუხლებისთვის, ცხრილებში მოყვანილ კატეგორიებზე დაყრდნობით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*შენიშვნა*		*მაღალი შეფასება*	*სტანდარტული შეფასება*	*სტანდარტულ-ზე დაბალი შეფასება*	*გაუფასურებული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	6	1-ელი სტადია	182,639	–	–	–	**182,639**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1-ელი სტადია	105,341	–	–	–	**105,341**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	8		2,342,920	43,352	9,095	31,056	**2,426,423**
კლიენტებზე გაცემული		1-ელი სტადია	330,421	3,771	277	-	**334,469**
სესხები, რეგულარული		მე-2 სტადია	433	238	557	-	**1,228**
შენატანებით		მე-3 სტადია	-	477	101	1,232	**1,810**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული	-	-	-	-	**-**
		1-ელი სტადია	277,795	1,174	89	-	**279,058**
		მე-2 სტადია	7,296	464	1,509	-	**9,269**
მიკროსესხები		მე-3 სტადია	-	1,614	108	6,177	**7,899**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული	-	-	-	-	**-**
		1-ელი სტადია	525,962	9,297	244	-	**535,503**
		მე-2 სტადია	9,574	2,973	2,663	-	**15,210**
სამომხმარებლო სესხები		მე-3 სტადია	-	1,604	405	14,843	**16,852**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული	-	-	-	-	**-**
		1-ელი სტადია	199,938	716	-	-	**200,654**
		მე-2 სტადია	2,707	620	263	-	**3,590**
იპოთეკური სესხები		მე-3 სტადია	-	199	-	284	**483**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული	-	-	-	-	**-**
		1-ელი სტადია	169,107	1,579	16	-	**170,702**
სალომბარდო სესხები		მე-2 სტადია	-	-	1,104	-	**1,104**
		მე-3 სტადია	-	-	-	2,124	**2,124**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული	-	-	-	88	**88**
კორპორაციული და მცირე და		1-ელი სტადია	773,781	15,966	-	-	**789,747**
საშუალო ზომის		მე-2 სტადია	45,907	378	1,672	-	**47,957**
საწარმოების სესხები		მე-3 სტადია	-	2,281	87	396	**2,764**
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ-რებული	-		-	5,912	**5,912**
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1-ელი სტადია	369,481	–	–	–	**369,481**
სესხების გაცემის ვალდებულება	20	1-ელი სტადია	125,258	–	–	–	**125,258**
ფინანსური გარანტიები	20	1-ელი სტადია	38,778	–	–	–	**38,778**
სულ			**3,164,417**	**43,352**	**9,095**	**31,056**	**3,247,920**

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,	*შენიშ-ვნა*		*მაღალი შეფასება*	*სტანდარ-ტული შეფასება*	*სტანდარ-ტულზე დაბალი შეფასება*	*გაუფასუ-რებული*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	6	1-ელი სტადია	**379,666**	**–**	**–**	**–**	**379,666**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1-ელი სტადია	**87,656**	**–**	**–**	**–**	**87,656**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	8		**1,828,394**	**18,494**	**8,140**	**24,693**	**1,879,721**
		1-ელი სტადია	349,172	2,218	92	–	**351,482**
კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით		მე-2 სტადია	460	153	244	–	**857**
		მე-3 სტადია	–	51	97	1,955	**2,103**
		1-ელი სტადია	209,898	1,228	53	–	**211,179**
		მე-2 სტადია	14,721	265	930	–	**15,916**
მიკროსესხები		მე-3 სტადია	–	95	159	7,868	**8,122**
		1-ელი სტადია	393,698	10,150	378	–	**404,226**
		მე-2 სტადია	7,054	1,953	3,383	–	**12,390**
სამომხმარებლო სესხები		მე-3 სტადია	–	140	271	9,860	**10,271**
		1-ელი სტადია	155,726	387	–	–	**156,113**
		მე-2 სტადია	4,793	257	509	–	**5,559**
იპოთეკური სესხები		მე-3 სტადია	–	–	26	496	**522**
		1-ელი სტადია	139,879	999	36	–	**140,914**
სალომბარდო სესხები		მე-2 სტადია	–	–	558	–	**558**
		მე-3 სტადია	–	–	–	770	**770**
კორპორაციული და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები		1-ელი სტადია	458,846	598	–	–	**459,444**
		მე-2 სტადია	94,147	–	207	–	**94,354**
		მე-3 სტადია	–	–	1,197	3,744	**4,941**
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	1-ელი სტადია	239,654	–	–	–	**239,654**
სესხების გაცემის ვალდებულება	20	1-ელი სტადია	121,888	–	–	–	**121,888**
ფინანსური გარანტიები	20	1-ელი სტადია	17,293	–	–	–	**17,293**
სულ			**2,674,551**	**18,494**	**8,140**	**24,693**	**2,725,878**

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ბანკმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის ვადაგადაცილებული, ფასდება მაღალი ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტული ხარისხის ფინანსურ აქტივად;
- ფინანსური აქტივი, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის 30 დღიდან 90 დღემდე ვადით არის გადაცილებული, ფასდება სტანდარტულზე დაბალი ხარისხის ფინანსურ აქტივად;

ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა ბანკმა ბალანსზე ასახული კრედიტებისთვის ასე განსაზღვრა:

- რეიტინგის მინიჭება სესხების გაცემის ვალდებულებებისთვის ისეთი კლიენტებისთვის, რომლებსაც სესხები ან რამე სხვა ბალანსური კრედიტი აქვთ, შეესაბამება ბალანსზე ასახულ რეიტინგებს. სესხების გაცემის ვალდებულებების შემთხვევაში, სესხების გაცემის პირობით ვალდებულებებს ენიჭება მაღალი ხარისხი. სესხების გაცემის უპირობო ვალდებულებებს ხარისხი ენიჭება კლიენტების კრედიტუნარიანობის მიხედვით, რასაც ბანკის ექსპერტები აკონტროლებენ;
- ფინანსურ გარანტიებს ენიჭება მაღალი ხარისხი, თუ კლიენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუ კლიენტი მეტწილად ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, იგი მიეკუთვნება სტანდარტული ხარისხის კატეგორიას, თუ ვერ ასრულებს, მაშინ - სტანდარტულზე დაბალ კატეგორიას, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში - გაუფასურებულ კატეგორიას.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ბანკის აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2022				*2021*			
	საქარ-თველო	*ეთგო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*	*საქარ-თველო*	*ეთგო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	407,635	28,538	14,151	**450,324**	312,782	327,031	1,804	**641,617**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	105,341	–	–	**105,341**	87,656	–	–	**87,656**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,426,423	–	–	**2,426,423**	1,879,721	–	–	**1,879,721**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	315,933	53,548	–	**369,481**	239,654	–	–	**239,654**
სხვა აქტივები	282,543	2,424	3,071	**288,038**	260,046	1,592	1,425	**263,063**
	3,537,875	**84,510**	**17,222**	**3,639,607**	**2,779,859**	**328,623**	**3,229**	**3,111,711**
ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	251,390	74,390	1,499	**327,279**	251,958	97,753	16	**349,727**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	2,400,899	107,802	180,972	**2,689,673**	2,110,168	75,451	48,049	**2,233,668**
სუბორდინირებული ვალი	67,900	19,935	10,939	**98,774**	77,275	23,761	11,424	**112,460**
საიჯარო ვალდებულებები	28,741	–	–	**28,741**	35,897	–	–	**35,897**
სხვა ვალდებულებები	81,312	133	–	**81,445**	30,294	667	–	**30,961**
	2,830,242	**202,260**	**193,410**	**3,225,912**	**2,505,592**	**197,632**	**59,489**	**2,762,713**
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	**707,633**	**(117,750)**	**(176,188)**	**413,695**	**274,267**	**130,991**	**(56,260)**	**348,998**

წინასწარ გადახდის რისკი

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის მომხმარებლები ან კონტრაჰენტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან. მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკა საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში.

ბანკი ახდენს სესხის ვადაზე ადრე ფაქტობრივი და მოსალოდნელი დაფარვების ან პოტენციური დაგვიანებული დაფარვების მოთხოვნების მონიტორინგს და საჭირო ზომებს იღებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო ზარალი. ბანკი პროაქტიულად წარმართავს მოლაპარაკებებს ახალ პოტენციურ მსესხებლებთან, რათა აანაზღაუროს ვადაზე ადრე დაფარვებით გამოწვეული საპროცენტო შემოსავლის დეფიციტი. ყოველგვარი დამატებითი ლიკვიდურობის ინვესტირება ხდება პროცენტიან აქტივებში, ლიკვიდურობის მართვის შიდა პრაქტიკის შესაბამისად.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ეფექტი ერთი წლის დაუბეგრავ მოგებასა და კაპიტალზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

	გავლენა წმინდა საპროცენტო შემოსავალზე	*გავლენა საკუთარ კაპიტალზე*
2022	(25,001)	(22,407)
2021	(21,942)	(18,520)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკის მართვა და ზედამხედველობა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ბანკის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ბანკის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. სხვა მიზნებში შედის ბანკის საქმიანობის დაფინანსების წყაროების დაბალანსება, სებ-ის სტანდარტების დაკმაყოფილება, კრიზისული სიტუაციების მართვა და დაფინანსების დანახარჯების გაკონტროლება.

ლიკვიდურობის რისკის შემცირების ძირითადი ხერხებია ლიკვიდურობის რეზერვების შექმნა, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება და დაფინანსების ვადების გახანგრძლივება. თუმცა, სავალდებულო მოთხოვნებზე მნიშვნელოვნად მეტი ლიკვიდურობა მოულოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინების გამო თავიდან უნდა იქნეს აცილებული და დირექტორთა საბჭომ უნდა განიხილოს და შეარჩიოს ლიკვიდურობის სათანადო დონემდე დაყვანის ზომები.

ხაზინის განყოფილებას ევალება ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკების მართვა და მათი შენარჩუნება იმ ზღვრებსა და ლიმიტებში, რომლებიც დაწესებულია პოლიტიკით რისკის დასაშვები დონის შესახებ. ხაზინის განყოფილება ცენტრალიზებულად მართავს ლიკვიდურობის რისკს და მინიმუმ კვირაში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს დირექტორთა საბჭოს. ლიკვიდურობის რისკის მართვასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს აქტივ-პასივების კომიტეტი იღებს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს ანალიზისთვის ამოსავალ მონაცემებს წარუდგენს ხაზინის განყოფილება და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილება. საწარმოს რისკის მართვის განყოფილება დამატებით ატარებს ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის ყოველთვიურ სტრესგამძლეობის ანალიზს და შედეგებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტს ამცნობს.

ბანკს აქვს აღდგენის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ზეწოლას ლიკვიდურობის გამომწვევ მოვლენებზე და აღდგენის გეგმის სტრატეგიას. რადგან სტრესის მოვლენის ხასიათის ზუსტად განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია, შემუშავებულია გეგმები, რომლებიც მოქნილია სტრესის მოვლენის სხვადასხვა ხასიათისა და სიმძიმის მიმართ და შეიცავს მოქმედებათა არჩევანს, რომელიც საჭირო დროს შესაბამისად გამოიყენება. ლიკვიდურობის გამომწვევ მოვლენებს ყოველდღიურად აკონტროლებს ხაზინის განყოფილება და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილება. ნებისმიერი პოტენციური გამომწვევი მოვლენა ეცნობება დირექტორთა საბჭოს და განიხილება აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ. აღდგენის გეგმა მოიცავს დამატებითი ლიკვიდურობის წარმოქმნის ეტაპობრივ ნაბიჯებს მძიმე სტრესის დასაძლევად, და მას ახორციელებს ხაზინის განყოფილების უფროსი აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს მეთვალყურეობით.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ბანკი მიმართავს სტრესულ ტესტირებას და სცენარულ ანალიზს, რომ შეაფასოს მოულოდნელი და მძიმე სტრესის მოვლენების გავლენა მის ლიკვიდურობის პოზიციაზე. სცენარები მოიცავს როგორც ბანკისთვის სპეციფიკურ, ისე ბაზართან დაკავშირებულ რისკის დადგომის შემთხვევებს.

სავალდებულო მოთხოვნები

ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება ბაზელ III-ის პრინციპების თანახმად. სებ-ი ყველა ბანკს ავალდებულებს, რომ ყოველდღიურად შეინარჩუნონ 75.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ₾-ში, 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში და 100.0%-იანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი მთლიანობაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 111.8%-ს. იგივე კოეფიციენტი ₾-ში იყო 103.8%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 124.2% (2021 წლის 31 დეკემბერი: მთლიანი ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი იყო 134.7%, იგივე კოეფიციენტი ₾-ში იყო 86.9%, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 205.9%).

ბანკს საკმარისი ბუფერი აქვს, რომელიც აღემატება წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის 100%-იან მოთხოვნას, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბერს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის სოლიდური ბუფერი ნიშნავს სტაბილურ დაფინანსების წყაროებს ხანგრძლივი ვადით. ამ მიდგომის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ დაფინანსების მექანიზმი საკმარისად მოქნილია, რათა უზრუნველყოფს ლიკვიდურობა სხვადასხვა საბაზრო პირობებში. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 130.1% (2021 წ.: 146.3%), რაც საკმაოდ მაღალია სებ-ის მიერ მოთხოვნილ მინიმალურ სავალდებულო ბუფერზე.

დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. თუმცა, ბანკი მოელის, რომ მეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	257,122	11,775	59,382	5,060	**333,339**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	2,070,955	452,071	145,989	63,408	**2,732,423**
საიჯარო ვალდებულებები	1,678	4,717	18,970	6,621	**31,986**
სუბორდინირებული ვალი	8,545	6,080	88,176	23,749	**126,550**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**2,338,300**	**474,643**	**312,517**	**98,838**	**3,224,298**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი დაფარული					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დადებითი სამართლიანი ღირებულება					
(შემოდინება)	(9,619)	–	–	–	(9,619)
გადინება	9,626	–	–	–	**9,626**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი დაფარული					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების უარყოფითი სამართლიანი ღირებულება					
(შემოდინება)	(136,900)	(40,731)	(62,172)	–	**(239,803)**
გადინება	133,784	28,235	44,984	–	**207,003**

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	253,832	10,039	78,807	17,095	**359,773**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	1,543,669	466,105	267,507	56,045	**2,333,326**
საიჯარო ვალდებულებები	2,188	6,224	21,700	10,054	**40,166**
სუბორდინირებული ვალი	2,861	7,248	107,826	30,244	**148,179**
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**1,802,550**	**489,616**	**475,840**	**113,438**	**2,881,444**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი დაფარული					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დადებითი სამართლიანი ღირებულება					
(შემოდინება)	(68,611)	–	–	–	(68,611)
გადინება	69,703	–	–	–	**69,703**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები – მთლიანი დაფარული					
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების უარყოფითი სამართლიანი ღირებულება					
(შემოდინება)	(107,509)	–	(93,784)	–	**(201,293)**
გადინება	107,213	–	105,144	–	**212,357**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სახელშეკრულებო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული გამოუყენებელი სესხის პირობითი ვალდებულება შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება. გამოშვებული ფინანსური საგარანტიო კონტრაქტების შემთხვევაში, გარანტიის მაქსიმალური თანხა ნაწილდება იმ ყველაზე ადრეულ პერიოდზე, როდესაც შესაძლებელი იქნება გარანტიის გამოთხოვა.

	3 თვეზე ნაკლები	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
2022	164,181	2,134	385	68	**166,768**
2021	139,629	4,306	873	122	**144,930**

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ხაზინის განყოფილება მართავს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს. აქტივებისა და ვალდებულებების მოდელირება საჭიროა, როდესაც სახელშეკრულებო ვადა ადეკვატურად არ ასახავს ლიკვიდურობის რისკის პოზიციას. ბანკის შემთხვევაში ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი იქნებოდა საცალო, კორპორაციული და მუნიციპალური თუ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიმდინარე და შემნახველი ანგარიშები. მართალია, ხელშეკრულებების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშები მოთხოვნამდე იფარება და შემნახველი ანგარიშები მცირე ხნით ადრე მოთხოვნისას, მომხმარებლების ფართო ბაზა - რიცხობრივი თვალსაზრისითაც და მეანაბრეების ტიპების მიხედვითაც - ეხმარება ბანკს ნაშთების მოულოდნელი მერყეობისგან თავის დასაცავად. ასეთი ანგარიშები ქმნის ფინანსური რესურსების სტაბილურ ბაზას ბანკის ოპერაციებისა და ლიკვიდურობის საჭიროებებისთვის. ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა.

	2022			*2021*		
	ერთი წლის განმავლობაში	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*	*ერთი წლის განმავლობაში*	*ერთ წელზე მეტ ვადაში*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	450,324	–	**450,324**	641,617	–	**641,617**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	105,341	–	**105,341**	87,656	–	**87,656**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	1,040,872	1,385,551	**2,426,423**	758,127	1,121,594	**1,879,721**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	177,009	192,472	**369,481**	53,082	186,572	**239,654**
სულ	**1,773,546**	**1,578,023**	**3,351,569**	**1,540,482**	**1,308,166**	**2,848,648**
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	267,078	60,201	**327,279**	261,479	88,248	**349,727**
ვალდებულებები კლიენტების მიმართ:	1,455,294	1,234,379	**2,689,673**	1,045,637	1,188,031	**2,233,668**
მიმდინარე ანგარიშები	375,851	1,033,065	**1,408,916**	375,875	915,851	**1,291,726**
ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით)	1,079,443	201,314	**1,280,757**	669,762	272,180	**941,942**
საიჯარო ვალდებულებები	275	28,466	**28,741**	1,179	34,718	**35,897**
სუბორდინირებული ვალი	394	98,380	**98,774**	445	112,015	**112,460**
სულ	**1,723,041**	**1,421,426**	**3,144,467**	**1,308,740**	**1,423,012**	**2,731,752**
წმინდა	**50,505**	**156,597**	**207,102**	**231,742**	**(114,846)**	**116,896**

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

აქტივების ვადიანობა დამოკიდებულია მათ საბალანსო თანხებზე და შესაბამისი წლის 31 დეკემბრისთვის, იურიდიული თვალსაზრისით, ყველაზე ადრე გამოყენებად ვადაზე. ვალდებულებების ვადიანობა დამოკიდებულია ხელშეკრულების მიხედვით უადრეს ვადაზე, ან პირველივე მოთხოვნაზე, გარდა მიმდინარე ანგარიშებისა. მიმდინარე ანგარიშების ნაწილი წარმოდგენილია ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში მათი სტაბილური ხასიათის გამო. ვადიანი დეპოზიტების (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით) დივერსიფიცირება დეპოზიტორთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით და ბანკის გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და დეპოზიტები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია გეპის ანალიზის ცხრილში მითითებული სახსრების გადინების სავარაუდო დროის მიხედვით ბანკის მიერ წინა პერიოდების დროს დაგროვილი სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „მუდმივ“ ნაწილთან დაკავშირებით გამოთქმული ვარაუდების საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლების მიმართ მთლიანმა ვალდებულებებმა შეადგინა ₾ 2,689,673 (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ₾ 2,233,668). აქედან მიმდინარე ანგარიშებზე მოდიოდა ₾ 1,408,916 (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ₾ 1,291,726). ბანკი ყოველდღიურად ატარებს მიმდინარე ანგარიშების ნაშთების სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. წინა 24 თვის შესაბამის პერიოდებში ეს ნაშთები ₾ 1,033,065-ზე ნაკლები არ ყოფილა (2021 წ.: ₾ 915,851). ამიტომ, ზედა გრაფიკში ეს თანხები ასახულია, როგორც ვალდებულებები კლიენტების მიმართ ერთ წელზე მეტი ვადის დიაპაზონში. კლიენტების მიმართ ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები რომ გაგვეთვალისწინებინა, კუმულაციური ლიკვიდურობის გეპი ერთ წელიწადში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უარყოფითი იქნებოდა და შეადგენდა ₾ 982,560-ს (2021 წლის 31 დეკემბერი: უარყოფითი ₾ 684,109).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს საკმარისი ლიკვიდური უზრუნველყოფა ჰქონდა, რათა შეტყობინებისთანავე მოეზიდა სებ-იდან ₾ 140,838 (2021 წ.: ₾ 61,101).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ისეთი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის ზოგად ვითარებაზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპებია საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და მათი მერყეობის დონე. საბაზრო რისკს, ძირითადად, სავაჭრო საქმიანობა განაპირობებს. ბანკს არ აქვს სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი, რადგან ბანკი, მისთვის რისკის მისაღები დონიდან გამომდინარე, არ არის ჩაბმული სავაჭრო საქმიანობაში. საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საბაზრო რისკი მოიცავს კაპიტალში მონაწილეობის ზარალის რისკს და საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს, რომლებიც ბანკის საშუამავლო საქმიანობიდან წარმოიშობა. ბანკს აქვს თავის საბანკო პორტფელთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე.

ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდევი ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებს.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

	2022		
ვალუტა	საბაზისო ერთეულით ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა	სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა
ლარი	100	5,501	(1,898)
აშშ დოლარი	100	1,846	-
ევრო	100	1,588	-

	2022		
ვალუტა	საბაზისო ერთეულით კლება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა	სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა
ლარი	100	(5,501)	1,984
აშშ დოლარი	100	(1,846)	-
ევრო	100	(1,588)	-

	2021	
ვალუტა	საბაზისო ერთეულით ზრდა	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა
ლარი	100	3,163
აშშ დოლარი	100	598
ევრო	100	1,868

	2021	
ვალუტა	საბაზისო ერთეულით კლება	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა
ლარი	100	(3,163)
აშშ დოლარი	100	(598)
ევრო	100	(1,868)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარებალანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 20.0%-ის ოდენობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შეინარჩუნა აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიცია საზედამხედველო კაპიტალის 4.3%-ის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 10.9%).

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ბანკს დამტკიცებული აქვს სავალუტო რისკი მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის ბანკისთვის სავალუტო რისკების მართვის პარამეტრების დაწესება.

სავალუტო რისკის მართვის პროცესი, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს:

- ადეკვატური მეთოდოლოგიის შერჩევა სავალუტო რისკის გამოვლენასა და რაოდენობრივ შეფასებაზე;
- ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიური მონიტორინგი;
- სავალუტო რისკის მინიმუმამდე დაყვანა დადგენილი ლიმიტების დაცვით;
- გაზრდილი სავალუტო რისკის არსებული და მოსალოდნელი უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და ამის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება სავალუტო რისკის მართვის სტრატეგიაზე;
- სავალუტო რისკის ოპერაციებში გამოყენებული ინსტრუმენტების ტიპებისა და ლიმიტების განსაზღვრა.

პოლიტიკა რისკის დასაშვები დონის შესახებ აწესებს რისკის დონის ლიმიტებს ვალუტების მიხედვით და ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციების ლიმიტებს, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ბანკის მხრიდან ამ ლიმიტების დაცვა ყოველდღე კონტროლდება ხაზინისა და საწარმოს რისკის მართვის ქვეგანყოფილების მიერ.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია ჯგუფისათვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის არასავაჭრო ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს ფასდება უცხოური ვალუტის ₾-ის მიმართ კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძნობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგებასა ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ვალუტა	*გამყარება/ ₾-ის სავალუტო კურსის (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებით (%) 2022*	*გავლენა დასაბეგრ მოგებაზე 2022*	*გამყარება/ ₾-ის სავალუტო კურსის (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებით (%) 2021*	*გავლენა დასაბეგრ მოგებაზე 2021*
აშშ დოლარი	25.90%	(1,972)	11.53%	(2,658)
ევრო	29.52%	(2,429)	0.18%	(2,652)

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ზარალის განცდის საფრთხე, რომელსაც განაპირობებს შიდა პროცესების, სისტემების, ან ადამიანების არაადეკვატურობა ან უმოქმედობა, ან გამიზნული, შემთხვევითი, თუ ბუნებრივი გარე მოვლენები. გარე მოვლენებს, სხვებთან ერთად, მიეკუთვნება თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტების თუ ჰაკერების თავდასხმა. საკრედიტო ან საბაზრო მოვლენები, როგორიცაა გადაუხდელობა ან ღირებულების მერყეობა საოპერაციო რისკის ფარგლებში არ ექცევა. საოპერაციო რისკის ნაწილია შესაბამისობის რისკიც. შესაბამისობის რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ ბანკს მარეგულირებელი ორგანოსგან დაეკისროს სანქციები, განიცადოს ფინანსური ზარალი და/ან საფრთხე შეექმნას მის რეპუტაციას იმის გამო, რომ მან ვერ შეასრულა მოქმედი კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები და ნორმები. საოპერაციო რისკი არ მოიცავს რეპუტაციის და სტრატეგიულ რისკებს.

საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი მიზანია არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესების, ადამიანების ან სისტემების, ან გარე მოვლენების მიერ განპირობებული რისკების განსაზღვრა და, თუ შესაძლებელია, მათი შემცირება ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრულ დონემდე.

ბანკს შექმნილი აქვს საოპერაციო რისკის მართვის სისტემა და ყველა შესაძლო ზომას იღებს, რომ გაერკვეს, რა საოპერაციო რისკები ახასიათებს ბიზნესს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესების, ადამიანებისა და სისტემების და გარე მოვლენების გამო. საოპერაციო რისკის მართვის სისტემის მიზანია, ბანკს საშუალება მიეცეს, რომ ეფექტურად და ეფექტიანად შეაგროვოს, შეაფასოს, მართოს და განაცხადოს საოპერაციო რისკი.

საოპერაციო რისკის მართვის განყოფილების, ფიზიკური უსაფრთხოების განყოფილების, პრობლემური სესხების და სასამართლო დავების, შიდა აუდიტის და ბიზნესპროცესების მმართველების მოვალეობები საოპერაციო რისკის მართვის სისტემის ფარგლებში გაწერილია საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკაში.

ზოგადად, ბანკს არ აქვს განსაზღვრული საოპერაციო რისკის დასაშვები დონე და მისი მიზანია, შეამციროს რისკის დადგომის შემთხვევებით გამოწვეული ზარალი იმდენად, რომ მათ ბანკზე არსებითი გავლენა არ მოახდინონ. ბანკს დაბალი ამტანობა აქვს საოპერაციო რისკების მიმართ, რომლებიც უკავშირდება თაღლითობას, საინფორმაციო უსაფრთხოებას (საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით) და რეგულაციების დარღვევას, ამიტომ იგი ყველა ზომას იღებს, რომ აღმოფხვრას ასეთი რისკები. საქმეთა უმრავლესობა გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

შექმნილია და ფუნქციონირებს რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა, რათა ყველა შემთხვევა, ზარალი და პოტენციური საფრთხის შემცველი მოვლენა აღირიცხოს და მათზე სათანადოდ რეაგირება მოხდეს. ეს ბაზა წარმოადგენს ბანკის ტექნიკურ ინსტრუმენტს, რომ სისტემაში მოიყვანოს რისკის შემთხვევები. ეს ინფორმაცია გამოიყენება რისკების იდენტიფიკაციის გასაუმჯობესებლად და მათ სამართავად სათანადო მიდგომების ჩამოსაყალიბებლად. მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ანალიზი ცენტრალიზებულად ხორციელდება საოპერაციო რისკის მართვის განყოფილების მიერ. საოპერაციო რისკის შემთხვევები რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზიდან, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ, პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალი ეცნობება დირექტორთა საბჭოს.

ბანკის სტანდარტებთან შესაბამისობას ხელს უწყობს შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული პერიოდული შემოწმებების პროგრამა. შიდა აუდიტის შემოწმებების შედეგები განიხილება შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელებთან და შედეგები წარედგინება აუდიტის კომიტეტსა და სამეთვალყურეო საბჭოს.

რისკის შემცირების მთავარი მექანიზმები, რომლებსაც ბანკი გამოიყენებს, ეყრდნობა საოპერაციო რისკის პროფილს და სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკას რისკის დასაშვები დონის შესახებ. ბანკი აქტიურად იყენებს კორპორაციულ დაზღვევას თავისი საოპერაციო რისკების შესამცირებლად.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

ისეთ მნიშვნელოვან აქტივებს, როგორიცაა ძირითადი საშუალებები, გარე შემფასებლები აფასებენ. გარე შემფასებლების დაქირავების თაობაზე ხელმძღვანელობა ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას ბანკის აუდიტის კომიტეტთან შეთანხმებით. შერჩევის კრიტერიუმებში შედის ბაზრის ცოდნა, რეპუტაცია, დამოუკიდებლობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა. შემფასებლების როტაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხდება. ხელმძღვანელობა, ბანკის გარე შემფასებლებთან გამართული განხილვების შემდეგ გადაწყვეტს, თითოეულ შემთხვევაში შეფასების რომელი მეთოდები და მონაცემები გამოიყენოს.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აანალიზებს იმ აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების ცვლილებას, რომელთა ხელახლა შეფასებაც აუცილებელია ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ ანალიზისთვის ხელმძღვანელობა ამოწმებს ბოლო შეფასებაში გამოყენებულ ძირითად მონაცემებს, რისთვისაც შეფასების გაანგარიშებაში გამოყენებულ ინფორმაციას უდარებს ხელშეკრულებებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. ხელმძღვანელობა, ბანკის გარე შემფასებლებთან ერთად, ასევე ადარებს ყოველ ცვლილებას თითოეული აქტივისა და ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში შესაბამის გარე წყაროებთან, რათა განსაზღვროს ეს ცვლილება კანონზომიერია, თუ არა. ხელმძღვანელობა და ბანკის გარე შემფასებლები შეფასების შედეგებს წარუდგენენ აუდიტის კომიტეტსა და ბანკის დამოუკიდებელ აუდიტორებს. ამასთან, ხდება შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების განხილვაც.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ბანკი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: სხვა მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ბანკმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*შეფასების თარიღი*	*სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:*			
		(1-ელი დონე)	*(მე-2 დონე)*	*(მე-3 დონე)*	*სულ*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	7	–	**7**
საინვესტიციო ქონება	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	–	2,008	**2,008**
ძირითადი საშუალებები – შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	–	92,578	**92,578**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	66,870	–	**66,870**
		–	**66,877**	**94,586**	**161,463**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	450,324	–	**450,324**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	105,341	–	**105,341**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	–	2,271,018	**2,271,018**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	306,336	–	**306,336**
		–	**862,001**	**2,271,018**	**3,133,019**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	30,251	–	**30,251**
		–	**30,251**	–	**30,251**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	325,096	–	**325,096**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	2,693,704	–	**2,693,704**
საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	28,422	–	**28,422**
სუბორდინირებული ვალი	31 დეკემბერი, 2022 წ.	–	99,421	–	**99,421**
		–	**3,146,643**	–	**3,146,643**

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*შეფასების თარიღი*	*სამართლიანი ღირებულების შეფასება, შემდეგის გამოყენებით:*			
		(1-ელი დონე)	*(მე-2 დონე)*	*(მე-3 დონე)*	*სულ*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	1,093	–	**1,093**
საინვესტიციო ქონება	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	–	3,491	**3,491**
ძირითადი საშუალებები – შენობა-ნაგებობები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	–	91,000	**91,000**
		–	**1,093**	**94,491**	**95,584**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	641,617	–	**641,617**
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	87,656	–	**87,656**
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	–	1,855,245	**1,855,245**
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	239,821	–	**239,821**
		–	**969,094**	**1,855,245**	**2,824,339**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	9,844	–	**9,844**
		–	**9,844**	**–**	**9,844**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	346,049	–	**346,049**
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	2,221,173	–	**2,221,173**
საიჯარო ვალდებულებები	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	35,971	–	**35,971**
სუბორდინირებული ვალი	31 დეკემბერი, 2021 წ.	–	113,319	–	**113,319**
		–	**2,716,512**	**–**	**2,716,512**

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში გაწერილია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და რომელთა სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	საბალანსო ღირებულება 2022	*სამარ-თლიანი ღირებულება 2022*	*აუღიარე-ბელი შემოსულობა/ (ზარალი) 2022*	*საბალანსო ღირებულება 2021*	*სამარ-თლიანი ღირებულება 2021*	*აუღიარე-ბელი შემოსულობა/ (ზარალი) 2021*
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები						
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	2,426,423	2,271,018	(155,405)	1,879,721	1,855,245	(24,476)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	105,341	105,341	–	87,656	87,656	–
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	369,481	373,206	3,725	239,654	239,821	167
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	327,279	325,096	2,183	349,727	346,049	3,678
ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ	2,689,673	2,693,704	(4,031)	2,233,668	2,221,173	12,495
საიჯარო ვალდებულებები	28,741	28,422	319	35,897	35,971	(74)
სუბორდინირებული ვალი	98,774	99,421	(647)	112,460	113,319	(859)
არარეალიზებული სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			**(153,856)**			**(9,069)**

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ აღწერილია მეთოდები და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებების და აგრეთვე იმ მუხლების სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება ცნობილია.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება ხანმოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება სავარაუდოდ უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს და ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელებს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კოტირებული თამასუქების და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა ფასების კოტირებას საანგარიშგებო თარიღისთვის და მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, კლიენტებზე გაცემული სესხების, კლიენტთა ანაბრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, სებ-ისთვის და საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხების და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება და შენობა-ნაგებობები

უძრავი ქონების შეფასების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს:

საბაზრო მეთოდი

განსაზღვრავს უძრავი ქონების საბაზრო ფასის ზღვარს, რისთვისაც ამოწმებს მყიდველების მიერ შესაფასებელი ქონების ანალოგიურ ობიექტებში გადახდილ ფასებს. ხდება ყიდვის გარიგების საფუძვლიანი შემოწმება, რათა დაზუსტდეს, რომ გარიგების მხარეები სათანადოდ იყვნენ მოტივირებულები. არ განიხილება ისეთი გასაყიდი ფასები, რომლებშიც გარიგების მხარეს აქვს ბაზრის ტიპური მონაწილისგან განსხვავებული მოტივაცია, მაგ. სპეციფიკური ყიდვა-გაყიდვის გარიგებები, სადაც მყიდველი მზადაა ზედმეტი გადაიხადოს გარკვეულ ქონებაში. ამ მეთოდის მიხედვით ხდება შედარების ერთეულების, მაგალითად შენობის მთლიანი ფართობის ერთი კვადრატული მეტრის ფასის გაანალიზება. გაყიდვების/კოტირების კორექტირებები ხდება ადგილმდებარეობის, ზომის, სიძველისა და მდგომარეობის, დაფინანსებისა და ბევრი სხვა ფაქტორის მიხედვით, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა მოახდინონ ღირებულებაზე.

შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულების გაყიდვების შედარებითი (საბაზრო მონაცემების) მეთოდით ანალიზისას გამოიყენება საუკეთესო ხელმისაწვდომი, უახლესი და მსგავსი ობიექტების გასაყიდი/კოტირებული ფასები საანგარიშგებო თარიღისთვის.

შედარებადი ობიექტების გაყიდვისა და კოტირების ფასების შესახებ ინფორმაცია მიიღება საბროკერო კომპანიებისგან, შუამავლებისა და ბროკერებისგან, ასევე საჯარო წყაროებიდან, მათ შორის ვებგვერდებზე განთავსებული საბროკერო მომსახურების განცხადებებიდან და გამოქვეყნებული მონაცემებიდან. შემდეგ ხდება ამ ინფორმაციის გადამოწმება ობიექტების მფლობელებთან და/ან აღნიშნულ გარიგებებში მონაწილე პრინციპალებთან თუ ბროკერებთან.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

დანახარჯების მეთოდი

უძრავი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს ანალოგიური დანიშნულებით მიწის შესყიდვისა და ახალი შენობის აშენების ან ძველი შენობის განახლების ხარჯის გამოანგარიშებით, დაგვიანებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების გარეშე. მიწისა და მშენებლობის ხარჯებს, ჩვეულებრივ, ემატება მეწარმის წამახალისებელი ანაზღაურება ან დეველოპერის მოგება/ზარალი. ძველი შენობების შემთხვევაში დანახარჯების მეთოდი გამოიყენება ცვეთის ხარჯის გამოსათვლელად, ფიზიკური ცვეთისა და ფუნქციონალური ცვეთის ჩათვლით.

ხარჯის ჩანაცვლების მეთოდის ძირითადი მიდგომა იმას გულისხმობს, რომ არავინ გადაიხდის მოცემულ ქონებაში იმაზე მეტს, ვიდრე დაუჯდებოდა მისი აშენება.

დანახარჯების მეთოდი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- მიწის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება;
- გაუმჯობესების აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯის გაანგარიშება;
- ყველა წყაროდან (ფიზიკური, ფუნქციონალური ცვეთა, გარეგანი და ეკონომიკური დაძველება) დარიცხული ცვეთის გაანგარიშება;
- აღდგენითი ან ჩანაცვლების ხარჯიდან დარიცხული ცვეთის გამოკლება, ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის გამოსათვლელად;
- აღჭურვილობის ხარჯის გაანგარიშება და ცვეთის გამოკლება;
- ცვეთის დარიცხვის შემდგომი გაუმჯობესების ხარჯის დამატება ცვეთის დარიცხვის შემდგომ აღჭურვილობის ხარჯისა და მიწის ღირებულებისთვის, ქონების მთლიანი ღირებულების მისაღებად.

შემოსავლის კაპიტალიზაციის მეთოდი

შემოსავლების წარმოქმნის მეთოდოლოგია ეყრდნობა შესაფასებელი ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ ჰიპოთეზურ შემოსავალს. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების მიახლოებითი გაანგარიშება ხდება კაპიტალიზაციის კოეფიციენტზე დაყრდნობით, რომელიც გამოითვლება ალტერნატიული საინვესტიციო მეთოდოლოგიის გრძელვადიანი განაკვეთის საფუძველზე.

დისკონტირებული ფულადი ნაკადები

დასრულებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით.რეალური და პროგნოზირებული საბაზრო მოთხოვნის, საწარმოებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ტიპების, ფასწარმოქმნის პოლიტიკისა და ბაზარზე მოსალოდნელი კონკურენციის საფუძველზე, შემუშავდება ბიზნესის სტრატეგიული ფინანსური პროგნოზი. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით, ქონების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხდება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში მისი საკუთრების შედეგად მისაღები სარგებლისა და ვალდებულების დაშვებების საფუძველზე, გასვლის და საბოლოო ღირებულების ჩათვლით. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი შემოსავლის მეთოდით შეფასების ფარგლებში ფართოდ გამოიყენება და ნიშნავს უძრავ ქონებაზე ფულადი ნაკადების პროგნოზირებას. შემდეგ ხდება ამ პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირება საბაზრო დისკონტირების განაკვეთით, რათა დადგინდეს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შემომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. ფულადი ნაკადების ვადიანობასა და შემოდინება-გადინების დროებზე მოქმედებს ისეთი მოვლენები, როგორიცაა იჯარის გადასინჯვა, საიჯარო ხელშეკრულების განახლება და მოიჯარეების მოზიდვის, ხელახლა გაქირავების, ხელახლა განვითარების ან განახლების შესაბამისი პერიოდები. მიზანშეწონილ ვადას განსაზღვრავს ანალოგიური უძრავი ქონებისთვის დამახასიათებელი საბაზრო ქცევა.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, პერიოდული ფულადი ნაკადი ჩვეულებრივ გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ერთობლივ შემოსავალს აკლდება შენობის უქმად მოცდენის ხარჯი, ხარჯები, რომლებიც ამოღებას არ ექვემდებარება, ამოუღებელი საიჯარო დავალიანების ზარალი, იჯარის წამახალისებელი გადახდები, ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების ხარჯები, შუამავლის ანაზღაურებისა და საკომისიო ხარჯები, და სხვა საოპერაციო და მართვის ხარჯები. შემდეგ ხდება პერიოდული წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინების დისკონტირება, საპროგნოზო პერიოდის ბოლოსთვის მოსალოდნელ საბოლოო ღირებულებასთან ერთად.

მოძრაობა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ მე-3 დონის აქტივებსა და ვალდებულებებში

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის აქტივებსა და ვალდებულებებში საინვესტიციო ქონების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება. ძირითადი საშუალებების – შენობების შეჯერება მოცემულია *მე-11 შენიშვნაში*.

	2022 წლის 1 იანვარს	*საინვესტიციო ქონების გაყიდვა*	*მოგებაში ან ზარალში აღრიცხული მთლიანი ზარალი*	*2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
აქტივები				
საინვესტიციო ქონება	3,491	(1,298)	(185)	2,008
	3,491	**(1,298)**	**(185)**	**2,008**

	2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	*მოგებაში ან ზარალში აღრიცხული მთლიანი შემოსულობა*	*2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
აქტივები			
საინვესტიციო ქონება	3,267	**224**	3,491
	3,267	**224**	**3,491**

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

ცხრილში წარმოდგენილია რაოდენობრივი ინფორმაცია მნიშვნელოვანი არაემპირიული მონაცემების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამართლებრივ ღირებულებათა იერარქიის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის და შემოსავლის მეთოდისთვის:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*საბალანსო ღირებულება*	*შეფასების მეთოდები*	*არაემპირიული მონაცემები*	*დიაპაზონი კვ.მ.-ზე*
შენობა-ნაგებობები – სათავო ოფისი	53,499	შემოსავლის მიდგომა მიდგომა (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	საიჯარო ქირის 10%-იანი ზრდა/კლება დისკონტირების განაკვეთის 10%-იანი ზრდა/კლება	(10.10%)-დან 9.60%-მდე (4.04%)-დან 4.04%-მდე
შენობა-ნაგებობები	7,231		ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(10.06%)-დან 9.95%-მდე
შენობა-ნაგებობები	31,848	საბაზრო მეთოდი შემოსავლის მიდგომა	საიჯარო ქირის 10%-იანი ზრდა/კლება	(9.66%)-დან 10.32%-მდე
საინვესტიციო ქონება – საოფისე შენობა	1,921	შემოსავლის მიდგომა	საიჯარო ქირის 10%-იანი ზრდა/კლება	(9.99)-დან 9.99%-მდე
საინვესტიციო ქონება – საცხოვრებელი ფართი	87	საბაზრო მეთოდი	ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(9.38%)-დან 9.38%-მდე

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*საბალანსო ღირებულება*	*შეფასების მეთოდები*	*არაემპირიული მონაცემები*	*დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)*
შენობა-ნაგებობები – სათავო ოფისი	50,302	შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი (დისკონტირებული ფულადი ნაკადები)	საიჯარო ქირის 10%-იანი ზრდა/კლება დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(10.00%)-დან 10.00%-მდე
შენობები	40,698	საბაზრო მეთოდი	ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(5.46%)-დან 15.54%-მდე
	2,113		საიჯარო ქირის 10%-იანი ზრდა/კლება	(9.97%)-დან 9.97%-მდე
საინვესტიციო ქონება – საოფისე შენობა		შემოსავლის მიდგომა	დატვირთვის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა/კლება	(12.02%)-დან 12.02%-მდე
საინვესტიციო ქონება – საცხოვრებელი ფართი	81	საბაზრო მეთოდი	ფასის მერყეობის კორექტირება: საბაზრო ფასების 10%-იანი ზრდა/კლება	(11.54%)-დან 11.54%-მდე
საინვესტიციო ქონება - კომერციული	1,297		ფასის მერყეობის კორექტირება: მიწის ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(6.21%)-დან 5.97%-მდე
დანიშნულების შენობა		დანახარჯების მეთოდი	ჩანაცვლების ღირებულების 10%-იანი ზრდა/კლება	(3.82%)-დან 3.82%-მდე

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებიდან მიღებული შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი ასეთია:

	2022			*2021*		
	აქციონერი	*მფლობელე-ბის მიერ კონტროლი-რებული საწარმოები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა-ნელობა*	*აქციონერი*	*მფლობელე-ბის მიერ კონტროლი-რებული საწარმოები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვა-ნელობა*
1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი	**7,635**	**7,382**	**897**	**–**	**10,573**	**491**
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	7,390	100	67	15,498	10,038	622
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	(6,942)	(7,086)	(202)	(7,863)	(13,229)	(216)
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები	**8,083**	**396**	**762**	**7,635**	**7,382**	**897**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(489)	(1)	(4)	(462)	(89)	(8)
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები	**7,594**	**395**	**758**	**7,173**	**7,293**	**889**
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	–	–	6	–	1,531	10
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	680	38	52	522	1,555	60
ანაბრები* 1 იანვრის მდგომარეობით	–	**12,405**	**40**	**–**	**13,126**	**20**
წლის განმავლობაში მიღებული ანაბრები	–	–	584	–	14	41
წლის განმავლობაში დაფარული ანაბრები	–	–	(16)	–	–	(1)
სხვა მოძრაობა**	–	(587)	(40)	–	(735)	(20)
ანაბრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	**11,818**	**568**	**–**	**12,405**	**40**
მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**275**	**7,548**	**115**	**71**	**31,756**	**2,500**
ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი	1	823	16	3	1,346	40
საკომისიო შემოსავალი	2	16	2	81	689	3

**ანაბრებში შედის ვადიანი ანაბრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები, ასევე შემნახველი ანგარიშები.*

*** წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან.*

(ათას ლარში)

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომლებზეც ბანკის აქციონერები გარკვეულ კონტროლს ახორციელებენ და რომლებიც ბანკის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგებოდა 6 ადამიანისგან (2021 წ.: 10) და მათი ანაზღაურება მოიცავდა შემდეგს:

	2022	*2021*
ხელფასები, პრემიები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	5,085	3,334
ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, სულ	**5,085**	**3,334**

28. კაპიტალის მართვა

ბანკის კაპიტალის მართვის მიზანია მუდმივად უზრუნველყოს თავისი გადახდისუნარიანობა, დააკმაყოფილოს საზედამხედველო და შიდა კაპიტალის მოთხოვნები და შეინარჩუნოს კაპიტალის გონივრული მარაგი ბანკის ცნობილი (და, გარკვეულწილად, უცნობი) რისკებისგან დასაცავად.

ბანკის მიერ თავისი მთლიანი კაპიტალის მართვა ეყრდნობა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესს, რომელიც წარმოადგენს მისი კაპიტალის მართვის ძირითად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, კაპიტალის სამართავად ბანკი ასევე იყენებს აღდგენის გეგმას, რომელიც შეიცავს საზედამხედველო კაპიტალის კრიტიკულ ზღვრებსა და აღდგენის სტრატეგიებს.

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით

2014 წლის 30 ივნისიდან ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, რომლებსაც ითვალისწინებს „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება“, დამტკიცებული # 100/04 დადგენილებით (პილარ I-ის დებულება“), გამოშვებული სებ-ის პრეზიდენტის მიერ 2013 წლის 23 ოქტომბერს.

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულებაში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, მოიცვა პილარ I-ის მოდელი და განისაზღვრა კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პილარ I-ის კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და სრული კაპიტალის კოეფიციენტებთან დაკავშირებით განისაზღვრებოდა 4.50%-ით, 6.00%-ითა და 8.00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით. ამასთან, ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა კომბინირებული ბუფერები და დაეკმაყოფილებინა პილარ II-ის მოთხოვნები.

2022 წლის 31 დეკემბერს სისტემურობის ბუფერი იყო 1.5%. ეს ბუფერი გადაისინჯა და შემცირდა 1%-მდე 2023 წლის იანვარში. გარდა ამისა, კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 0% კოვიდ-19-ის პანდემიის გამო. იგი თავის თავდაპირველ დონემდე, 2.5%-მდე გაიზრდება 2024 წლის იანვრისთვის. კონტრციკლური ბუფერი არის 0.00%. პილარ I-ის და კომბინირებულ ბუფერებში ცვლილებების შეტანა სებ-ის უფლებამოსილებაა.

(ათას ლარში)

28. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით (გაგრძელება)

2017 წლის 18 დეკემბერს, პილარ I-ის ბუფერებზე დამატებით, სებ-მა ასევე გამოსცა და დაამტკიცა პილარ II-ის მოთხოვნები. პილარ II-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კაპიტალის ბუფერებს: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR), წმინდა GRAPE (რისკების შეფასების საერთო პროგრამა) ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრესტესტის (სტრესგამძლეობის ანალიზი) ბუფერი.

ფინანსურ სექტორზე კოვიდ 19-ის პანდემიის უარყოფითი გავლენის შესამცირებლად და ქვეყნის ეკონომიკის წასახალისებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაწია კაპიტალის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის, რაც გულისხმობდა კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის ამოღების (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%) და სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის გადავადებას – სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3 გაუქმდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე. 2023 წლის იანვარში სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის გამოთვლის მეთოდი შეიცვალა და იგი სრულად იქნა ამოღებული. 2023 წლის იანვრიდან სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის გამოთვლის მეთოდი მიება საკრედიტო ინსტრუმენტების დოლარიზაციას.

გარდა ამისა, ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე დამატებითი საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა (30% და 40%, შესაბამისად), რომელიც 2020 წლის მარტის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, ერთი წლით გადაიდო. ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე დამატებითი საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა გახდა 45% და 60%, შესაბამისად, 2022 წლის მარტის ბოლოსთვის და იგი გახდება ძირითადი პირველადი კაპიტალის და პირველადი კაპიტალის 56% და 75%, შესაბამისად, 2023 წლის მარტის ბოლოსთვის.

2022 წლის 29 დეკემბერს (დადგენილება N198/04), სებ-მა გამოაქვეყნა და დაამტკიცა ცვლილებები წესში „დამატებითი კაპიტალის ბუფერების მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის“ პილარ-II-ის ფარგლებში (დადგენილება N176/04). ამ წესის მიხედვით, 2023 წლის იანვრიდან საქართველოს საბანკო სექტორი გადავა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული პრინციპის მიხედვით, ფასს გადასვლისას, თანაბარ პირობებში, მუდმივ დონეზე შენარჩუნდება საზედამხედველო კაპიტალის ღირებულებისადმი ნეიტრალური მიდგომა.
ამ მიზნით შეიცვლება კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩო. საკრედიტო რისკის კორექტირება დაემატება პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესს. საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერის დადგენის მიზანი არის აქტივების არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და ადეკვატური კაპიტალის ბუფერის განსაზღვრა.

დაწეული კაპიტალის მოთხოვნების შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ III-ის მოთხოვნების მიხედვით, ბანკს ევალებოდა, რომ შეენარჩუნებინა მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 13.37%-ის ოდენობით, ასევე პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9.43%-ის ოდენობით, და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8.01%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი იყო 14.17%, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 11.09%, ხოლო ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 10.92%).

(ათას ლარში)

28. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ III-ის მიხედვით (გაგრძელება)

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, სებ-ის ბაზელ II/III-ის მოთხოვნების თანახმად, შემდეგნაირად გამოითვლება:

	2022	*2021*
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**304,656**	**239,972**
დამატებითი პირველადი კაპიტალი	4,565	4,565
პირველადი კაპიტალი	**309,221**	**244,537**
მეორადი კაპიტალი	86,034	97,705
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**395,255**	**342,242**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**2,789,371**	**2,319,960**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	10.92%	10.34%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	11.09%	10.54%
სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	14.17%	14.75%

ლიბერთი

სს ლიბერთი ბანკი

მმართველობის ანგარიშგება 2022

ბანკი ყველგან და ყველასთვის

სარჩევი

1 შესავალი 3
1.1 მმართველობის ანგარიშგების მიზანი 3
1.2 შემოწმება 3
1.3 მომზადების საფუძველი 3
2 საქმიანობის მიმოხილვა 4
2.1 ბანკის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა 4
2.2 განვითარების გეგმები და ბიზნეს მოდელი 8
2.3 ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ 10
2.4 კვლევების მიმოხილვა 11
2.5 გამოსყიდული საკუთარი აქციები 11
2.6 საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და სხვა რისკების მიმოხილვა 12
3 კორპორაციული მართვის ანგარიშგება 25
3.1 აქციონერთა წლიური საერთო კრება 26
3.2 სამეთვალყურეო საბჭო 28
3.3 სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები 38
3.4 დირექტორთა საბჭო 43
3.5 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ 50
3.6 სავალდებულო სატენდერო შეთავაზება 50
3.7 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა 51
4 არაფინანსური ანგარიშგება 52
4.1 სოციალური და დასაქმების საკითხები 52
4.2 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები 57
4.3 ადამიანის უფლებები 58
4.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 58
4.5 დამატებითი ინფორმაცია 59

1 შესავალი

1.1 მმართველობის ანგარიშგების მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს და მიაწოდოს ინფორმაცია სს ლიბერთი ბანკის („ბანკი“) საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბანკის საქმიანობის მიმოხილვას, კორპორაციული მართვის ანგარიშგებას და არაფინანსურ ანგარიშგებას. მმართველობის ანგარიშგება შეგიძლიათ იხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე: saras.gov.ge.

1.2 შემოწმება

მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შემოწმდა და დამტკიცდა სს ლიბერთი ბანკის მმართველი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. აუდიტორის მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრის თაობაზე მოცემულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.3 მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ყველა რაოდენობრივი მაჩვენებელი აღრიცხულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად კონსოლიდირებულ დონეზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 საქმიანობის მიმოხილვა

2.1 ბანკის ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

ბანკის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებამ შეადგინა 63.16 მილიონი ლარი. კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხების მოცულობა გაიზარდა 29.1%-ით 2,426.42 ლარამდე. მთლიანი აქტივები გაიზარდა 17%-ით, ხოლო მთლიანი კაპიტალი - 18.5%-ით.

ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

	დასრულებული წლისთვის		
მილიონი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	*31 დეკემბერი 2022*	*31 დეკემბერი 2021*	*ცვლილება*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	250.01	219.42	13.9%
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი[1]	304.5	247.59	23%
წლის მოგება	63.16	42.5	48.6%
შემოსავალი საშუალო მთლიან კაპიტალზე[2]	16.56%	12.95%	
შემოსავალი საშუალო მთლიან აქტივებზე[3]	1.87%	1.39%	
	31 დეკემბერი 2022	*31 დეკემბერი 2021*	
მთლიანი აქტივები	3,639.61	3,111.71	17%
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,426.42	1,879.72	29.1%
მთლიანი ვალდებულებები	3,225.91	2,762.71	16.8%
მთლიანი კაპიტალი	413.7	349	18.5%

(1) მთლიანი საოპერაციო შემოსავალი არ მოიცავს სესხის გაუფასურების რეზერვის ხარჯს.
(2) შემოსავალი საშუალო მთლიან კაპიტალზე (Return on Average Equity - „ROAE“) შეადგენს იმ პერიოდის წმინდა მოგებას, რომელიც იყოფა საშუალო მთლიან კაპიტალზე იმავე პერიოდის განმავლობაში.
(3) შემოსავალი საშუალო მთლიან აქტივებზე (Return on Average Assets - „ROAA”) შეადგენს იმ პერიოდის წმინდა მოგებას, რომელიც იყოფა საშუალო მთლიან აქტივებზე იმავე პერიოდის განმავლობაში.

2022 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი პირველადი კაპიტალი (Common Equity Tier 1 - “CET1”) შეადგენს 305 მლნ ლარს და 2021 წლის დეკემბრის მონაცემთან შედარებით გაზრდილია 65 მლნ ლარით, მოგების აკუმულირების ხარჯზე. ხოლო მეორადი კაპიტალი 2022 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 86 მლნ ლარს და 2021 წლის დეკემბერთან შედარებით შემცირებულია 12 მლნ ლარით სუბორდინირებული ვალდებულების ამორტიზაციის და ლარის კურსის გამყარების ხარჯზე.
რისკის მიხედვით შეწონილმა რისკის პოზიციებმა (Risk Weighted Exposure - “RWE”) 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2,789 მილიონი ლარი. 2021 წლის დეკემბერთან შედარებით საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები გაიზარდა 431 მილიონი ლარით, საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები - 58 მილიონი ლარით, ხოლო საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიცია შემცირდა 20.2 მილიონი ლარით.

საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები



საზედამხედველო კაპიტალი მლნ ლარებში



RWA მლნ ლარებში



RWA რისკის ტიპის მიხედვით მლნ ლარში



შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები აღრიცხულია სებ-ის ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად.

კოვიდ პანდემიის პირობებში, 2020 წლის მარტში სებ-მა შეამსუბუქა კაპიტალის მოთხოვნები, რაც გულისხმობდა კაპიტალის კონსერვაციის ბუფერისა (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5%-ის ოდენობით) და პილარ 2-ის ბუფერის ნაწილის (არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის 2/3) გაუქმებას, აღნიშნული შეღავათით ბანკები სარგებლობდნენ 2021 წელსაც.

2021 წლის დეკემბერს სებ-მა ლარის სესხების გაცემის წასახალისებლად, მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალა სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი და დამოკიდებული გახადა კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე. სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი არსებული 75% რისკის წონის მოთხოვნის ნაცვლად სესხების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრება. აღნიშნული ცვლილება ძალაში 2023 წლის პირველი კვარტლიდან შევა.

სს ლიბერთი ბანკის რეიტინგები

Fitch Ratings		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი	გრძელვადიანი	B+	სტაბილური	4-აგვისტო-22
	მოკლევადიანი	B	-	
მხარდაჭერის რეიტინგი		WD	-	
მხარდაჭერის რეიტინგის დონე		WD	-	

Moody's		რეიტინგი	პერსპექტივა	თარიღი
საბანკო რეიტინგი (უცხოური)	გრძელვადიანი	Ba3	ნეგატიური	3-მაისი-22
საბანკო რეიტინგი (ადგილობრივი)		Ba3		
კონტრაგენტის რისკის რეიტინგი (უცხოური)	გრძელვადიანი	Ba2	-	
კონტრაგენტის რისკის რეიტინგი (ადგილობრივი)		Ba2	-	

კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო სექტორის პერსპექტივა განახლდა და სტაბილურიდან ნეგატიურზე გადაინაცვლა, თუმცა 2021 წლის დასაწყისში ისევ სტაბილური გახდა.

2022 წლის აპრილში Moody's-მა საქართველოს საბანკო სექტორის პერსპექტივა სტაბილურიდან ნეგატიურზე შეცვალა რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკებიდან გამომდინარე.

2021-2022 წლებში ბანკმა განაგრძო ლიკვიდური აქტივების ეფექტურად გამოყენება და ლიკვიდური სახსრებით სესხების დაფინანსება. ლიკვიდობის პოზიცია საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტმა 112% შეადგინა.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი



შენიშვნა: ზემოთ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აღრიცხულია სეგ-ის ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად.

2021 წლის ივლისში სებ-მა შეიტანა ცვლილება კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების წესში. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა ცალკეული კომერციული ბანკისთვის ინდივიდუალურად, დეპოზიტების დოლარიზაციის მიხედვით განისაზღვრება.

2.1.1 ბანკის კონკურენტული მდგომარეობა ბაზარზე

ბანკის მთლიანი აქტივების საბაზრო წილმა 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 5.2%. ბანკის მთლიანი სესხების საბაზრო წილი გასული წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრამდე 4.6%-დან 5.5%-მდე, ხოლო წმინდა სესხების საბაზრო წილი 4.5%-დან 5.5%-მდე გაიზარდა. კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების საბაზრო წილი 6%-ზე შენარჩუნდა.

მთლიანი აქტივების საბაზრო წილი



მთლიანი სესხების საბაზრო წილი



წმინდა სესხების საბაზრო წილი



კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების საბაზრო წილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2.1.2 ჯგუფის სტრუქტურა

ბანკი არის ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული საწარმოების მშობელი კომპანია, რომლებიც კონსოლიდირებულია აუდიტის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებებში (ფასს-ის შესაბამისად). საზედამხედველო და სხვა მნიშვნელოვანი მიზნებისთვის, აღნიშნული კომპანიები არ არის კონსოლიდირებული და ბანკს მოეთხოვება შეასრულოს ყველა საზედამხედველო მოთხოვნა დამოუკიდებლად. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანმა წმინდა ინვესტიციებმა აღნიშნულ კომპანიებში შეადგინა 0.1 მილიონი ლარი სებ-ის შესაბამისად და 1.1 მილიონი ლარი ფასს-ის შესაბამისად (31 დეკემბერი 2021 წ: 0.1 მილიონი ლარი სებ-ის შესაბამისად, 1.1 მილიონი ლარი ფასს-ის შესაბამისად).

ბანკის საკუთრების წილი

სახელი	*რეგისტრაციის ქვეყანა*	*31-დეკ-22*	*31-დეკ-21*	*რეგისტრაციის თარიღი*	*საქმიანობები*
შპს Bus Stop(1)	საქართველო	100.00%	100.00%	27-აგვისტო-09	გარე რეკლამირება
სს სმარტექსი	საქართველო	21.47%	21.47%	5-იანვარი-09	ადრეული ეტაპის VC ინვესტიციები

(1) ამჟამად უმოქმედო.

2.2 განვითარების გეგმები და ბიზნეს მოდელი

2020 წლის დასაწყისში ლიბერთი ბანკის ახალ აღმასრულებელ დირექტორად ვასილ ხოდელი დაინიშნა. 2020-2021 წლები ლიბერთი ბანკისთვის განახლებული სტრატეგიის, ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის წლები იყო. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ჯგუფმა შეიძინა ვითიბი ბანკი საქართველოს როგორც სადეპოზიტო პორტფელის, ისე სასესხო პორფელის ნაწილები (303,853 GEL და 317,162 GEL შესაბამისად). დირექტორთა საბჭოს უშუალო გეგმაა გაძლიერება, უნივერსალური საბანკო ბიზნეს მოდელის გამყარება, პროდუქტებისა და პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციასთან მიახლოება, რაც გააუმჯობესებს საქართველოს რეგიონებში ფინანსების ხელმისაწვდომობას ყველა სამომხმარებლო სეგმენტში. 2022 წელსაც ლიბერთი ბანკი მიყვება აღნიშნულ სტრატეგიას. 2022 წლის მაისში აღამსრულებელ დირექტორად ბექა გოგიჩაიშვილი დაინიშნა.

ახალი დირექტორთა საბჭოს მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს სააქციო ღირებულება მომგებიანი ზრდისა და საქართველოში ბანკის ერთ-ერთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტად გარდაქმნის გზით. ბანკი აერთიანებს ყველაზე დიდ საცალო ქსელს საქართველოში, რომელიც მოიცავს სრული მომსახურების ფილიალებს, სერვისცენტრებს, მცირე ზომის გაყიდვების ობიექტებს, აგრეთვე ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც მესამე მხარის ბიზნესშია განთავსებული. ბანკი მუდმივად ცდილობს მეტად განავითაროს მომხმარებლებთან კომუნიკაცია დისტანციური და ციფრული არხების გამოყენებით.

2020 წლის დასაწყისში ბანკმა შეიმუშავა ახალი ხედვა და მისია და წარმატებით მიყვება გეგმას 2022 წელსაც:

- ხედვა: ჩვენი ხედვაა გავაუმჯობესოთ საქართველოში თითოეული ადამიანის, ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება.

- მისია: ჩვენ მთელი გულით ვზრუნავთ ადამიანებზე, მათ ოჯახებსა და ბიზნესებზე. ჩვენ ვიქნებით ხელმისაწვდომი ყველგან, სადაც ჩვენი მომხმარებლები არიან და მივაწვდით მათზე მორგებულ და სწრაფ მომსახურებას.

2021 წელი

- 2021 წელს ლიბერთი ბანკს COVID-19 პანდემიის გამო მნიშვნელოვნად მძიმე საბაზრო პირობებთან გამკლავება მოუწია. ბანკის მიზანი იყო მინიმალური შესაძლო ნეგატიური გავლენით შესძლებოდა არახელსაყრელი ბაზრის პირობებში ფუნქციონირება და ამასთანავე გაეგრძელებინა მომხმარებლების კეთილდღეობაზე ზრუნვა. ბანკი წარმატებით გაუმკლავდა COVID-19 პანდემით შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებს.

2022 წელი

- 2022 წელს ბანკი ინარჩუნებს საქართველოში აქტივებით მესამე უმსხვილესი ბანკის პოზიციას და ამავდროულად ლარიზაციის მაღალ დონეს როგორც აქტივების, ისე ვალდებულებების მხრივ.

უნივერსალური საბანკო მომსახურება

- ლიბერთი ბანკი შეინარჩუნებს უნივერსალურ საბანკო მოდელს ძირითადი აქცენტით საცალო და MSME სეგმენტებზე. კორპორატიული და კერძო საბანკო ბიზნესი დარჩება მტკიცე საყრდენი უნივერსალური ბანკის მშენებლობის თვალსაზრისით.
- ხარისხიან უნივერსალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად, ლიბერთი ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაზე, პროცესების გამარტივებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ხარისხის ამაღლებასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, მათ შორის ისეთ კლიენტებზე, რომლებიც ჯერ არ სარგებლობენ საბანკო მომსახურებით.

ციფრული საბანკო მომსახურება

- ბანკი აპირებს გააგრძელოს ციფრული საბანკო შესაძლებლობების გაუმჯობესება და შექმნას მომხმარებლის უმაღლესი დონის ციფრული გამოცდილება მობილური და ინტერნეტბანკის პლატფორმების საშუალებით.
- ბანკი ასევე მიზნად ისახავს ახალი მომხმარებლებისთვის პროცესების დაჩქარება/გამარტივებას.
- ხანდაზმულთა და სოციალურად დაუცველი სეგმენტისთვის ფართო ფინანსური განათლების შესაძლებლობების შეთავაზებებთან ერთად, ასევე შემუშავდება ინოვაციური პროდუქტები.

კლიენტების მომსახურება

- ლიბერთი ბანკი არის მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური სერვისების მიმწოდებელი და აპირებს გააგრძელოს მომხმარებელთა მომსახურების და გამოცდილების მეტად გაღრმავება. ამ მხრივ, მიმდინარეობს მომხმარებელთა მომსახურების მოდელის, ორგანიზაციული ცვლილებების და მომხმარებელთა საჩივრების მართვის გაუმჯობესება.

საკრედიტო რეიტინგები

- ლიბერთი ბანკის მიზანია შეინარჩუნოს საკრედიტო რეიტინგები COVID-19 ით გამოწვეულ რთულ გარემოში, მაგრამ ასევე გეგმავს მათ გაუმჯობესებას გრძელვადიან პერსპექტივაში.
- ბანკის უახლესი საკრედიტო რეიტინგები გამოიყურება შემდეგნაირად:

- Fitch: B+, პერსპექტივა - სტაბილური, განახლების თარიღი: 4 აგვისტო 2022
- Moody's: Ba3, პერსპექტივა - ნეგატიური, განახლების თარიღი: 3 მაისი 2022

დაფინანსება

- ლიბერთი ბანკი მიზნად ისახავს გაუმჯობესოს/დააოპტიმიზიროს დაფინანსების სტრუქტურა და გამოიყენოს შესაძლებლობები ფონდირების ხარჯის შესამცირებლად. ამასთან დაკავშირებით, ბანკი აპირებს გააგრძელოს თანამშრომლობა და კომუნიკაცია საერთაშორისო განვითარების ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობა

- ბანკი აქტიურად უწყობს ხელს გარემოსთვის სასარგებლო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის CSR პროექტებს, რომლებიც მიმართულია ხადაზმულთა და საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის საჭიროებებზე, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე.
- „მწვანე ყუთები" სათაო ოფისში - სადაც გამოყენებული ქაღალდები გროვდება გადასამუშავებლად.
- უფასო კომპიუტერული და ფინანსური განათლება 60+ ასაკის ადამიანებისთვის, ახლა უკვე ონლაინ.
- სოლიდარობის ფონდი 22 წლამდე ონკოდაავადებული პაციენტებისთვის და რეაბილიტაციის ცენტრი შშმ ბავშვებისთვის.
- კომუნალური გადასახადების დაფინანსება ქვეყნის მასშტაბით 52 თავშესაფრისა და მზრუნველობის სახლისთვის.
- შიდა ფონდი თანამშრომლებისთვის „გულით ერთმანეთისთვის", რომელიც პანდემიის პერიოდში შეიქმნა და მათი ოჯახის წევრებს ეხმარება ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში.

ცხრილი 2.3.1 ბანკის მთავარი სტრატეგიული მაჩვენებლები

მომგებიანობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
უკუგება აქტივებზე, (გაწლიურებული), %	1.87%	1.39%
უკუგება კაპიტალზე, (გაწლიურებული), %	16.56%	12.95%

ათას ლარში	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მთლიანი სესხები	2,426.42	1,879.72

2.3 ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ბანკი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართო ფილიალების ქსელის მფლობელს საქართველოში. ბანკი მთელი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 455 ფილიალით, რომელიც ყოველთვიურად

ემსახურება 1.6 მილიონ კლიენტზე მეტს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფილიალები და სერვის ცენტრები ნაწილდება შემდეგნაირად:

- ფილიალები და სერვის ცენტრები – 150
- სპეციალიზირებული სერვის ცენტრები (Specialize Outlet) – 177
- მობილური ფილიალები (LX Mobile Branches) – 102
- ექსპრესს ფილიალები (Express Branches)-26

ფილიალები და სერვის ცენტრები მდებარეობს საქართველოს ყველა ქალაქში, დაბასა და რაიონული ცენტრში. სპეციალიზირებული სერვის ცენტრები ემსახურება საქართველოს მოსახლეობას ისეთ სტრატეგიულ ლოკაციებზე, როგორიც არის: სასაზღვრო-გამშვები პუნქტები, შსს მომსახურების სააგენტოები, იუსტიციის სახლები, შემოსავლების სამსახურები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოები და სხვა სტრატეგიული ლოკაციები.

ბანკი გაყიდვების წერტილებიით წარმოდგენილია ყველა დასახლებულ პუნქტსა და სოფელში, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს მიიღოს სრული საბანკო მომსახურება. მობილური ფილიალი არის მოძრავი ბანკი (ავტომობილი აღჭურვილი ტექნიკით), რომლითაც ბანკი სრულ საბანკო მომსახურებას უწევს საქართველოს მოსახლეობას ნებისმიერ ადგილას, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში.

2.4 კვლევების მიმოხილვა

2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ბანკმა ჩაატარა შემდეგი კვლევები:

- NPS, SCAT,CES - მომხმარებელთა კმაყოფილების და ლოიალობის კვლევა. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ლიბერთის მომხმარებლების კმაყოფილების, ლოიალობის და მომსახურების მიღების სიმარტივის შეფასება. კვლევა ტარდება ყოველთვიურად.
- რეგულარულად ტარდება თანამშრომლების ლოიალობის კვლევა ENPS, რომლის მთავარი მიზანია, თანამშრომელთა ლოალობის დონის და არსებული პრობლემების და ძლიერი მხარეების გამოვლენა. კვლევა ტარდება ბანკის მიერ HR დეპარტამენტთან ერთად.

2.5 გამოსყიდული საკუთარი აქციები

2015 წლის 12 ნოემბერს ბანკმა გამოაცხადა ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვის შესახებ (შემდგომში „გამოსყიდვა“), რა დროსაც თითო ჩვეულებრივ აქციაში გადაიხადა 0.0179 ლარი, და გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციების მაქსიმალურმა რაოდენობამ შეადგინა 1,045,428,327, ანუ გამოშვებული და განთავსებული ჩვეულებრივი აქციების მთლიანი რაოდენობის 19.00%. გამოსყიდვის პერიოდი განისაზღვრა 90 კალენდარული დღით გამოცხადების თარიღიდან 2016 წლის 10 თებერვლამდე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გამოსყიდული ჰქონდა 1,045,428,327 ჩვეულებრივი აქცია (გამოშვებული და განთავსებული ჩვეულებრივი აქციების მთლიანი რაოდენობის 19.00%) და ანგარიშსწორებაც სრულად ჰქონდა განხორციელებული. 2018 წელს ბანკის მაჟორიტარმა აქციონერმა, ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი-მ მისი კუთვნილი 1,573,680 პრივილეგირებული აქცია დააკონვერტირა 31,600,000 ჩვეულებრივ აქციად, პრივილეგირებული აქციების პროსპექტით განსაზღვრული პროპორციის გათვალისწინებით. კონვერტაციის შედეგად GFG-ისთვის ჩვეულებრივი აქციების გადაცემა ბანკმა განახორციელა სახაზინო აქციებიდან, რის შედეგადაც ჩვეულებრივი გამოსყიდული აქციები შემცირდა 1,013,828,327-მდე (2017 წ.: 1,045,428,327).

2.6 საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და სხვა რისკების მიმოხილვა

რისკი დამახასიათებელია საბანკო საქმიანობისთვის, თუმცა რისკის მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასების და მონიტორინგის უწყვეტი პროცესის მეშვეობით, რისკის ლიმიტების და კონტროლის სხვა მექანიზმების გამოყენებით. რისკის მართვის პროცესი უმნიშვნელოვანესია ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკის თითოეული პირი ანგარიშვალდებულია რისკის პოზიციებზე მის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. ბანკი დგას საკრედიტო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საბაზრო რისკის, საოპერაციო რისკის და სხვა არაფინანსური რისკების წინაშე. ბანკის მიერ მიღებული რისკის მართვის სტრუქტურა ადგენს დასაშვები რისკების ლიმიტების ფარგლებს თითოეულ რისკთან და ბიზნეს ხაზთან მიმართებაში და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას.

2.6.1 რისკების მართვის მექანიზმები

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს შექმნასა და ზედამხედველობაზე.

ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ბანკის რისკების დადგენასა და ანალიზს, შესაბამისი რისკის ლიმიტების და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის და რისკების მონიტორინგის და ლიმიტების დაცვის მიზნით. რეგულარულად ხდება რისკის მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა ბაზრის პირობების, პროდუქტების და შეთავაზებული მომსახურებების ცვლილებების ასახვის მიზნით. ბანკს, მართვის სტანდარტების, პროცედურების და ტრენინგების მეშვეობით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის საშუალებები, სადაც ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქციები და ვალდებულებები.

რისკის მართვაზე ანგარიშვალდებული პირების პასუხისმგებლობა ითვალისწინებს ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ RAS-თან. შესაბამისობა უზრუნველყოფილია RAS პარამეტრების უწყვეტი მონიტორინგით. დირექტორთა საბჭოს აქტიური ჩართულობით, რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფს სათანადო კომუნიკაციას და გამჭვირვალობას ყველა დონეზე, რისკის მიზნობრივ მაჩვენებლებთან, რისკის პროფილის უწყვეტ მონიტორინგთან რისკის დასაშვებ დონესთან მიმართებით, რისკთან დაკავშირებული გაფრთხილებების დროულ ესკალაციასთან და შემარბილებელი ზომების დაგეგმვასთან დაკავშირებით.



ბანკის რისკის მართვის ჩარჩო მოიცავს შემდეგ ოთხ კომპონენტს:

1. **რისკის მართვის პრინციპები** ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის რაოდენობრივ საფუძველს, ესენია:

- რისკების მართვის ეფექტური კულტურის ხელშეწყობა;
- რისკზე ანგარიშვალდებულება ბიზნეს ხაზების მიხედვით;
- რისკების დამოუკიდებელი ცენტრალური ზედამხედველობა;
- გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან აცილება და/ან შემცირება;
- რისკების მკაფიოდ გამოვლენადობის, შეფასებადობის და მართვადობის უზრუნველყოფა.

2. **სტრატეგიული პრინციპები** ითვალისწინებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლითაც იხელმძღვანელებს ბანკი საზედამხედველო ფინანსური მიზნების მიღწევისას და რომლითაც იზომება ახალ ინიციატივებსა და ბანკის მიერ რისკის დასაშვებ დონეს შორის შეთანხმების ხარისხი. სტრატეგიული პრინციპები მოიცავს შემდეგს:

- ყურადღების გამახვილება მოგების მრავალფეროვნებაზე, ხარისხსა და სტაბილურობაზე;
- ორიენტირება ძირითად საქმიანობაზე ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობების ეფექტური გამოყენებით;
- დისციპლინირებული და შერჩევითი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება.

3. **საზედამხედველო ფინანსური მიზნები** ორიენტირებულია აქციონერთა ღირებულების და ბანკის საქმიანობის ფრენჩაიზინგის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებზე. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კაპიტალის შიდა გენერირებაზე მოგების მდგრადი ზრდის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს ბანკის წვდომას კაპიტალზე სათანადო კომერციული პირობებით, და ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნებაზე ბანკის რისკის პროფილთან მიმართებაში.

4. **რისკის დასაშვები დონის შეფასებები** ითვალისწინებს ობიექტურ მაჩვენებლებს, რომელიც ზომავს რისკს და ახდენს ბანკის მისაღები რისკის დონის ფორმულირებას. ასეთი მაჩვენებლები უზრუნველყოფს კავშირს რისკის მიღების ფაქტობრივ ოპერაციებსა და რისკის მართვის პრინციპებს, სტრატეგიულ პრინციპებს და საზედამხედველო ფინანსურ მოთხოვნებს შორის. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს კაპიტალის და შემოსავლების კოეფიციენტებს, საბაზრო და ლიკვიდობის რისკის ლიმიტებს და საკრედიტო და საოპერაციო რისკის მიზნებსა და ლიმიტებს.

სამეთვალყურეო საბჭო ერთპიროვნულად პასუხისმგებელია რისკების დადგენას და კონტროლზე; თუმცა, არსებობს ცალკე დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ბანკის ძირითად რისკებს მართავს ქვემოთ მითითებული კომიტეტები და ერთეულები, დირექტორთა საბჭო საბჭოს აქტიური ჩართულობით:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი
- ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”)
- საბაზრო რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი
- ინფორმაციის უსაფრთხოების და ტექნოლოგიურ რისკებს მართავს ინფორმაციის უსაფრთხოების კომიტეტი

ბიზნეს ხაზები წარმოადგენენ იმ რისკებზე მთავარ პასუხისმგებელ ერთეულებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ყოველდღიურ საქმიანობებზე და ოპერაციებზე. ბიზნეს პროცესები მოიცავს შესაბამისი რისკის ერთეულის წარმომადგენლების მიერ შესრულებული საქმიანობების კონტროლს. რისკის მართვის ფუნქციების მქონე ერთეულები, რომლებიც დამოუკიდებლები არიან ძირითადი საქმიანობებისგან, მონაწილეობენ რისკების მართვასა და შიდა კონტროლში. ისინი წარმოადგენენ კონტროლის და დაცვის მეორე ხაზს, დაცვის პირველი ხაზი უზრუნველყოფილია ბიზნეს ფუნქციების მქონე ერთეულებით. ქვემოთ ჩამოთვლილი დეპარტამენტები/განყოფილებები პასუხისმგებელნი არიან საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო, საოპერაციო და სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკების ყოველდღიურ მართვაზე:

- ორგანიზაციული რისკების მართვა (ERM);
- ხაზინა;
- საკრედიტო რისკების მართვა;
- კრედიტების ადმინისტრაცია;
- საოპერაციო რისკების მართვა (ORM);
- საინფორმაციო უსაფრთხოება;
- უსაფრთხოება;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რისკის მართვის დაცვის სამ ხაზს:



2.6.1.1 საკრედიტო რისკის კომიტეტი

საკრედიტო რისკის კომიტეტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის დონეზე ყველა ტიპის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკების მართვაზე. კომიტეტი ასრულებს მთავარ როლს ბანკის პორტფელში შესაძლო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციაში და აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება შეთავაზებულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. საკრედიტო რისკის კომიტეტმა შეიმუშავა საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება ბანკის მოქმედ რისკის პროფილს და მომავალი ზრდის გეგმებს. საკრედიტო რისკის დეპარტამენტები და ერთეულები უზრუნველყოფენ საკრედიტო რისკის კომიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებას. არსებითი საკრედიტო რისკის გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაინერგა ყოვლისმომცველი კონტროლის და მონიტორინგის სისტემები, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული საკრედიტო რისკის მართვაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

საკრედიტო რისკის კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობებია:

- რისკის მართვის სტრუქტურის და პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება;
- საკრედიტო რისკების დამტკიცება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში;
- საბალანსო და ბალანსგარეშე საკრედიტო და კონცენტრაციის რისკების მართვა და ზედამხედველობა;
- საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრა კლიენტის კატეგორიის და ოპერაციის ტიპის მიხედვით;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის წინასწარ დადგენა;
- კრედიტების სათანადო ადმინისტრაციის, შეფასების და მონიტორინგის პროცესის წარმოება ყველა ბიზნეს ხაზზე.

2.6.1.2 აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია კაპიტალის, ლიკვიდობის, საპროცენტო და დაფინანსების რისკების მართვა. კომიტეტის თავმჯდომარე არის გენერალური დირექტორი. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს რელევანტურ ანალიტიკურ მონაცემებს. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი მიზნებია:

კაპიტალის რისკი	• სებ-ის მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის მართვა და კაპიტალის პროგნოზის ანალიზი; • ეკონომიკური კაპიტალის მართვა და ძირითადი ცვლილებების ანალიზი; • ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი და კაპიტალის კვარტალური სტრეს-ტესტი;
ლიკვიდობის რისკი	• დაფინანსების გეგმის შემუშავება ბანკის საინვესტიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით ჭარბი ლიკვიდური სახსრების თავიდან ასაცილებლად; • ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების მონიტორინგი ყოველთვიური ლიკვიდობის სტრეს-ტესტებთან ერთად და შესაბამისი ქმედებები შედეგების; • ლიკვიდობის რისკის მიტიგაციის ინსტრუმენტების და აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის პოზიციის მართვა;
საბაზრო რისკი	• საპროცენტო განაკვეთისა და საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის პოზიციის მართვა • FX პოზიციის მართვა;
ფასდადება	• მინიმალური საპროცენტო განაკვეთის დაწესება სესხებისა და გარანტიებისთვის; • ფასდადებასთან მიმართებაში გაცემული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კონტროლი;

დამატებით, კომიტეტი აწესებს ლიმიტს ბანკთაშორისი კონტრაგენტის რისკისთვის. კომიტეტი თავისი ძირითადი პასუხისმგებლობების შესრულებით, უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივების და ვალდებულებების მართვის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას. აღნიშნული პოლიტიკა არის მთავარი სახელმძღვანელო ბანკის საბალანსო ანგარიშგებასთან და მის მაჩვენებლებთან დაკავშირებით სრული მონიტორინგის და ღრმა ანალიზის შესრულებისთვის.

2.6.1.3 ორგანიზაციული რისკების მართვა

ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილების მიზანია საფრთხეებისა და შესაძლებლობების საუკეთესო დაბალანსებისთვის რისკის მისაღები დონის შენარჩუნება - რისკის დასაშვები დონისა და საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორების ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება დაინტერესებულია ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოს დასახული მიზნების მიღწევა და ორგანიზაციის აქტივების შესაფერისი მართვა, არასასურველი მოვლენების შედეგად დანაკარგების თავიდან არიდების ჩათვლით. ეს მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეზე არსებულ საკითხებს. მმართველობაში ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილების როლი ილუსტრირებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მმართველობასა და ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილების კავშირი



ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება ხელს უწყობს რისკებთან დაკავშირებული საქმიანობების მართვას, როგორებიცაა რისკების თავმოყრა და ანალიზი, რისკების ანგარიშგება, და მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული კონკრეტული ტიპის რისკში. განყოფილების ძირითადი ფუნქციები მოიცავს:

- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესზე და აღდგენის გეგმის დოკუმენტაციაზე პასუხისმგებლობა;
- დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის ხელის შეწყობა RAS-ის მიმოხილვის პროცესის კოორდინირებაში და RAS შესაბამისობის მონიტორინგი, კონტროლი და ანგარიშგება;
- სხვადასხვა ტიპის სტრეს-ტესტების ჩატარება ორგანიზაციის დონეზე;
- ხაზინის დეპარტამენტთან ყოველდღიური კომუნიკაცია და ALCO-სთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება;
- საზედამხედველო რისკის მართვა და ანგარიშგება.

2.6.2 დოკუმენტი რისკის დასაშვები დონის შესახებ

2.6.2.1 რისკის დასაშვები დონე

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის სტრუქტურის შექმნასა და ბანკის რისკის დასაშვები დონის განსაზღვრაზე. ბანკის რისკის დასაშვები დონე განსაზღვრულია დოკუმენტში, რისკის დასაშვები დონის შესახებ (“RAS”). რისკის დასაშვები დონე განისაზღვრება, იმ რისკის ტიპების და დონის სახით, რომლის მისაღებად ბანკი მზად არის თავისი აქციონერების და მეანაბრეების სახელით მის სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ტრანზაქციულ ბიზნეს ოპერაციებში. რისკის დასაშვები დონე გამოხატულია, როგორც კონკრეტული, რაოდენობრივი ფარგლების პაკეტი სხვადასხვა სარისკო საქმიანობებზე, რომლის კროსირებაც არ უნდა მოახდინოს ბანკმა. RAS ასევე

განსაზღვრავს სხვადასხვა ლიმიტებს კონტრაგენტებზე კონცენტრაციის რისკების თავიდან ასაცილებლად.

რისკის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს ბანკის საერთო შესაძლებლობას მიიღოს პოტენციური ზარალი. რისკის პროფილი არის ბანკის რისკის პორტფელის მოკლე ასახვა დროის კონკრეტულ ეტაპზე (წარსული, აწმყო ან მომავალი). რისკის დასაშვები დონე არ არის ბანკის მიერ რისკის მიღების შესაძლებლობა (და უნდა იყოს მასზე ნაკლები) და ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს ბანკის რისკის პროფილისგან. რისკის პროფილი ზოგადად დაბალი უნდა იყოს რისკის დასაშვებ დონეზე. რისკის პროფილი შეიძლება მაღალი იყოს რისკის დასაშვებ დონეზე გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ბანკის რისკის დასაშვები დონის გამოხატული ცვლილების და გარე იმპულსების გამო) დროის შეზღუდულ და მოკლე პერიოდებში.

2017 წელს ახალმა მმართველობამ გადაწყვიტა რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი ცალკე დოკუმენტად დაემტკიცებინა.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში აღწერილია ბანკის მიდგომები შემდეგ რისკებთან მიმართებაში:

- საკრედიტო რისკი
- სახაზინო და კაპიტალის რისკი
- საბაზრო რისკი
- საოპერაციო რისკი
- სხვა მნიშვნელოვანი რისკები

ბანკის რისკის დასაშვები დონის ზომები განსაზღვრულია ბანკის სტრატეგიული მიზნების მიღწევის და გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მიზნით:

- კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს;
- ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის სათანადო მართვის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს: LCR და ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას საზედამხედველო მოთხოვნილ მინიმუმზე ზემოთ. შეზღუდვებს ერთი კლიენტის რისკის პოზიციებზე; კონცენტრაციის ლიმიტებს; სტრეს-ტესტების ჩაბარებას (საბაზო, რბილი და მძიმე შემთხვევები) და სათანადოდ დივერსიფიცირებული დაფინანსების სტრუქტურის მიღწევას და შენარჩუნებას;
- წინასწარი შეფასება მითითებულ რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მნიშვნელოვანი ახალი პროექტების / ინვესტიციების, ახალი პროდუქტების თვალსაზრისით, და ბაზრის ახალ სეგმენტში ან ბიზნეს ხაზებში შესვლისთვის;
- მდგრადი ეკონომიკური სარგებელის შესაბამისობის შენარჩუნება აღებულ მოვალეობებთან.

დირექტორთა საბჭო ყოველწლიურად, ან მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში უფრო ხშირად, განიხილავს და ამტკიცებს ბანკის რისკის დასაშვებ დონეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შეესაბამება ბანკის სტრატეგიას, ბიზნეს და საზედამხედველო გარემოს და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებს.

ბანკის რისკის დასაშვებ დონესთან დაკავშირებული დოკუმენტები რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ რისკის დასაშვებ დონეს, უნდა არსებობდეს ზომების კონკრეტული პაკეტი დირექტორთა საბჭოს დავალებებთან ერთად, რომელშიც შედის აღნიშნული ზომების განხორციელება ბანკის რისკის პროფილის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რისკის დასაშვებ დონესთან დროის განსაზღვრულ პერიოდში.

დირექტორთა საბჭო და განყოფილების ყველა ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეასრულოს და დაიცვას რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი.

2.6.2.2 მონიტორინგი, ანგარიშგება და გადახედვა

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა ბანკის საერთო რისკის პროფილის მართვაზე. საკრედიტო რისკის კომიტეტი, ALCO, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტები და ორგანიზაციული რისკებისა და ბიუჯეტირების განყოფილება პასუხისმგებელნი არიან რისკების მონიტორინგზე და რისკის დასაშვები დონის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ორგანიზაციული რისკებისა და ბიუჯეტირების განყოფილებას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა RAS პარამეტრების და ლიმიტების უწყვეტ მონიტორინგზე და RAS შესრულების შესახებ ანგარიშგებაზე სამეთვალყურეო საბჭოსთვის ყოველკვარტალურად.

რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტი გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან ბანკის საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილების დროს, რა შემთხვევაშიც გადახედვის პროცესს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭოს შეუძლია მიუთითოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომ RAS საჭიროებს გადახედვას, თუმცა სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას როდის დაიწყოს აღნიშნული პროცესი.

გადახედვის კოორდინაციას ახორციელებს ორგანიზაციული რისკის მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება. რისკის დასაშვები დონის შესახებ დოკუმენტში შეთავაზებული ცვლილებები დასტურდება დირექტორთა საბჭოს მიერ და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2.6.3 რისკის ტიპები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ. რეგულაციები მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, საოპერაციო რისკსა და სახაზინო და კაპიტალის რისკს. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის თანახმად ბანკი ითვლის ეკონომიკურ კაპიტალს, რომელიც საჭიროა ლიკვიდობის რისკის გარდა ყველა მატერიალური რისკის დასაფარად.

2.6.3.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს.

ბანკს აქვს საკრედიტო რისკის სხვადასხვა კატეგორია:

- დეფოლტის რისკი - არის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სასესხო ვალდებულების გადახდას.
- ქვეყნის რისკი - ქვეყნის კრედიტუნარიანობის მოულოდნელი გაუარესების ან დეფოლტის რისკი, რომელიც გამოწვეულია სოციალური არეულობით, პოლიტიკური არასტაბილურობით, ომით ან სხვა არახელსაყრელი მოვლენებით ქვეყანაში.
- კონცენტრაციის რისკი - ერთი აქტივის ან აქტივების ჯგუფის დიდი პოზიციის დაკარგვის რისკი. ეს რისკი წარმოიქმნება, როცა პორტფელი სექტორის და მსესხებელთა ჯგუფის თვალსაზრისით ნაკლებადაა დივერსიფიცირებული.

2.6.3.2 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის შედეგებზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის რისკს და მათი ცვალებადობის დონეს. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. იგი მოიცავს აქციების გადაფასებასთან დაკავშირებულ ზარალის რისკს, ასევე საპროცენტო განაკვეთებისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს, რაზეც ბაზრის ცვალებადობა ახდენს გავლენას.

2.6.3.3 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის დანაკარგების მიღების რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაუმართავი შიდა პროცესებით, ადამიანური ქმედებით, სისტემების გაუმართაობით ან მათში დაფიქსირებული ხარვეზებით ან/და გარე ფაქტორებით (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შიდა და გარე თაღლითობით, წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით, ტერორისტული ან კიბერ-შეტევებით). საოპერაციო რისკი მოიცავს იურიდიულ, მაგრამ არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.

საოპერაციო რისკების კლასიფიკაცია:

- ბიზნეს პროცესთან დაკავშირებული რისკი- გულისხმობს პროცესის გაუმართაობის რისკს, რომელიც გამოწვეულია მისი არასათანადო განსაზღვრით ან/და დაკავშირებით სხვა პროცესებთან, ან პროცესის არაჯეროვანი დოკუმენტირებით ან/და გაკონტროლებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიური რისკი- მოიცავს როგორც ინდივიდუალური სისტემების შეფერხებას, ასევე მათ მთლიან გაუმართაობას საბანკო საქმიანობის განხორციელების დროს.
- ადამიანებთან დაკავშირებული რისკი-გულისხმობს მართვის შეცდომას, ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმართაობის, ან ადამიანური რესურსების შეცდომის რისკს, მაგ. დადგენილი პოლიტიკისა და პროცედურების დარღვევას. ეს რისკები შეიძლება გაზარდოს ან გააღრმავოს

არაეფექტურმა ტრენინგებმა, კონტროლის არაადეკვატურმა მექანიზმებმა, კადრების უკმარისობამ, ან სხვა ფაქტორებმა;

- თაღლითობის რისკი-ბანკის თანამშრომლების, კლიენტების ან მესამე პირების მიერ წინასწარ განზრახული და ბანკის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი კანონ-საწინააღმდეგო ქმედება, რომლის მიზანია ბანკისათვის ზარალის მიყენება ან/და ფინანსური სარგებლის მიღება (შიდა და გარე თაღლითური ქმედებები);
- გარე რისკები-მოიცავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბანკის ძირითად საქმიანობასთან, მაგრამ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა ბანკის ფუნქციონირებაზე (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტული შეტევები, საგანგებო/საომარი მდგომარეობა და სხვა).

2.6.3.4 სახაზინო და კაპიტალის რისკი

სახაზინო და კაპიტალის რისკი მოიცავს ლიკვიდობის და კაპიტალის რისკს. ლიკვიდობის რისკი არის ფინანსური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ვალდებულებების დროული გადახდის პოტენციური უუნარობის, ან ამ ვალდებულებების შესრულებისას ზედმეტი ხარჯის გაწევის შედეგად. ბანკი ლიკვიდობის რისკს ორ ტიპად ყოფს:

საბაზრო ლიკვიდობა - საბაზრო ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ბანკს არ შეეძლება აქტივის ყიდვა ან გაყიდვა ფასების მატერიალურად შეცვლისა და ტრანზაქციის დიდი ხარჯების გაწევის გარეშე.

დაფინანსების ლიკვიდობა - დაფინანსების ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება, როცა ბანკს არ შეუძლია ვალდებულების გადახდა მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ან ბანკს არ შეუძლია დეპოზიტების გატანის მსურველი მომხმარებლების დაკმაყოფილება.

კაპიტალის რისკი წარმოიქმნება რისკის პოზიციების მხარდასაჭერად კაპიტალის არაადეკვატურობით, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობებით, დივიდენდების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით, ინვესტორების რისკის დასაშვები დონის ან კრედიტ რეიტინგის გაუარესების გამო დაფინანსების ხარჯების ზრდით და ნორმალურ სამუშაო გარემოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით.

2.6.3.5 მაკროეკონომიკური რისკი

მაკროეკონომიკური სიტუაცია გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობაზე, პორტფელის ხარისხსა და ზრდის ტემპზე. მთავარი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ახდენს გავლენას საქართველოს საბანკო სექტორზე არის:

- მშპ-ს ზრდის ტემპი
- უმუშევრობის დონე
- გაცვლითი კურსი
- ინფლაცია
- რეალური საპროცენტო განაკვეთი
- ბიზნესის და მომხმარებლის მოლოდინები
- ფისკალური და მიმდინარე ანგარიშების დისბალანსი

- პოლიტიკური ციკლი

ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია მეზობელი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე. ამ ფაქტორებს შეუძლია გავლენა მოახდინოს ექსპორტზე, ტურიზმზე, ფულის გადარიცხვებსა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე.

2.6.4 აღდგენის გეგმა

ბანკი ადგენს აღდგენის გეგმას (Recovery Plan), რომელიც ითვალისწინებს შესაძლო აღდგენის გზებს იმ შემთხვევაში, თუ ბანკი აღმოჩნდება პრობლემურ სიტუაციაში. აღდგენის გეგმა წარმოადგენს რისკის მართვის დამატებით ინსტრუმენტს და მისი მიზანია აღდგენის პერიოდის შემოკლება და კრიზისის შემთხვევაში ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. ბანკის საერთო რისკის პროფილის და ბანკისთვის დამახასიათებელი რისკების საფუძველზე, გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ გამომწვევ ფაქტორებს, რომლის შესაბამისადაც დირექტორთა საბჭომ უნდა აამოქმედოს აღდგენის გეგმა.

აღდგენის გეგმაში აღწერილია და განსაზღვრულია მოვლენები, რომლებმაც შესაძლოა გამოწვიოს აღდგენის გეგმის ამოქმედება. იმ კრიტიკული მოცულობების გათვალისწინების მიზნით, რომლებიც იწვევს აღდგენის გეგმის აქტივაციას, ჩატარდა საბაზო პროგნოზირებული (ბიუჯეტში გათვალისწინებული) სცენარის ანალიზი. ვინაიდან წინასწარ არ არის ცნობილი მოვლენის ზუსტი ბუნება, რომელიც გამოიწვევს ზეწოლას ბანკზე, გეგმა სტრესული მოვლენების სიმწვავის საპასუხოდ უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს შესაძლო გამოსავლების ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას საჭიროებისამებრ. გეგმაში აღწერილია შესაბამისი მიტიგაციის ფაქტორები/ქმედებები და არსებულ ზეწოლებზე მათი გამოყენების ეფექტები.

გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორებს ყოველთვიურად აკონტროლებს ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება. ნებისმიერი პოტენციური გამომწვევი მოვლენა ეგზავნება დირექტორთა საბჭოს და განიხილება შეხვედრაზე. ამოქმედების შემთხვევაში აღდგენის გეგმის სტრატეგია განხორციელდება დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობით.

2.6.5 რუსეთ უკრაინის ომი და სტრეს ტესტი

რუსეთ უკრაინის ომის სცენარი და მისი ზეგავლენა ლიბერთი ბანკზე (ომის სცენარის ბუფერი)

რუსეთ უკრაინის ომის დაწყებისთანავე, 2022 წლის თებერვლის თვეში ბანკმა ჩაატარა სტრეს ტესტი რომელიც ითვალისწინებდა ნეგატიური მიმართულებით მოვლენების განვითარების შემთხვევაში ომის პოტენციურ გავლენას ლიბერთი ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

სტრესს ტესტის დაშვებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო

- რუსეთის სვიფტიდან გათიშვა და გლობალური მოწოდების ქსელის დისრუპცია;
- საქართველოში 2022 წლის განმავლობაში პროგნოზირებული მშპ-ს ზრდის შემცირება;
- ლარის კურსის გაუფასურება დოლართან და ევროსთან მიმართებაში 20% ით;
- უძრავი ქონების ფასების ვარდნა, რაც იწვევს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის LGD პარამეტრის გაუარესებას 20% ით;

- რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან გზავნილების მნიშვნელოვანი შემცირება ან საერთოდ შეწყვეტა და ამ გზავნილებით გაცემული საცალო სესხების PTI და DSCR კოეფიციენტების გაუარესება
- რუსეთის/უკრაინის ბაზარზე დამოკიდებული კორპორატიული კომპანიების საექსპორტო პროდუქციის შეჩერება, რაც გამოიწვევდა DSCR, DEBT/EBITDA კოეფიციენტების მნიშვნელოვან გაუარესებას
- ტურიზმის/სამასპინძლო/პროციკლურ სექტორებში კომპანიების შემოსავლების/ბრუნვის მნიშვნელოვანი შემცირება
- დამატებით ბანკის საცალო პორტფელზე მოხდა არსებული სცენარებიდან დათვლილი PD rate მოდიფიკაციები. აღნიშნული მოდიფიკაციების საფუძველი იყო საპროგნოზო სცენარებში არსებული წონების ცვლილებები, კერძოდ არსებული შეწონვის სისტემა შეიცვალა შემდეგნაირად:

სტანდარტული წონები	**სტრეს ტესტის სცენარის წონები**
საბაზისო - 50%	საბაზისო - 50%
ოპტიმისტური -25%	ოპტიმისტური -0%
პესიმისტური - 25%	პესიმისტური - 50%

სტრეს ტესტის შედეგად მიღებულმა მოსალოდნელმა შესაძლო დანაკარგმა საკრედიტო პორტფელის მხოლოდ 1.6% შეადგინა, რაც განპირობებული იყო, იმით რომ ბანკის საკრედიტო პორტფელი ნაკლებად დამოკიდებული აღმოჩნდა მოწყვლად კლიენტებსა და სექტორებზე.

შემდგომში, მოგვიანებით აღმოჩნდა რომ ზემოთ აღნიშნული სტრეს ტესტის პარამეტრები საქართველოსთვის არ აღმოჩნდა რელევანტური და საპირისპირო სურათი მივიღეთ, რის გამოც ბუფერის რეალური ფორმირება აღარ გახდა საჭირო. თუმცა ეს სცენარიც რომ ახდენილიყო მოსალოდნელი დანაკარგების მოცულობა არ შეუქმნიდა საფრთხეს ლიბერთი ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მისი კაპიტალისა და ლიკვიდურობის პოზიციებს.

3 კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის ჩარჩო მიმოიხილავს ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურას, პრინციპებს, პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მოლოდინები.

აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დასაცავად ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემა ექვემდებარება მიმდინარე მიმოხილვას, შეფასებასა და გაუმჯობესებას. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად ნერგავს მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც განკუთვნილია იმისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ინტერესები შეუსაბამოს აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ყველა დონეზე ეთიკური ქცევისა და რისკის მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

"ლიბერთი ბანკის" ჩვეულებრივი აქციები წარმოდგენილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების მიერ გამოყენებული დადგენილი პოლიტიკა და პროცედურები აღწერილია პილარ 3–ის ანგარიშის სხვა სექციებში. სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების, მენეჯმენტის, აქციონერების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის ფუნდამენტური ურთიერთობები ეფუძნება ბანკის მმართველობის სტრუქტურას, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით დგინდება ბანკის მმართველობის ეთიკური ღირებულებები, სტრატეგიული და კორპორაციული მიზნები და განისაზღვრება ამ მიზნების მიღწევისა და მონიტორინგის ჩატარების გეგმები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



2022 წლის დეკემბრიდან გაუქმდა საოპერაციო დირექტორატი და საოპერაციო დირექტორის პოზიცია. საოპერაციო მიმართულებაში შემავალი დეპარტამენტები გადანაწილდა სხვადასხვა მიმართულებების დირექტორების დაქვემდებარებებში.

3.1 აქციონერთა წლიური საერთო კრება

აქციონერთა წლიური საერთო კრება (Annual General Meeting - "AGM") არის ბანკის აქციონერების სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო/დირექტორატი წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები გადაწყვეტილებას იღებენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამეთვალყურეო საბჭოში წევრების არჩევა, მათი ანაზღაურების განსაზღვრა, დივიდენდის გადახდა, გარე აუდიტორის შერჩევა და მოქმედი კანონმდებლობით ან/და ბანკის წესდებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

3.1.1 წლიური საერთო კრების მოწვევა

ბანკის წესდების შესაბამისად, წლიურ საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭო იწვევს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვების გარე აუდიტის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ის საკითხები, რომლებიც არ იქნა განხილული წლიური საერთო კრების მიერ და შედის წლიური საერთო კრების პასუხისმგებლობის ფარგლებში, განიხილება და გადაწყდება რიგგარეშე საერთო კრებებზე (Extraordinary General Meetings - "EGM"). რიგგარეშე საერთო კრებების რაოდენობა წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან წლამდე. EGM შეიძლება მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს ან აქციების სულ მცირე 5%-ის მფლობელი აქციონერის წერილობითი მოთხოვნით. აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ გასცენ მინდობილობა მესამე პირზე, რომელიც მათ ნაცვლად შეძლებს ხმის მიცემას.

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი ან საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი. იმ შემთხვევებში, როდესაც თავმჯდომარე არ ესწრება სხდომას ან/და არ შეუძლია ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღოს ინტერესთა შესაძლო კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გამო, სხდომას თავმჯდომარეობს თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

AGM-ის ან/და EGM-ის სააღრიცხვო თარიღისთვის რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში (საჭიროების შემთხვევაში). აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ ხმა მისცენ მინდობილობის საფუძველზე.

3.1.2 წლიური საერთო კრების ფუნქციები

საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების თანახმად, წლიურ საერთო კრებაზე აქციონერებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება შემდეგ საკითხებზე:

კორპორაციული მართვა	• წესდების მიღება, დამტკიცება და ცვლილება. • ბანკის კონსოლიდაცია, გაერთიანება, დაშლა, ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და/ან ტრანსფორმაცია. • სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება. • ბანკის ნებადართული და განთავსებული კაპიტალის გაზრდა ან შემცირება.
დამტკიცების უფლებამოსილებები	• სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა. • წლიური ანგარიშის და ანგარიშგებების დამტკიცება. • დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება. • სამეთვალყურეო საბჭოს და/ან დირექტორთა საბჭოს წინადადების დამტკიცება მოგების განაწილების შესახებ ან მოგების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები არ წარმოადგენენ საერთო წინადადებას.
კონტროლის უფლებები	• გადაწყვეტილებების მიღება ბანკის მიერ ქონების შეძენასთან, გაყიდვასთან, გადაცემასთან, გაცვლასთან (ან დაკავშირებულ გარიგებებთან) ან უფლებრივად დატვირთვასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 10%–ს.

3.1.3 2022 წლის განმავლობაში ჩატარებული აქციონერთა კრებები და მიღებული გადაწყვეტილებები

2022 წლის 30 ივნისის დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე მოწვეულ იქნა აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრება. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება და საერთო კრების დღის წესრიგი „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნდა მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე.ყოველწლიური საერთო კრება ჩატარდა 2022 წლის 22 ივლისს და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის :

- ბანკის 2021 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
- ბანკის მიერ გამოშვებულ პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდის გაცემა;
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად ბრუნო ხუან ბალვანერას არჩევა.

3.1.4 კომუნიკაცია და მედია განცხადებები

როგორც წლიური საერთო კრების, ასევე რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი ქვეყნდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიანი ელექტრონული პორტალის ბანკის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე კრების ჩატარების თარიღამდე მინიმუმ 21 დღით ადრე. კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, საერთო კრებაზე განხილულ საკითხებზე კენჭისყრის შედეგები ასევე ქვეყნდება ბანკის ვებგვერდზე.

3.2 სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობებია:

- ბანკში კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების ხელშეწყობა;
- აქციონერთა ინტერესების შესაბამისად, ბანკის განვითარების ხელშეწყობა და მდგრადი ღირებულებების შექმნა და უზრუნველყოფა;
- მმართველობითი ორგანოების მიერ ბანკის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შენარჩუნება;
- ბანკის წლიური ბიუჯეტისა და განვითარების სტრატეგიის დამტკიცება.

3.2.1 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

წესდების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. სებ–ის მიერ მიღებული რეგულაციის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ივნისიდან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს დირექტორატის შემადგენლობაში და არ უნდა ახორციელებდეს აღმასრულებელ ფუნქციებს.

სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ხელს აწერს შესაბამის კრების

ოქმებს, კრების მდივანთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს კრება შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.

31-დეკემბერი-2022	სამეთვალყურეო საბჭოს წევრები
თავმჯდომარე (დამოუკიდებელი წევრი)	მურთაზ კიკორია
საბჭოს წევრი	ირაკლი ოთარ რუხაძე
საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	მაგდა მაღრაძე
თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი	მამუკა წერეთელი
საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	ბრუნო ხუან ბალვანერა

3.2.2 სამეთვალყურეო საბჭოს განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ფართო სპექტრის ცოდნა და გამოცდილება აქვთ ფინანსური ანალიზის, კაპიტალის ბაზრების, ფინანსური ანგარიშგების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, სტრატეგიული დაგეგმვის, რისკის მართვის, ანაზღაურების, საზედამხედველო მოთხოვნების, კორპორაციული მართვისა და მენეჯმენტის მიმართულებით და, ამასთან, შეხედულებათა მრავალფეროვნების ხელშეწყობისათვის საჭირო უნარებს ფლობენ. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა ადგილობრივი, რეგიონალური, გლობალური, ეკონომიკური და საბაზრო ტენდენციებისა და სამართლებრივი და საზედამხედველო გარემოს შესახებ. მათი გამოცდილებისა და უნარების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკების შემცირებაში ბანკისა და მისი აქციონერების ინტერესების სასარგებლოდ.

ირაკლი ოთარ რუხაძე

უნარები და გამოცდილება:

ირაკლი ოთარ რუხაძე სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ 2017 წლის ოქტომბერში იქნა არჩეული და იგი აღნიშნულ პოზიციას 2021 წლამდე იკავებდა. 2011 წლიდან იგი გახლდათ შპს Hunnewell Partners (UK) LLP–ის პარტნიორი ლონდონში. ირაკლი წარმოადგენდა Salford Capital Partners–ის LP Salford Georgia–ს აღმასრულებელ დირექტორსა და პარტნიორს თბილისში. აღმასრულებელი დირექტორის რანგში ირაკლი რუხაძე ხელმძღვანელობდა Salford–ის ქართულ ოპერაციებს და, ამავე დროს, პასუხისმგებელი იყო სპეციფიურ მიმართულებებზე (ტელეკომუნიკაცია, უძრავი ქონება) ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მან წარმატებით განახორციელა ბევრი ცნობილი ბიზნეს გარიგება საქართველოში. მისი ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, საქართველოს ეკონომიკამ დაახლოებით $ 150 მილიონის ინვესტიცია მოიზიდა. 2001-2003 წლებში ირაკლი გახლდათ შპს Argo Ventures–ის დამფუძნებელი და პარტნიორი ბოსტონში, მასაჩუსეტსში. კომპანია ორიენტირებულია კერძო კომპანიებისათვის კონსულტაციების გაწევაზე – არაუზრუნველყოფილი კაპიტალის საკითხებზე კონსულტაციების ჩათვლით. კლიენტებს შორის იყო Global Realty Outsourcing - აშშ-ს უძრავი ქონების ანალიზის სფეროში წარმატებული კომპანია, რომლის ინვესტორთა სიაში ამჟამად ირიცხებიან Citigroup და First Union Securities. გარდა აღნიშნულისა, ირაკლი წარმოადგენდა შპს Caucasus Advisors LLC–ის დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს ბოსტონში, მასაჩუსეტში, და მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში შედიოდა მრავალმილიონიანი საინვესტიციო ფონდის მართვა კავკასიის რეგიონში არსებულ კომპანიებში ინვესტირების მიზნით. ირაკლი ასევე იკავებდა ჩართულობის მენეჯერის პოზიციას McKinsey & Company Inc.–ში ბოსტონში, მასაჩუსეტსში და დიუსელდორფში, გერმანიაში, სადაც იგი უძღვებოდა კონსულტაციებს და ჩართული იყო პრობლემების მოგვარების კუთხით კლიენტის კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. 2021 წლის 30 დეკემბრიდან კორპორაციული მართვის საუკეთესო პრინციპების შესაბამისად, ირაკლი რუხაძემ დატოვა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიცია და განაგრძობს საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მანდატით, ხოლო საბჭოს ხელმძღვანელად არჩეულ იქნა დამოუკიდებელი წევრი, მურთაზ კიკორია.

განათლება:

ირაკლი ოთარ რუხაძემ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა Tuck School of Business at Dartmouth College; იგი ასევე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მათემატიკისა და ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით.

მურთაზ კიკორია

უნარები და გამოცდილება:

მურთაზ კიკორია სს "ლიბერთი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2019 წლის ივნისში იქნა არჩეული. 2019 წლის ივლისში იგი აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო 2021 წლიდან იგი წარმატებით იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას მურთაზს საბანკო და საფინანსო სექტორთან დიდი გამოცდილება აკავშირებს. იგი იკავებდა გენერალური დირექტორის პოზიციებს სექტორის წამყვან კომპანიებში/ჯგუფებში, კერძოდ, 2015-2016 წლებში სს „საქართველოს ბანკში“ და 2012-2014 წლებში - „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში“. მას ასევე აქვს მრავალწლიანი გამოცდილება სს „საქართველოს ბანკში“ ფინანსური დირექტორისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD) უფროსი ბანკირის თანამდებობაზე. შესაბამისად, მისი ცოდნა და გამოცდილება ფინანსებში, კაპიტალის ბაზრებსა და ზოგადად ბაზარზე მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია ბანკისთვის. მურთაზის გამორჩეული გამოცდილება საბანკო და საფინანსო სფეროში კიდევ უფრო გაღრმავებულია მისი მართვის, კონტროლისა და ზედამხედველობითი უნარებით, რომლებიც მან შეიძინა 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეროვნულ ბანკში საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების განყოფილების უფროსად მუშაობისას. რის შემდეგაც 2016-2018 წლებში წარმატებით განაგრძო მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე. 2021 წლის 30 დეკემბრიდან მურთაზ კიკორიამ დაიკავა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა.

განათლება:

მურთაზმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (ფინანსები და კრედიტები). მისი აკადემიური ცოდნა ასევე მდიდარია მრავალი მნიშვნელოვანი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციით, ტრენინგებითა და სემინარებით საბანკო ოპერაციების შესახებ, ფინანსური ბაზრების, დაფინანსების, მოლაპარაკებებისა და ხელმძღვანელობის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ და საბანკო სექტორთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი საკითხებით.

მაგდა მაღრაძე

უნარები და გამოცდილება:

მაგდა მაღრაძე სს "ლიბერთი ბანკს" 2019 წლის აგვისტოში შემოუერთდა. 2019 წლის ოქტომბერში იგი არჩეულ იქნა ანაზღაურების კომიტეტის, ხოლო 2022 წლის სექტემბერში აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ. მაგდა სამეთვალყურეო საბჭოს ერთადერთი ქალი წევრია. მას განსაკუთრებული გამოცდილება აქვს პროექტის მენეჯმენტში, სტრატეგიულ დაგეგმვაში, ფინანსებში, მონიტორინგში, კონტროლსა და ანგარიშგებაში. იგი ამჟამად ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებს. მისი ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით კომპანიამ წარმატებით განახორციელა რამდენიმე პროექტი. ამჟამად აღნიშნული ორგანიზაცია ახორციელებს გრძელვადიან პროექტს, რომელიც ათობით მილიონ აშშ დოლარს მოიაზრებს. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შემუშავებაა, ასევე მოიაზრება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯმენტი. 2008-2013 წლებში მაგდა მუშაობდა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს უმაღლესი განათლების მიმართულების აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე. პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იყო განათლების განვითარებაზე სამხრეთ კავკასიაში, ადგილობრივი, რეგიონალური და გლობალური აკადემიური ქსელის შექმნით. მისი მცდელობისა და დაუღალავი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში განხორციელდა მრავალი გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა. გამოკვეთილი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების წყალობით, მაგდა სამეთვალყურეო საბჭოს სძენს მრავალფეროვნებას, დამოუკიდებლობას, პროფესიონალიზმისა და კონტროლის მაღალ დონეს. სამეთვალყურეო საბჭო და ზოგადად ბანკი დაბალანსებულია ბიზნეს ოპერაციების შესრულებისა და რისკების მართვის თვალსაზრისით.

განათლება:

მაგდამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის წოდება. იგი ასევე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ურთიერთობების კურსდამთავრებული ეკონომისტის წოდებით.

მამუკა წერეთელი

უნარები და გამოცდილება:
დოქტორი მამუკა წერეთელი აირჩიეს ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 2018 წლის დეკემბერში. 2019 წლის იანვარში იგი დაინიშნა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარედ და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, საბჭოს უფროს დამოუკიდებელ წევრად, ხოლო 2022 წლის სექტემბერში- ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის თავმჯდომარედ. დოქტორი წერეთელი არის America-Georgia Business საბჭოს პრეზიდენტი, Georgian House of Greater Washington, LLC-ის დამფუძნებელი და დირექტორი და American Foreign Policy Council-ში Central Asia-Caucasus Institute-ის უფროსი მკვლევარი. ის ასევე American University's School of International Service-ის ფაკულტეტის წევრია (Washington, DC & John Hopkins SAIS).

2013 წლის 11 მაისამდე მამუკას ამერიკის უნივერსიტეტის School of International Service (SIS)-ის Center for Black Sea-Caspian Studies-ის დირექტორის თანამდებობა ეკავა. მანამდე ის ასისტენტ პროფესორად მუშაობდა (2007-2011) და ამერიკული უნივერსიტეტის დამხმარე ფაკულტეტის წევრი იყო (2002-2007). 2006-2007 წლებში მამუკა George Washington University-ში Elliott School of International Affairs-ის დეკანატის წევრი იყო, სადაც ასწავლიდა ენერგო და სამოქალაქო უსაფრთხოებას.

12 წლის განმავლობაში მამუკა America-Georgia Business Council (AGBC)-ის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. ამჟამად ის ორგანიზაციის პრეზიდენტია. საბჭო არის საქართველოში აშშ-ის ბიზნეს ინტერესების ხელშეწყობის და აშშ-საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი ინსტრუმენტი. მამუკას სახელს უკავშირდება AGBC-ს მიერ ორგანიზებული 20-ზე მეტი ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც ქართულ-ამერიკულ ეკონომიკურ პარტნიორობას მიძღვნილი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე პოპულარული ფორუმების სერია გახდა. ყოველწლიური კონფერენციების გარდა, მამუკა უძღვებოდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვის მრავალ სესიას. ამ სესიებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IMF, World Bank, IFC, EBRD) წარმომადგენლები, აშშ-ს ექსპორტიორი სააგენტოები (Ex-Im Bank, OPIC, TDA), დონორი სააგენტოები (USAID, MCC), აშშ-ის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რეგიონის კერძო კომპანიები და ექსპერტები. 2007-2008 წლებში მამუკა წერეთელი ხელმძღვანელობდა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს საქართველოსთვის ტურიზმის სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის პროექტს, რომელიც დაფინანსებული იყო US Trade and Development Agency-ის მიერ.

განათლება:
დოქტორმა წერეთელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აქვს ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრის წოდება. მას აგრეთვე აქვს University of Maryland College მეცნიერებების მაგისტრის წოდება და რუსეთის ეკონომიკისა და პროგნოზის ინსტიტუტის მეცნიერების აკადემიის დოქტორის წოდება.

ბრუნო ხუან ბალვანერა

უნარები და გამოცდილება:

ბრუნო ხუან ბალვანერა სს „ლიბერთი ბანკს“ 2022 წლის აგვისტოში სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის სტატუსით შემოუერთდა, ხოლო 2022 წლის სექტემბრიდან წარმატებით იკავებს რისკების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციას. ბრუნო ბალვანერას აქვს 35 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო/საინვესტიციო სფეროში, მათ შორის 23 წელი სხვადასხვა პოზიციებზე EBRD-ში, როგორც სათავო ოფისში (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), ასევე რეგიონალურ ოფისებში (სანქტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი და ნურსულთანი). 2013-2018 წლებში ბრუნო ბალვანერა იყო რეგიონალური დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, რომელიც იმართებოდა თბილისიდან, შემდეგ კი ცენტრალური აზიის რეგიონის მმართველი დირექტორი 2020 წლამდე, სადაც ზედამხედველობას უწევდა საინვესტიციო საქმიანობას 6 ქვეყნის მასშტაბით.

ბრუნო ბალვანერას გამოცდილება მოიცავს კერძო სექტორში ინვესტიციებს მდგრადი განვითარების მიმართულებით და ასევე, წარმატებულ ექსპერტულ ცოდნას ინვესტიციების, რისკების, შესაბამისობის, სამართლებრივი, სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების, ინკლუზიურობის და განახლებადი ენერგიის მიმართულებით.

ბრუნო ბალვანერას ეკავა რამდენიმე კომპანიის სამეთალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა, მათ შორის 2020 წლის ბოლოს არჩეული იყო არა-აღმასრულებელ დირექტორად Asaka Bank-ში (უზბეკეთი), ხოლო 2022 წლის აგვისტოში აირჩიეს Qishloq Qurilish Bank-ში (QQB) (უზბეკეთი) სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად და ნომინაციისა და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარედ. ის ამჟამად აგრეთვე არის კერძო ინვესტორი ფინტექ მიმართულებით, ჩართულია საერთაშორისო ბიზნესსა და აკადემიურ სწავლებაში და ასევე, არის სტრატეგიის კონსულტანტი.

განათლება:

ბრუნო ბალვანერა ფლობს University of Chicago Booth (USA)-ის სტრატეგიის, აგრეთვე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. მან აგრეთვე დაამთავრა მექსიკის ITAM-ის უნივერსიტეტი ფინანსების, ხოლო Universidad Iberoamericana პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით.

3.2.3 სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვნება და დამოუკიდებლობა

სამეთვალყურეო საბჭო მიიჩნევს, რომ უნარების, პროფესიული კარიერის, ცოდნისა და გამოცდილების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია ბიზნესის ეფექტურად წარმართვისთვის. სამეთვალყურეო საბჭო მისი ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტით მუშაობს რათა უზრუნველყოს უნარების, გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და საბანკო ცოდნის სათანადო დაბალანსება დაკისრებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად.

სამეთვალყურეო საბჭო შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსთან საბჭოში როგორც დამოუკიდებელი, აგრეთვე განსხვავებული სქესის წარმომადგენელიწევრების რაოდენობით. ამასთან, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც 2022 წლის სექტემბრიდან სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები დაკომპლექტდა მხოლოდ დამოუკიდებელი წევრებისგან. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და/ან მანამდე ეკავა მაღალი თანამდებობა სხვადასხვა დაკავშირებულ სფეროში, რის შედეგადაც მათ თავისი გამოცდილებით და ხედვით ღირებული კონცეფციები შეაქვთ სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაში და მნიშვნელოვანი წვლილი - გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არც-ერთ ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა დანიშვნამდე ფასდება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2.4 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეთვალყურეო საბჭო ჩართული იქნება ეფექტური კონტროლის განხორციელების პროცესში, კონკრეტული გადაწყვეტილებები საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. ქვემოთ განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის საკითხები:

სტრატეგია და მართვა	• ზედამხედველობა ბანკის საერთო მართვაზე; • ბანკის კომერციული და საინვესტიციო სტრატეგიების, წლიური ბიუჯეტების დამტკიცება და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; • ბანკის საქმიანობის კონტროლი;
ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი	• ბანკის ოპერირების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფა; • ხმის მიცემის უფლებების გამოყენება ბანკის ნებისმიერ მსხვილ შვილობილ კომპანიაში; • ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციის და აქტივების შემოწმება;
რისკების მართვის ჩარჩო და რისკის დასაშვები დონე	• ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის დადგენა და კონტროლი; • რისკის მართვის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და დამტკიცება; • კონკრეტული ზომების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი გადააჭარბებს მისაღები რისკის დონეს;
შიდა კონტროლის მექანიზმები	• სამეთვალყურეო საბჭოს რეგულაციების ან მსგავსი წესების მიღება, შეწყვეტა ან შეცვლა სამეთვალყურეო საბჭოს შიდა ორგანიზაციასთან დაკავშირებით; • სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის შექმნა; • კომიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონკრეტული ზომების მიღება; • განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი სამოქმედო პოლიტიკების დამტკიცება.
კონტრაქტები	• მნიშვნელოვანი სესხების დამტკიცება, თუ ჯამური რისკის პოზიცია აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს; • ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების შესაბამისად; • ნებისმიერი აქტივის შეძენა/გასხვისება, ან სხვა სახის ხელშეკრულების გაფორმება რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს; • იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ან შეწყვეტა, თუ იგი წარმოშობს წელიწადში 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულებას ან ამავე ოდენობის თანხის მიღების უფლებას;
დანიშვნები და ანაზღაურება	• ცვლილებები დირექტორთა საბჭოს სტრუქტურაში, ზომასა და შემადგენლობაში; • დირექტორთა საბჭოს წევრების, აუდიტის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტების წევრების არჩევა და გათავისუფლება; • დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრა; • ბანკის აქციების დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება;
კორპორაციული მართვა	• დირექტორთა საბჭოს საქმიანობების ზედამხედველობა; • დირექტორთა საბჭოსთვის ინსტრუქციების მიცემა ბანკის სხვადასხვა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ; • დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციების დამტკიცება და ზედამხედველობა; • ბანკის ზოგადი კორპორაციული მართვის სისტემის ანალიზი, წლიური ანგარიშგების და დირექტორთა საბჭოს წინადადებების განხილვა მოგების განაწილების შესახებ; • აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა; • ახალი შვილობილი კომპანიის დაფუძნება;
სხვა	• ნებისმიერი დავის წამოწყება, წარმოება ან გადაწყვეტა, როდესაც დავის თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს, ან დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმესთან ან ბანკში მმართველ პოზიციაზე მყოფ პირთან; • ნებისმიერ პირთან ერთად ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს დაარსება; • ნებისმიერი პოლიტიკური შენატანის ან პოლიტიკური დონაციის განხორციელება;

სამეთვალყურეო საბჭო აგრეთვე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანია ბანკისთვის სტრატეგიული, ფინანსური ან რეპუტაციული თვალსაზრისით.

3.2.5 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა და კრებები

სამეთვალყურეო საბჭოს კრებები („კრება“) ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ ბანკის იურიდიულ მისამართზე ან სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის მოთხოვნით, ნებისმიერ სხვა ადგილას. ყველა სხვა წევრთან შეთანხმებით, თავმჯდომარეს (თავად ან ნებისმიერი წევრის მოთხოვნით) შეუძლია მოიწვიოს კრება ზეპირი ფორმით ან სხვაგვარად დროის მოკლე პერიოდში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოდგენილ იქნან სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების მიერ. თითოეულ წევრს უფლება აქვს წარმოადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს მხოლოდ ერთი სხვა წევრი. საკითხები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას დაგეგმილი კრების ფარგლებს გარეთ, განიხილება სპეციალურ რიგგარეშე კრებებზე და სატელეფონო კონფერენციით. მთლიანობაში, 2022 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭო ოფიციალურად შეიკრიბა ოცდათექვსმეტჯერ და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა როგორც უშუალო შეხვედრით ჩატარებული სხდომის ფორმატში, ისე სატელეფონო კონფერენციის საშუალებით. კრებების დროს სამეთვალყურეო საბჭო იღებს განახლებულ მონაცემებს ძირითადი ბიზნეს მიმართულებების, ფინანსური მდგომარეობის, შიდა საოპერაციო ფუნქციებიდან კონტროლის და რისკის მართვის, შესაბამისობის, შიდა აუდიტის და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული მნიშვნელოვანი ტრანზაქციების შესახებ. გარდა ამისა, არსებობს დღის წესრიგის საკითხების წლიური განრიგი იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ყველა საკითხს დაეთმოს სათანადო ყურადღება და განხილულ იქნას შესაბამის ნაწილში ფინანსურ და ნორმატიულ ციკლში. ეს მოიცავს ბიუჯეტს, სავალდებულო ანგარიშგებებს, მართვის ანგარიშებს და აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევას. უშუალოდ სხდომების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და წევრებს ხშირი კონტაქტი აქვთ როგორც ერთმანეთთან, ისე გენერალურ დირექტორთან, კონტროლის ფუნქციების ხელმძღვანელ პირებთან და სხვა მნიშვნელოვან ბიზნეს ერთეულებთან. 2022 წლის განმავლობაში განხილულ და დამტკიცებულ საკითხებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბანკის მატერიალური რისკის ამღებ პირთა სიისა და დირექტორატისა და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირებისთვს ცვალებადი ანაზღაურების ჩარჩოს დამტკიცება.

3.2.6 სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად ზრუნავს თავისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და აღიარებს, რომ მისი შეფასების პროცესი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ამ მიზნის მისაღწევად. სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს ეფექტურ ორგანოს, რომელიც ქმნის კომპეტენციის და გამოცდილების სათანადო ბალანსს და აერთიანებს მოსაზრებების და პერსპექტივების მრავალფეროვნებას. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების თანახმად, ლიბერთი ბანკმა დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად ახორციელებს როგორც საკუთარი საქმიანობის, ისე კომიტეტებისა და საბჭოს ინდივიდუალური წევრების ეფექტურობის შეფასებას, როგორც ერთიანი კოლეგიური ორგანოს, ისე დამოუკიდებელი წევრებისა და თავმჯდომარის სათანადო ჩართულობის, კვალიფიციურობის, შესაფერისობისა და ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით. შეფასების პოლიტიკის მიხედვით, ყოველ

სამ წელიწადში შეფასება განხორციელდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, 2022 წელს სამეთვალყურეო საბჭოს ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის მიერ შეფასების განმახორციელებელ დამოუკიდებელ შემფასებლად დამტკიცდა დიდი ოთხეულის წევრი PricewaterhouseCoopers ("PwC"). საბჭოსა და საბჭოსთან არსებული კომიტეტების მუშაობის ეფექტიანობა შეფასდა 5 ძირითადი მიმართულებით და თითოეული მიმართულების ჭრილში და შეფასების შედეგების მიხედვით ბანკი შესაბამისია წამყვან პრაქტიკასთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან. ამასთან, PwC-ს მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული და დანერგილი იქნება ბანკის მიერ უახლოეს პერიოდში.

3.3 სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, სისტემურ კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოსთან უნდა არსებობდეს შემდეგი კომიტეტები:

1. აუდიტის კომიტეტი
2. რისკების კომიტეტი
3. კორპორაციული მართვის კომიტეტი
4. ანაზღაურების კომიტეტი

კომიტეტების რაოდენობის, მათი მოწყობისა და შემადგენლობის მხრივ ბანკი სრულ შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან.

3.3.1 აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ფუნქციების შესრულების მონიტორინგზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე, გარე დამოუკიდებელ აუდიტორებთან კომუნიკაციაზე. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეზე.

აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკის შესაბამისობას მექრთამეობასა და კორუფციასთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულ შიდა პოლიტიკებთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი თვლის, რომ მისი შიდა კონტროლის ჩარჩო ეფექტურია.

კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მაგდა მაღრაძე (თავმჯდომარე);
- მამუკა წერეთელი (კომიტეტის წევრი);
- მურთაზ კიკორია (კომიტეტის წევრი).

აუდიტის კომიტეტის შეხვედრა უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტლურად და, საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები:

- ბანკის საბუღალტრო და საანგარიშგებო წესების განსაზღვრა, ამ წესების დაცვა და ბანკის შიდა აუდიტის მეშვეობით ბანკის აღრიცხვებისა და ჟურნალების შემოწმება;
- მოქმედ კანონმდებლობასთან ბანკის შესაბამისობის ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტის ფუნქციონირების ზედამხედველობა, რომლის მიზანია ბანკში რისკის მართვისა და კონტროლის სისტემებისა და პროცესების ადეკვატურობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება და ბანკის დირექტორთა საბჭოსგან შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის მომსახურების კვარტალური/ნახევარწლიანი რეპორტების დამტკიცება და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
- შიდა აუდიტის მიერ შედგენილი წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცება და გეგმის კვარტლური გადახედვა;
- შიდა აუდიტის ფუნქციის შეფასება, სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა;
- ბანკის გარე აუდიტორებთან თანამშრომლობა;

აუდიტის კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გარე აუდიტორთან თანამშრომლობა, მისი საქმიანობის ხელშეწყობა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ბანკის აქციონერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2020-2023 წლებში ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტს განახორციელებს შპს „იუაი“, რომელიც წარმოადგენს დიდი ოთხეულის წევრს. მომავალი საანგარიშგებო პერიოდებისთვის დამოუკიდებელი გარე აუდიტორის შერჩევა განხორციელდება აუდიტის კომიტეტის ჩართულობით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2022 წლის განმავლობაში აუდიტის კომიტეტი შეიკრიბა სამჯერ.

3.3.2 ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი

2018 წლის დეკემბერში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დააარსა ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის შერჩევის, დანიშვნების, წევრთა როტაციის, მათი მუშაობის ეფექტურობის შეფასების და ბანკის კორპორაციული მართვის საზედამხედველოდ.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია, იგი ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მამუკა წერეთელი (თავმჯდომარე);
- ბრუნო ხუან ბალვანერა (კომიტეტის წევრი);
- მაგდა მაღრაძე (კომიტეტის წევრი).

ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომტიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

- ***ნომინაცია.*** სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოსა და მათი კომიტეტების სტრუქტურის, ზომისა და შემადგენლობის რეგულარული გადახედვა კომიტეტის თავმჯდომარესთან კონსულტაციით, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა განიხილოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და სხვა მაღალი რანგის აღმასრულებელი პირების როტაციის დაგეგმვა მათი საქმიანობის გათვალისწინებით, ბანკისთვის არსებული გამოწვევების, შესაძლებლობების და სამომავლოდ საჭირო უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
- კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების ჩატარება და წარმოქმნილი რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა.

- ***კორპორაციული მართვა.*** კომიტეტი უზრუნველყოფს საუკეთესო კორპორაციული მართვის პრაქტიკის დანერგვას და მისი მუდმივ გაძლიერებას, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკების შემუშავებას და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენას.
- მონიტორინგს უწევს განვითარებად ტრენდებს, ინიციატივებს და საუკეთესო პრაქტიკას კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით, აფასებს აღნიშნული ტრენდების, პრაქტიკის გავლენას/თავსებადობას ბანკთან და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს.
- პერიოდულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოსთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და ეთიკას და სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს შესაბამის რჩევებს.
- გადახედავს და განიხილავს შიდა შემოწმებასთან ან/და მოკვლევასთან მიმართებაში არსებულ საჩივრებს, რომელიც განხორციელდა შესაბამისობის სამსახურის ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ, ქცევისა წესებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევების ამოცნობის ან/და თავიდან არიდების მიზნით, აგრეთვე, ამ დარღვევებზე გავრცელებულ დისციპლინურ ზომებს და სხვა სანქციებს.
- სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აცნობებს მისი კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე აქტივობების შესახებ და აფასებს კომიტეტისთვის მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას.

2022 წლის განმავლობაში ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი ოფიციალურად შეიკრიბა ორჯერ.

3.3.3 რისკების მართვის კომიტეტი

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა/პროცედურების ზედამხედველობასა და შესაბამისობაზე, ასევე რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის განსაზღვრაზე, ბანკის წინაშე არსებული ყველა რისკის ტიპის მიხედვით.

კომიტეტი დახმარებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს და აძლევს რეკომენდაციებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის, რისკის კონტროლის ფუნქციების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასების მიმართულებით, კონკრეტული ტიპის საოპერაციო, საკრედიტო და სხვა ტიპის რისკების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით.

რისკების კომიტეტი ასევე ატარებს ბანკის რისკის მართვისა და მიტიგაციის პოლიტიკა-პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მთლიანობაში ბანკის შიდა კონტროლის საერთო ჩარჩო ეფექტურია.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. კომიტეტის წევრები არიან:

- ბრუნო ხუან ბალვანერა (თავმჯდომარე);
- მამუკა წერეთელი (კომიტეტის წევრი);
- მურთაზ კიკორია (კომიტეტის წევრი).

კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან და კომიტეტის წევრთა უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები. ამ მხრივ, ბანკი სრულ შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან.

რისკების კომიტეტის სხდომა უნდა ჩატარდეს არანაკლებ კვარტლურად, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს შესაძლოა მოწვეულ იქნას კომიტეტის რიგგარეშე სხდომა.

რისკების კომიტეტის მთავარი ფუნქციები და ძირითადი პასუხისმგებლობებია:

- რისკების მართვის ანგარიშგების რეგულარულად დამტკიცება;
- რისკის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის კონტროლი, მათი თანმიმდევრულობა და შესაბამისობა ბანკის სტრატეგიასთან, კაპიტალსა და ფინანსურ გეგმებთან. აღნიშნული მიმართულებით კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის, ასევე ბანკისთვის რელევანტური ყველა ტიპის რისკის კონტროლი: საკრედიტო, საოპერაციო, საბაზრო, რეპუტაციული და სხვა ტიპის რისკების მართვის სტრატეგიები, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა რისკის დასაშვებ დონესა და კულტურასთან;
- რისკის აპეტიტთან შესაბამისობის ანგარიშგებების განხილვა, რისკის დასაშვები დონიდან თითოეულ გადაცდომასა და შერჩეული ქმედების ადეკვატურობაზე;
- კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP) ანგარიშგების განხილვა და დამტკიცება;
- რისკების დირექტორის (CRO) ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის კონტროლი, მისი საქმიანობის შეფასება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნისა და/ან გათავისუფლების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა.

რისკების კომიტეტი 2022 წლის განმავლობაში შეიკრიბა სამჯერ.

3.3.4 ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის ადეკვატური და ეფექტური ანაზღაურების სისტემის შექმნაზე და მისი გამართულად ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. იგი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- მურთაზ კიკორია (თავმჯდომარე);

- ბრუნო ხუან ბალვანერა (კომიტეტის წევრი)
- მაგდა მაღრაძე (კომიტეტის წევრი).

ანაზღაურების კომიტეტი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან და მასში წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრების საკმარისი რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოში ახალი წევრის არჩევის შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭო ნომინაციის და კორპორაციული მართვის კომიტეტი დაკომპლექტდა იმგვარად, რომ კომიტეტის შემადგენლობა სრულად შეესაბამება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს.

ანაზღაურების კომიტეტი ტარდება წელიწადში არანაკლებ ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის რიგგარეშე სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას ნებისმიერ დროს.

ანაზღაურების კომიტეტის მთავარი ფუნქციები და პასუხისმგებლობებია:

- ანაზღაურების პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და მარეგულირებლის მიერ დამტკიცებულ შესაბამის რეგულაციებთან;
- მატერიალური რისკის ამღებ პირთა სიის რეგულარულად გადახედვა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების წარდგენა;
- არაფულადი სახით ანაზღაურების სქემის განხილვა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების გაცემა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის რეკომენდაციების გაცემა ბანკის ანაზღაურების პოლიტიკით გათვალისწინებული პირების ანაზღაურების შესახებ;
- მატერიალური რისკის ამღებ პირთა საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესრულების შეფასება;
- ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის გამჟღავნების პროცესის ხელმძღვანელობა.

2022 წლის განმავლობაში ანაზღაურების კომიტეტი შეიკრიბა ერთხელ.

3.3.5. კომიტეტების როლი კორპორაციულ მართვაში

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობების შესრულების ხელშეწყობის, მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია კომიტეტები, რომლებზეც გარკვეულწილად დელეგირებულია სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები სხვადასხვა მიმართულებით. კომიტეტის საქმიანობა კონცენტრირებულია კონკრეტული მიმართულებით, რაც ზრდის ექსპერტული ჩართულობისა და ხარისხობრივი შესრულების მაჩვენებლის დონეს. კომიტეტების ჩართულობის გაზრდა, მათი პროაქტიულობა ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, 2020 წელს სამეთვალყურეო საბჭოზე დამტკიცდა კონკრეტული ანგარიშგებების/რეპორტების კალენდარი, რომლის დანერგვაც დაიწყო 2020 წლის მიწურულს. 2021 წლიდან აუდიტისა და რისკების კომიტეტების სხდომები ტარდება ფიზიკური შეხვედრის ფორმატში, კომიტეტების ინფორმირებულობა, ჩართულობა და საზედამხედველო კონტროლი გახდა ბევრად ნაყოფიერი და პროდუქტიული. პერიოდულად, ნომინაციისა და

კორპორაციული მართვის კომიტეტის შუამდგომლობით, ხორციელდება კალენდრით გათვალისწინებული ანგარიშგებების გადახედვა და რეკომენდაციების გაცემა ბანკის მენეჯმენტისთვის კომიტეტების ზედამხედველობის სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით დამატებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულის ფარგლებში კომიტეტები ანგარიშგებების სახით იღებენ ინფორმაციას ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რაც ხელს უწყობს მათი ინფორმირებულობის გაზრდას, ჩართულობას და მმართველობის ორგანოებს შორის ჯანსაღი და ეფექტური ანგარიშგებისა და კომუნიკაციის სისტემის უზრუნველყოფას.

3.4 დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკი აცნობიერებს დირექტორთა საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციების, გამოცდილების და დივერსიფიცირებულობის სწორ ბალანსს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

3.4.1 დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობების შესახებ“ და საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრავს მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც კომპანიის საქმიანობის განხორციელებისთვის მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს პასუხისმგებლობები კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობასა და აღმასრულებელ უფლებამოსილებას შორის. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი (Chief Executive Officer - “CEO”) და დირექტორები. გენერალური დირექტორი და თითოეული დირექტორი დანიშნულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მართვის ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ბანკს. ყველა დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია შეიმუშაოს, წარმოადგინოს და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სტრატეგიას და საერთო კომერციულ მიზნებს, რომლებსაც ის განახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოსთან მჭიდრო კომუნიკაციით. გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს დანარჩენი წევრები პასუხისმგებელნი არიან სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

31 დეკემბერი2022	დირექტორთა საბჭოს წევრები
გენერალური დირექტორი	ბექა გოგიჩაიშვილი
ფინანსური დირექტორი	ვახტანგ ბაბუნაშვილი
რისკების დირექტორი	გიორგი გვაზავა

3.4.2 დირექტორთა საბჭოს განათლება და გამოცდილება

დირექტორთა საბჭოს წევრებს გააჩნიათ მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის, რისკების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, საგადასახადო და სამართლებრივი საკითხების, მენეჯმენტის და ხელმძღვანელობის, კორპორაციული მართვისა და მარკეტინგის კუთხით. ისინი გამოირჩევიან ადგილობრივი და რეგიონალური ეკონომიკური და საბაზრო პირობების გონივრული გააზრების უნარებით, სამართლებრივი და საზედამხედველო გარემოს სიღრმისეული ცოდნით. მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკში გრძელვადიანი ღირებულების შექმნის კუთხით.

ბექა გოგიჩაიშვილი

უნარები და გამოცდილება: ბექა გოგიჩაიშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრად აირჩიეს 2020 წლის ოქტომბერში. იმავე წლის ნოემბრიდან იგი ასევე აირჩიეს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წევრად. ბექას გააჩნია მრავალმხრივი და გამორჩეული გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით. ბექას დიდი წვლილი მიუძღვის სამეთვალყურეო საბჭოსა და საბჭოს კომიტეტების როლის გაძლიერებასა და დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. სწორედ სამეთვალყურეო საბჭოში მისი არჩევის შემდეგ დაიწყო საბჭოსა და მენეჯმენტის გაერთიანებული პერიოდული შეხვედრები, გაუმჯობესდა საბჭოს მიერ მენეჯმენტის კოორდინაცია და ზოგადი ხელმძღვანელობა, ეფექტური გახდა მენეჯმენტის შესრულების კონტროლი და კომიტეტებთან შესაბამისი რეპორტინგი. მის პროფესიულ კარიერაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების მენეჯერის პოზიცია ჰანიველ პარტნერს ჯორჯიაში, ინვესტიციებისა და აქტივების მართვის კომპანიაში, რომელიც დღეისათვის მართავს ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორში. 2017 წლამდე ბექა მუშაობდა საპარტნიორო ფონდში, სადაც მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავდა საპარტნიორო ფონდის მიერ დასაფინანსებელი პროექტების ფინანსურ ანალიზსა და რისკების შეფასებას და შესაბამისად, დიდწილად განაპირობებდა საპარტნიორო ფონდის წარმატებულ საინვესტიციო საქმიანობას. ბექას ასევე გააჩნია გამოცდილება საბანკო სექტორში. 2013-2014 წლებში იგი მუშაობდა თიბისი ბანკში, სადაც უშუალოდ ახორციელებდა რეპორტინგს და ანგარიშგებას როგორც შიდა მიზნებისთვის, ისე საზედამხედველო შესაბამისობისთვის. 2022 წლის 29 აპრილს ბექამ დატოვა სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიცია ხოლო 29 ივნისიდან დაინიშნა ბანკის გენერალურ დირექტორად, სადაც განახლებული ენერგიითა და ხედვებით განაგრძობს ბანკის მართვას ამჯერად უკვე დირექტორთა საბჭოს წევრისა და გენერალური დირექტორის პოზიციიდან.

განათლება: ბექა არის სასექსის უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებული მენეჯმენტისა და ფინანსების მიმართულებით. 2010 წელს ბექამ ასევე დაამთავრა კავკასიის უნივერსიტეტი და ფლობს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ფინანსების სპეციალობით.

ვახტანგ ბაბუნაშვილი

უნარები და გამოცდილება: ვახტანგ ბაბუნაშვილი ლიბერთი ბანკის გუნდს შემოუერთდა 2020 წლის ივლისში, ფინანსური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. 2021 წლის თებერვლიდან მან შეცვალა დავით წიკლაური გენერალური დირექტორის მოადგილედ, ფინანსური დირექტორის პოზიციაზე. ვახტანგს ფინანსურ სექტორში მუშაობის თითქმის 20 წლიანი გამოცდილება გააჩნია. მისი პროფესიული კარიერა დაიწყო საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფით“, რის შემდეგაც მას არაერთი მენეჯერული პოზიცია ეკავა ბანკ რესპუბლიკაში (ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი), თიბისი ბანკსა და საქართველოს ბანკში. თიბისი ბანკში იგი იყო ფინანსური დირექტორის მოადგილე, სადაც ხელმძღვანელობდა ფასდადების მოდელების განვითარებას საცალო, მცირე და საშუალო, კორპორატიული სეგმენტის კრედიტების მიმართულებით, ხელმძღვანელობდა ორგანიზაციული რისკების მართვას და ფინანსური რისკების მენეჯმენტს.

განათლება: ვახტანგი ფლობს INSEAD-ის MBA ხარისხს, არის კავკასიის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებული ფინანსების სპეციალობით და მოწვეული ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტში საბანკო და ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტის მიმართულებით.

გიორგი გვაზავა

უნარები და გამოცდილება: გიორგი გვაზავამ ბანკის დირექტორთა საბჭოში დავით აბაშიძე ჩაანაცვლა. გიორგი არის საბანკო სექტორის პროფესიონალი, მთელი მისი პროფესიული კარიერა ეთმობა ფინანსურ და კონკრეტულად საბანკო სექტორს, სადაც ძირითად იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციას რისკების მართვის მიმართულებით. მას საქართველოს წამყვან ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობის 15 წლიანი წარმატებული გამოცდილება აქვს. გიორგიმ კარიერა დაიწყო „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციიდან და მას შემდეგ ეკავა სხვადასხვა მენეჯერული და ტოპ მენეჯერული პოზიციები. „ლიბერთი ბანკის“ გუნდთან შემოერთებამდე გიორგი გვაზავა იყო „ვითიბი ბანკი საქართველოს“ რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვითიბი ბანკი საქართველოს“ საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვას.

განათლება: გიორგი გვაზავა ფლობს ედინბურგის ბიზნეს სკოლის (EBS) მაგისტრის ხარისხს და არის CFA (Level 1) მფლობელი.

3.4.3 დირექტორთა საბჭოს ფუნქციები

ბანკის ყოველდღიური საქმიანობების განხორციელებთან ერთად, დირექტორთა საბჭოს მთავარი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ:

- აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის შედგენა;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის წლიური ბიზნეს გეგმის, მათ შორის ბიუჯეტის, მოგების და ზარალის პროგნოზის და ბანკის საინვესტიციო გეგმის წარდგენა;
- სესხების გაცემის, ანგარიშსწორებების, დაფინანსების, სალარო მომსახურებების, ბანკის ფულადი სახსრების და ფასეულობების აღრიცხვის და ანგარიშგების, შიდა კონტროლის და აღრიცხვის ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის სათანადო მომსახურებას კლიენტებისთვის;
- ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზება და ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტიდან ან გარე შემოწმებებიდან მიღებული ინფორმაციის გადახედვა, ასევე ფილიალის/სერვისცენტრის ხელმძღვანელი პირების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- პროცედურების, შინაგანაწესის, პროდუქტებისა და მომსახურების პირობების, სხვა შიდა დოკუმენტების შემუშავება;
- გადაწყვეტილების მიღება პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, ტრენინგის და ანაზღაურების შესახებ (იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებისა და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ანაზღაურების კომიტეტი);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკის მართვის პრინციპების მონიტორინგი და ბანკის რისკის პროფილის რისკის აპეტიტის (Risk Appetite Statement – „RAS“) განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

დირექტორთა საბჭო ასევე არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ყველა იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურად არ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოსთვის და/ან აქციონერთა საერთო კრებისთვის.

3.4.4 დირექტორთა საბჭოს საქმიანობა და კრებები

დირექტორთა საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალურად წარმოადგინოს ბანკი ნებისმიერი პირის წინაშე. ნებისმიერი გარიგება ან ბანკის ნებისმიერი შიდა რეგულაცია, ბრძანება ან ინსტრუქცია შეიძლება დამოწმდეს გენერალური დირექტორის ხელმოწერით ან დირექტორთა საბჭოს ყველა დანარჩენი წევრების ხელმოწერებით. გენერალურ დირექტორს შეუძლია მიანიჭოს უფლებამოსილება სხვა დირექტორებს და შესაბამის პირებს, დამოუკიდებლად წარმოადგინონ ბანკი სხვადასხვა გარიგებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს დირექტორთა საბჭოს სხდომებზე. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებები საქმიანობის მიმართულებების მიხედვით დელეგირებულია

დირექტორთა საბჭოსთან არსებულ კომიტეტებზე, ხოლო უშუალოდ დირექტორთა საბჭო იკრიბება მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.
მთლიანობაში 2022 წლის განმავლობაში დირექტორთა საბჭო შეიკრიბა ცამეტჯერ და გადაწყვეტილებები მიიღო თანამშრომელთა/მომსახურების ხელშეკრულებით მყოფ პირთა ბონუსირების სქემის, პრინციპებისა და გადახდის სისტემის, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების პორტფელის მართვის პროცესის, შიდა კრედიტის ამოღების ეთიკის კოდექსისა და ბანკისათვის სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა-პროცედურების დამტკიცების შესახებ.

3.4.5 დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად აფასებს დირექტორთა საბჭოს საქმიანობებს ბანკის საერთო მიზნების მიღწევის თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ დირექტორთა საბჭოს გააჩნია გამოცდილების და ცოდნის სათანადო ბალანსი და ეფექტურად გააგრძელებს საქმიანობას.

3.4.6 დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

3.4.6.1 საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო რისკის მართვისა და საკრედიტო რისკით გამოწვეული დანაკარგების შემცირების მიზნით, ბანკში არსებობს საკრედიტო კომიტეტების რამდენიმე დონიანი სისტემა, რომელიც განიხილავს კორპორატიულ, მიკრო, მცირე და საშუალო, საცალო და ბითუმი ლომბარდის საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს და იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საკრედიტო პროდუქტის პირობების დამტკიცებაზე.

ყველა დონის საკრედიტო კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მისთვის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში. საკრედიტო კომიტეტების იერარქიაში ყველაზე მაღალი დონის კომიტეტის წევრები არიან რისკების დირექტორი და გენერალური დირექტორი ან შესაბამისი ბიზნეს მიმართულების დირექტორი. საკრედიტო რისკის მართვის ფუნქცია წარმოდგენილია ნებისმიერი რგოლის კომიტეტში თავმჯდომარის უფლებამოსილებით და სარგებლობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ ვეტოს გამოყენების უფლებით.

3.4.6.2 საოპერაციო რისკების კომიტეტი

რისკების ადრეული იდენტიფიკაციის, რისკის ეფექტური მართვისა და მონიტორინგის მიზნით, ბანკის დირექტორთა საბჭოსთან არსებობს საოპერაციო რისკების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საოპერაციო რისკების ჩარჩოს შემადგენელი დოუმენტების მომზადებაზე, საოპერაციო რისკის მართვის ფუნქციის ეფექტურობაზე და შესაბამისი რეკომენდაციების სამეთვალყურეო საბჭოსთვის მიწოდებაზე. კომიტეტი უზრუნველყოფს საოპერაციო რისკის მართვის ფუნქციის დამოუკიდებელ და შეუფერხებელ საქმიანობას.

კომიტეტის თავმჯდომარეა რისკების დირექტორი. კომიტეტი იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ, ან საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირად.

3.4.6.3 ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი

ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობაზე მონიტორინგის განხორციელებისა და ბანკის ინფორმაციული აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად ბანკის დირექტორთა საბჭოსთან არსებობს ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების ჩარჩოზე და რისკის მართვის სისტემაზე, რისკის მართვის სატრატეგიის შესაბამისობაზე ბანკის მიზნებთან, აფასებს ძირითად რისკის პოლიტიკებსა და ზოგადად, რისკის მართვას.
კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია ინფორმაციული და კიბერ საფრთხეების იდენტიფიცირება და აღნიშნული მიმართულებით ბანკის დაცულობის კონტროლი, კიბერ საფრთხეებზე სათანადო რეაგირების ზომების არსებობა.

გენერალური დირექტორი, რისკების დირექტორი, ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი ოფიცერი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელი პირი წარმოადგენენ კომიტეტის წევრებს. კომიტეტის წევრებად დამატებით შესაძლოა მოწვეულ იქნან შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი პირები და ბანკის სხვა თანამშრომლები. კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ.

3.4.6.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების აღმასრულებელი კომიტეტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ბანკში არსებული პროცესების ოპტიმიზაციის, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციების მართვისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების აღმასრულებელი კომიტეტი.

კომიტეტი განიხილავს ბანკის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ იდეებს, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართულობა, განიხილავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში შესულ განაცხადებს ახალი პროექტების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მათ პრიორიტეტულობას, განიხილავს ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, ახდენს პოტენციური რისკებისა და ეფექტური საქმიანობის ხელშემშლელი გარემოებების იდენტიფიცირებას.

კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი, ხოლო წევრები დირექტორთა საბჭოს წევრები და შესაბამისი მიმართულების მენეჯერები. კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ.

3.4.6.5 მარკეტინგისა და გაყიდვების კომიტეტი

ბანკის საქმიანობის მარკეტინგული დაგეგმვის, ცნობადობის გაზრდის, ბანკსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს მარკეტინგისა და გაყიდვების კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს პლატფორმას, ხოლო კომიტეტის სხდომები საშუალებას, რომლის გამოყენებითაც ბანკის ბიზნესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები მარკეტინგის თანამშრომლებთან ერთად უზრუნველყოფენ მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვას. კომიტეტი ასევე ორგანიზებას უწევს ბანკის სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას და ბანკის ბრენდის განვითარებასთან დაკავშირებით მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას, მისი განხორციელებისთვის საჭირო საშუალებების იდენტიფიცირებას.

კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ და ახდენს როგორც მიმდინარე საკითხებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრას, ისე უკვე განხორციელებული კამპანიებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეჯამებას და მიღწეული შედეგის შეფასებას.

3.4.6.6 აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი (ALCO)

ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის, საზედამხედველო და პრუდენციული ნორმატივებისა და მოთხოვნების დაცვით საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის მაქსიმიზაციის მიზნით დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი.

კომიტეტი უზრუნველყოფს ბანკის სახსრების ოპტიმალურ მართვას, პრუდენციული მოთხოვნების დაცვის კონტროლს, საბანკო ოპერაციების შემოსავლიანობის ზედამხედველობას რესურსების ღირებულების გათვალისწინებით და შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას. გარდა ამისა, კომიტეტი ასევე ახორციელებს სხვადასხვა სახის რისკის (სავალუტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი) კონტროლსა და ანალიზს, მათ შორის საპროცენტო რისკის დონის შეფასებას, ლიკვიდობის შენარჩუნებისთვის აუცილებელი მოცულობის აქტივების შენარჩუნების კონტროლს.

კომიტეტის თავმჯდომარეა გენერალური დირექტორი, ხოლო წევრები დირექტორთა საბჭოს წევრები და ფინანსების, ხაზინის, ორგანიზაციული რისკების მართვის ერთეულების ხელმძღვანელი პირები. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

3.4.6.7 ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) კომიტეტი

ფულის გათეთრების/უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობისა, ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის დირექტორთა საბჭოსთან ფუნქციონირებს AML კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მისი შესრულების კოორდინაციაზე.

კომიტეტი განიხილავს და შეიმუშავებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით ბანკის შიდა დოკუმენტების პროექტებს, განიხილავს კლიენტთა რისკის კატეგორიის ცვლილებას და კლიენტის რისკის კატეგორიის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშის გახსნაზე ან ოპერაციების წარმოებაზე.

კომიტეტის თავმჯდომარე არის რისკების დირექტორი.

3.5 რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ

ბანკის მეანაბრეების და კრედიტორების ინტერესების დაცვის და ბანკის მიერ აფილირებულ პირებთან გარიგებების ადეკვატური ზედამხედველობის და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, გადწყვეტილების მიმღები თანამშრომლები თავისუფალნი უნდა იყვნენ ინტერესთა ფაქტობრივი ან პოტენციური კონფლიქტებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე ან ქმედებებზე და ხელი შეუშალოს ბანკის ინტერესების დაცვის მიზნით ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული მიზნისთვის, სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულება, რომელიც არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის გაცხადებასა და მის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის, ბანკი ადგენს დაკავშირებულ/აფილირებულ მხარეებს, ადგენს ასეთი დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალს, ახდენს ასეთი ჩამონათვალის კლასიფიკაციას, განსაზღვრავს ტრანზაქციის განხორციელების პროცესს, კონტროლის/ანგარიშგების განხორციელების წესს და გარიგებების სახეებსა და ლიმიტებს, რომლის დამტკიცების ექსკლუზიური კომპეტენცია ეკუთვნის სამეთვალყურეო საბჭოს.

ბანკის აუდიტის კომიტეტი და სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად მოწოდებულია დახვეწოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის შიდა პროცესი რაც მიმართულია დაკავშირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე სათანადო კონტროლისა და ანგარიშგების, ასევე აღნიშნული ტრანზაქციების მიმართ გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

3.6 სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

2017 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ რაც ბანკში განხორციელდა კონტროლის ცვლილება და Georgian Financial Group B.V.-მა (ყოფილი European Financial Group B.V.) იყიდა ბანკის განთავსებული აქციების 74.64% და შესაბამისად გახდა ბანკის მაჟორიტარი აქციონერი, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული წესით, Georgian Financial Group B.V.-მ ("GFG") გამოაცხადა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების პირველი ეტაპი დასრულდა 2018 წლის თებერვალში. საბოლოოდ, მინორიტარი აქციონერებისგან GFG-იმ გამოისყიდა 334 მილიონზე მეტი ჩვეულებრივი აქცია და 2.25 მილიონი პრივილეგირებული აქცია.

გარდა სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა, 2018 წელს GFG-მ მისი კუთვნილი 1,573,680 პრივილეგირებული აქცია დააკონვერტირა 31,600,000 ჩვეულებრივ აქციად. სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და პრივილეგირებული აქციების კონვერტაციის შედეგად GFG-ის ბენეფიციარი მფლობელები, ფიზიკური პირები ირაკლი ოთარ რუხაძე, იგორ ალექსეევი და ბენჯამინ ალბერტ მარსონი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაპირდაპირ ჯამურად ფლობდნენ ბანკის განთავსებული აქციების 91.985%-ს (2017: 74.64%). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით GFG-ის ჯამურად პირდაპირი/არაპირდაპირი პროცენტული მონაწილეობა ბანკის კაპიტალში გაიზარდა 95.99%-მდე, თუმცა აღნიშნულს მნიშვნელოვანი წილის მფლობელ ბენეფიციარ მესაკუთრეთა წილობრივი მონაწილეობაზე გავლენა არ მოუხდენია. 2022 წლის მდგომარეობით ბანკის სადამფუძნებლო სტრუქტურა დარჩა უცვლელი.

3.7 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

ბანკი ფინანსური ანგარიშგების დახურვას და წარდგენას ყოველდღიურად ახდენს როგორც ფასს-ის, ისე სებ-ის მოთხოვნების მიხედვით. ყოველდღიურად ინფორმაციის წარდგენა ხორციელდება როგორც ბანკის შიდა სტრუქტურულ ერთეულებსა და მენეჯმენტისადმი, ასევე სავალდებულო წესით იგზავნება სებ-ში შესაბამისი ახსნა განმარტებებით. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოსა და სებ-ისთვის მზადდება ფასს-ის და სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებული თვიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ყოველწლიურად ბანკი ვალდებულია მოიწვიოს გარე აუდიტი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

4 არაფინანსური ანგარიშგება

ამჟამად, ბანკში გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები რეგულირდება სხვადასხვა შიდა დოკუმენტებით და პროცესებით, მათ შორის ბანკის კორპორატიული სახელმძღვანელოთი, ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებით და KYC და AML პოლიტიკებით. ბანკი აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ახალი კომპლექსური პოლიტიკების შემუშავებაზე.

4.1 სოციალური და დასაქმების საკითხები

4.1.1 სოციალური პასუხისმგებლობა

სოლიდარობის ფონდი

2014 წლიდან ბანკი მონაწილეობს სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერის პროგრამაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს 22 წლამდე ონკოლოგიური დაავადების მქონე ახალგაზრდების დახმარებაზე. ეს დახმარება მოიცავს საზღვარგარეთ დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანადაფინანსებას, რაც საქართველოში არაა ხელმისაწვდომი (მაგალითად ღეროვანი უჯრედების გადანერგვა) და, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებში მკურნალობის დაფინანსება, რაც ცდება ჯანდაცვის და პირადი დაზღვევის კომპანიების პროგრამების ფარგლებს.

სოციალური მომსახურების სააგენტო - მოხუცთა პანსიონები და ბავშვთა თავშესაფრები

ლიბერთი ბანკი ყოველწლიურად იღებს სოციალური მომსახურების სააგენტოში დაფიქსირებული ბავშვთა და მოხუცთა პანსიონატების კომუნალური გადასახადების (გაზი, ელექტროენერგია, წყალი) გადახდის პასუხისმგებლობას. ბანკის პროგრამა მოიცავს 54-ზე მეტ დარეგისტრირებულ თავშესაფარს ქვეყნის მასშტაბით და 300-ზე მეტ ბენეფიციარს.

სარგებელი სოციალური ბარათის მფლობელებისთვის:

2019 წლიდან, ლიბერთი ახორციელებს ლოიალობის პროექტს სოციალური ბარათების მფლობელებისთვის. პროექტში ჩართულია 12 პარტნიორი კომპანია. ამ პარტნიორობის ფარგლებში ლიბერთის უფროსი თაობის მომხმარებლები და სოციალური ბარათის სხვა მფლობელები განსაკუთრებული პირობებით სარგებლობენ. მათ შესაძლებლობა აქვთ ისეთ ობიექტებში როგორიცაა, ფარმადეპო, ნიკორა, ევექსი კლინიკები, მეგალაბი, თეატრები და სხვა ობიექტებში ისარგებლონ სპეციალური ფასებით.
2019 წლიდან დღემდე, ლოიალობის პროგრამის ფარგლებში, მომხმარებლების მიერ ჯამურმა დაზოგილმა თანხამ 10,609,239 ლარი შეადგინა.

MY DOC - მოძრავი კლინიკა

ლიბერთის ახალი პროექტი, რომელიც უფროსი თაობის მომხმარებლების საჭიროებებზეა მორგებული 2022 წლის გაზაფხულიდან დაიწყო.
თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა მოძრავმა კლინიკამ - MyDoc, ლიბერთის ექსპრეს მანქანებთან ერთად 167 სოფელი მოიარა და ლიბერთის 1660 მომხმარებელს უფასო სამედიცინო მომსახურება გაწეია გულ-სისხლძარღვოვან და სასუნთქი გზების დაავადებებზე მაღალტექნოლოგიური კვლვევების მიმართულებით. ამ პროექტით ლიბერთიმ მიიღო საერთაშორისო აღიარება და გახდა Global Compact Awards 2022 გამარჯვებული.

მზიურმცოდნე

2022 წელს , ახალი საგანმანათლებლო პროექტი "მზიურმცოდნე" ჩატარდა ლიბერთის მხარდაჭერით. ყოველ შაბათ-კვირას 15 სკოლის მოსწავლე, სპეციალურად მათთვის შექმნილ პროგრამაში ჩაერთო. პროგრამის მიზანია ბუნების, ეკოლოგიის, ცხოველებზე ზრუნვისა და ინკლუზიური გარემოს შესახებ ცოდნის გაღრმავება. პროექტი განხორციელდა ინკლუზიურ კაფე 'მზიურის' ინიციატივით.

ლიბერთისა და Lingwing-ის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ლიბერთის და Lingwing-ის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ლიბერთიმ უზრუნველყო სოციალურად დაუცველი 500 აბიტურიენტის ინგლისურ ენაში მომზადება. პროექტში ჩართვის მსურველებისთვის ხელმისაწვდომი იყო ონლაინ რეგისტრაცია, სწავლაც მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში.

UN Women

2019 წლის 5 დეკემბრიდან დღემდე ლიბერთი UN Women-ის ქალთა გაძლიერების პრინციპების გლობალურ ინიციატივას უერთდება. თანამშრომლობის ფარგლებში, ლიბერთი სრულიად იზიარებს UN Women-ის ხედვასა და პრინციპებს ბანკში დასაქმებული ქალების ეკონომიკური გაძლიერების მხარდასაჭერად.
2022 წლიდან ლიბერთიმ გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქალი მეწარმეებისთვის დაიწყო ფინანსური წიგნიერების სწავლების მოდული. პროექტში ჩართულები არიან ლიბერთის თანამშრომლები.
ასევე ლიბერთი ჩართულია პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს ქალების გაძლიერებას მათთვის ახალი უნარების შეძენის გზით. სასწავლო პროგრამა მოიცავს ფინანსურ აღრიცხვას, ეფექტურ კომუნიკაციას, ადამიანური რესურსების მართვას და იმ საგნებს, რომელიც ქალ მეწარმეებს დაეხმარებათ საკუთარი ბიზნესის მართვაში. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა 148-მა მეწარმე ქალმა.

ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის" მხარდაჭერა

ლიბერთი ბანკმა 2022 წელსაც გააგრძელა ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო გუნდის მხარდაჭერა. ლიბერთის მიზანია - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ასევე საზოგადოებაში არასწორი სტერეოტიპების მსხვრევა. ქალთა ფეხბურთის პოპულარიზაციით ლიბერთი აძლერებს ქალებს.

UNFPA

2020 წლის მაისში, ლიბერთი ბანკსა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.
მემორანდუმის ფარგლებში ლიბერთი UNFPA-სთან მჭიდროდ თანამშრომლობს 60+ მოსახლეობის ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების ხელშეწყობის, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებებით.
UNFPA Georgia და FAO Georgia-სთან ერთად, სოფლად მცხოვრები ქალების ინფორმირებისა და გაძლიერებისათვის, საქართველოს რეგიონებში შეხვედრები მიმდინარეობს. პროექტის მიზანია, სოფლად მცხოვრები ქალების ცნობიერება ავამაღლოთ გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, სათემო მონაწილეობის შესახებ.
2021 წლის ბოლომდე, პროექტის ფარგლებში 500-ზე მეტ მეწარმე თემის ლიდერ ქალთან განხორციელდა შეხვედრები სხვადასხვა რეგიონებში.
პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი ფინანსური განათლებაა - იმ საბანკო სერვისების შესახებ ინფორმირება, რაც სოფლის მეურნეობაში ჩართულ ქალებს საკუთარი ბიზნესის განვითარებაში ეხმარებათ. პროექტი დასრულდა 2022 წლის ივნისში.

60+ კლუბები

„60+ კლუბები“ შეიქმნა რუსთავსა და ქუთაისში. პროექტი გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ინიციატივაა, რომელიც აქტიური დაბერების პოლიტიკის განხორციელებას და ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ეს არის წევრობაზე დაფუძნებული კლუბი, უფროსი თაობის სოციალიზაციის სივრცე, რომელიც აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობისთვის, ჰარმონიული და მრავალფეროვანი გარემოს შექმნას ისახავს მიზნად. უფროს თაობაზე ზრუნვის ფარგლებში, ლიბერთის მხრიდან დიდი ყურადღება ასევე ეთმობა ფინანსური განათლების მიღებას და ახალი უნარების შეძენას.

მოგზაური 60+

Well Being Georgia-სთან ერთად დავიწყეთ ახალი პროექტი - “მოგზაური 60+”, რომელიც მოიცავს აქტიურ და საინტერესო დასვენებას, არტ თერაპიას და ახალი მეგობრების შეძენას. 2022 წელს პროექტი დასრულდა.

გადამზადების პროგრამა რეგიონებში მცხოვრები ქალებისთვის

ტესტერებზე, ფრონტ-ენდ დეველოპერებსა და UX/UI დიზაინერებზე მოთხოვნა დღეს განსაკუთრებით მაღალია, თუმცა ამ სფეროებში დასაქმებულებს შორის იშვიათად შეხვდებით ქალებს. ამ სტერეოტიპის დასანგრევად BTU-სთან ერთად შევქმენით 3-თვიანი უფასო კურსი პროგრამირებასა და კოდინგში. კურსის ფარგლებში ბათუმში, თბილისსა და თელავში მცხოვრები 75 ქალი გადავამზადეთ და საშუალება მივეცით უფასოდ შეესწავლათ დღესდღეობით ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები.

ლიბერთი ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის სტრატეგიული პარტნიორი

კონკურსი მიზნად ისახავს უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებას და დაინტერესების გაზრდას საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) დარგების მიმართ. მესამე ადგილზე გასული გუნდი - „Mad Scientist' ლიბერთის დაფინანსებით ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN), შვეიცარიაში გაემგზავრება.
'Mad Scientist' გუნდმა შექმნა ინოვაციური პროექტი - „უნივერსალური მეგობარი სახლი', რომელიც შშმ პირებს გაუადვილებს სახლსა და სხვა სივრცეებში უსაფრთხოდ გადაადგილებას.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

ლიბერთი 2017 წლიდან მხარს უჭერს გლობალურ კამპანიას - 'მასწავლებლის ეროვნული ჯილდო' და ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას. ჯილდოზე წარდგენილი იყო 3364 მასწავლებელი. მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდა 6 მასწავლებელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

შშმ პირების მისაწვდომობის პროექტი

2022 წელს ლიბერთიმ დაიწყო შშმ პირთა მისაწვდომობის პროექტი, რომელიც დაფუძნებულია შშმ პირთა გაეროს კონვენციის სტანდარტებზე. პროექტის პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანების უფლებებისთვის".
პროექტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს და მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა გაწერილია 3 წლის პერიოდზე.
პროექტის ძირითადი მიმართულებები:

- შშმ პირებისთვის ბანკის ფიზიკურ მისაწვდომობის გაუმჯობესება
- ბანკის სერვისების მისაწვდომობის გაუმჯობესება
- შშმ პირთა დასაქმება
- ლიბერთის თანამშრომლების გადამზადება
- ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა თემასთან დაკავშირებით
- ადვოკატირების პროცესი არასამთავრობო სექტორის ჩართულობით

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის (RDYE)

RDYE არის 3.5 წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს მერსი ქორფსის წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) დაფინანსებით.
პროექტის განხორციელების მხარდამჭერები არიან ლიბერთი ბანკი და სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი.
პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

პროექტის აქტივობები ფოკუსირებული იქნება ახალგაზრდების სოციალურ და ეკონომიკურ მონაწილეობაზე, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობაზე.
ლიბერთი ბანკმა სპეციალურად პროექტის სასწავლო პროგრამისთვის შექმნა ფინანსური წიგნიერები სამ ეტაპიანი სასწავლო მოდული.
1,500 ახალგაზრდა გაივლის ლიბერთის მიერ მომზადებულ ფინანსური წიგნიერების სასწავლო მოდულს.

გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

2022 წლის ივნისის თვიდან ლიბერთი „გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის“ (Global Compact Network Georgia) წევრი გახდა და გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპსა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს გაითვალისწინებს თავის საქმიანობაში.

4.1.2 დასაქმების საკითხები

ბანკში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,606 თანამშრომელი იყო, აქედან 1,422 მამრობითი და 3,184 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ორგანიზაციაში გენდერული თანასწორობაა, თანაბარი მოპყრობა დასაქმებასა და პროფესიულ სფეროში. ბანკში დასაქმებულია 27 შეზღუდული შესაძლებლობის თანამშრომელი (არ ექვითებათ საშემოსავლო გადასახადი), მოქმედებს კერძო დაზღვევა.

ბანკი ზრუნავს დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაზე, რაც თავისმხრივ ზრდის თანამშრომელთა მოტივაციას, ხელს უწყობს მიმდინარე პროცესების დახვეწას, ავტომატიზაციას და მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ასევე ბანკში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს როგორც დაქვემდებარებულ თანამშრომელს, ასევე ზემდგომს განსაზღვრონ შეფასების თვლადი კრიტერიუმები და მიიღონ აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უკუკავშირი. პროცესი გამჭვირვალეა და მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისკენ.

2020 წლის ბოლოს ბანკში დაიწყო წინა ხაზის საკრედიტო მიმართულებისთვის სტაჟირების/მენტორინგის პროექტი. თითოეულ სტაჟიორს ჰყავს მენტორი, რომელიც გამოცდილი თანამშრომელია და სტაჟირების პერიოდში პასუხისმგებელია სტაჟიორისთვის გამოცდილების გადაცემასა და პოზიციისთვის საჭირო უნარების განვთარების მხარდაჭერაზე. პროგრამა 3 ეტაპისგან შედგება:

- On bording ტრენინგი ჩვენს სასწავლო ცენტრში;
- 20 დღიანი On job ტრენინგი/სწავლება ფილიალებში წინასწარ განსაზღვრული და გაწერილი გეგმის მიხედვით;
- 8 დღე თეორიული ტრენინგი სასწავლო ცენტრში.

შეფასება ხდება ყოველი კვირის ბოლოს და შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შემდეგ საქმდებიან ლიბერთი ბანკში.

2022 წელს გადავამზადდა 72 მენტორი და 135 სტაჟიორი, აქედან 78 დასაქმდა ლიბერთი ბანკში.

2022 წლიდან ვთანამშრომლობთ პროფესიულ სასწავლებელთან:

- კოლეჯების საფინანსო სერვისების სტუდენტებისთვის დავგეგმეთ გაცნობითი ექსკურსია-ვიზიტი ბანკის ფილიალებში;
- რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტებს ვუტარებთ ონბონდინგის შეხვედრებს ტრენინგცენტრში და შემდეგ უშვებთ ფილიალებში სტაჟირებაზე. სტაჟირების დასრულების შემდეგ ხდება საუკეთესოების დასაქმება;
- აქტიურად ვთანამშრომლობთ IT მიმართულების სტუდენტებთან - ვატარებთ შეხვედრებს, ვრთავთ სტაჟირების პროგრამაში შემდგომი დასაქმების შესაძლებლობით;
- რამდენიმე უნივერსიტეტში მოეწყო ლიბერთის სიმულაციური სივრცე, რომელიც აღჭურვილია ბანკის ფილიალის იდენტური ინვენტარით;
- ბანკის მხარდაჭერის შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა საფინანსო სერვისების პროგრამა.

ბანკში მოქმედებს კორპორატიული სახელმძღვანელო, რომელშიც დაწვრილებითაა გაწერილი დასაქმებულის უფლება-მოვალეობები, კორპორატიული ეთიკა, კონფიდენციალურობა, უსაფრთხოების და დასაშვები ქმედებების პოლიტიკა, დასაქმებულის სამუშაო და დასვენების დრო, დეკრეტული და სხვადასხვა სახის შვებულებით სარგებლობის წესები.

4.2 გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

სს „ლიბერთი ბანკ“-მა დაამტკიცა გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემის დოკუმენტი, შეიმუშავა ასევე საჩივრებზე რეაგირებისა და ჩართულ მხარეთა მენეჯმენტის გეგმები. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ როგორც შიდა, ასევე გარე მენეჯმენტის დროს, ხდება გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირება, ხდება ისეთი კლიენტების წახალისება, ვინც ემსახურება ე.წ. „ეკო-მეგობრული“, „მწვანე“ ბიზნესის განვითარებას. ბანკს იდენტიფიცირებული აქვს როგორც საკუთარი, ასევე პორტფელში არსებული კლიენტების გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის უსაფრთხოების რისკები და პერიოდულად ამონიტორინგებს და აკონტროლებს მათ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს თანახმად, ბანკს გააჩნია ასევე ქსელის მასშტაბით ოპერირებადი ფილიალების ნარჩენების მართვის გეგმა. ეროვნულ დონეზე მოქმედი ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპის გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხდება ნარჩენის წარმოქმნის პრევენცია, კერძოდ, სამუშაო სივრცეებში პრინტერების რაოდენობა მინიმალურამდეა დაყვანილი, დოკუმენტაცია შეძლებისდაგვარად მასქიმალურად იწარმოება ელექტრონულად ან/და გამოიყენება ფურცლის ორივე გვერდი ამათუიმ საბუთის დაბეჭდვის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, სათაო ოფისი აღჭურვილია ე.წ. „მწვანე ყუთებით“, რომელიც ემსახურება ქაღალდის ნარჩენების რეციკლირებას/ხელმეორედ გამოყენებას. მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ბანკის ბანკომატები აღჭურვილია ორნაბიჯიანი ქვითრის გაცემის ფუნქციით, რაც მომხმარებელს აძლევს არჩევანის საშუალებას, არ დაბეჭდოს ქვითარი და მიიღოს ის ელექტრონული სახით, რაც ასევე ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას ემსახურება. რაც შეეხება ნარჩენებს, რომელთა წარმოქმნა გარდაუვალია, მაგ; პრინტერის ტონერი და კარტრიჯები, ხსენებულს ბანკი იყენებს ხელმეორედ (მათი გადატენვის შემდგომ).

სს „ლიბერთი ბანკი“ აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსურ ინტიტუტებთან გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით ცნობიერების ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის უზრუნველსაყოფად. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, European Investment Bank (EIB) -მა ლიბერთის, როგორც გარემოსდაცვითი კუთხით აქტიურ პარტნიორს, ჩაუტარა ტრენინგები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პრინციპების თაობაზე. გარდა საერთაშორისო ფინანსური ინსიტუტებისა, ლიბერთი ბანკი აქტიურ კომუნიკაციაშია „აწარმოე საქართველოსთან“ რათა უფრო მეტად და აქტიურად დაფინანსდეს გარემოს მდგომარეობისა და სოციალური განვითარებისთვის სასარგებლო პროექტები.

სს „ლიბერთი ბანკ“-მა წელს პირველად, განახორციელა მისი ოპერირების შედეგად წარმოქმნილი CO_2 ემისიების ინვენტარიზაცია, სამომავლოდ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით.

სამომავლოდ ბანკი გეგმავს, გაზარდოს აქტივობა ზემოთმოყვანილი საკითხების დარგში, კერძოდ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სისტემატურად ჩატარდება ტრენინგები, ბანკი აპირებს ჩაერთოს „მწვანე“ აქციებში. ლიბერთი ბანკის საიტზე ახლო მომავალში დაემატება გარემოსდაცვითი კონტენტი, რაც ასევე საკმაოდ საინტერესო და ინფორმატიული იქნება ბანკის ერთგული კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

4.3 ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა ბანკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. ბანკი ზედმიწევნით იცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ბანკში არსებული შიდა პროცედურები და პოლიტიკები სრულ შესაბამისობაშია ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან. სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე ხდება სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ბანკი უზრუნველჰყოფს შესაბამისი ზომების მიღებას და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრას, მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

2022 წლის მაისში დამატებით გააქტიურდა „HR ანონიმი“ - ელექტრონულად შესავსები ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ თანამშრომელს ანონიმურად ან არაანონიმურად (თანამშრომლის შეხედულებისამებრ) დააფიქსიროს დარღვევის ტიპი (სექსუალური შევიწროვება, ბულინგი, თაღლითობა, სხვ.), რაზეც შესაბამისი სამსახურების მხრიდან მოხდება ფაქტის მოკვლევა და ზომების მიღება.

HR ანონიმის გააქტიურებასთან ერთად, თანამშრომლებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა ცნობიერების ამაღლების კამპანიები:

- სექსუალური შევიწროვება
- ბულინგი

ასევე დაგეგმილია კამპანიები:

- ფროდი
- ოჯახში ძალადობა

4.4 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკისთვის მნიშვნელოვანია აწარმოოს საქმიანი ურთიერთობა სამართლიანი, ეთიკური და კანონშესაბამისი ფორმით. ბანკის ანტიკორუფციული პოლიტიკის ელემენტები მოცემულია

„კორპორატიულ სახელმძღვანელოში“ და სტანდარტულ შრომით ხელშეკრულებებში. დოკუმენტები განსაზღვრავს ბანკის თანამშრომელთა/დირექტორთა ქცევის წესებს და არეგულირებს საჩუქრის ან სარგებლის მიღების საკითხებს, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მათ საქმიანობას.

ბანკი კორუფციულ რისკებს ასევე აკონტროლებს შესყიდვების პროცესშიც. ბანკის შესყიდვები ხორციელდება სატენდერო პროცედურის დაცვით, რომლის შედეგადაც გადაწყვეტილება მიიღება მიმწოდებლის შესწავლის, ინტერესთა კონფლიქტის ან/და კორუფციული რისკების გამოვლენის და აღმოფხვრის საფუძველზე.

2019 წელს მექრთამეობისა და კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დამტკიცებით და დანერგვით, ბანკი უპირატესობას ანიჭებს შემდეგ ღირებულებებს:

- წინდახედულ და სანდო ქცევას;
- დასაქმებულის პასუხისმგებლიანობის წახალისებას;
- საქმიანობაში გაშლილი მკლავის პრინციპის გამოყენებას, როდესაც გარიგებაში მონაწილე მხარეები არიან დამოუკიდებლები და თანაბარ პირობებში.

პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებას ან/და გადახდას, ისე მის დაპირებას, ქრთამის მოთხოვნას, აღებას ან/და აღების მხარდაჭერას ან წახალისებას ნებისმიერი ფორმით, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ, ისევე როგორც კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს როგორც ფულადი, ისე არაფულადი ღირებულების მქონე საჩუქრის მესამე პირისთვის გადაცემას ან მისგან მიღებას, დაპირებას, ასევე ნებისმიერი დაუმსახურებელი შეღავათის მინიჭებას პირადი გამორჩენის მიზნით ან/და დაკავებული პოზიციის გამოყენებას მატერიალური სარგებლის მიზნით.

4.5 დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის 2022 წლის პილარ 3-ის ანგარიშში რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე:
https://www.libertybank.ge/ka/chven-shesakheb/investorebistvis/pinansuri-inpormatsia/regulatory-financial-reporting-to-the-national-bank-of-georgia
და სებ-ის ვებ-გვერდზე:
https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით.

4.5 დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის 2022 წლის პილარ 3-ის ანგარიშში რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე:
https://www.libertybank.ge/ka/chven-shesakheb/investorebistvis/pinansuri-inpormatsia/regulatory-financial-reporting-to-the-national-bank-of-georgia
და სებ-ის ვებ-გვერდზე:
https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბანკის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ზექა გოგიჩაიშვილი

გენერალური დირექტორი

ვახტანგ ბაბუნაშვილი

ფინანსური დირექტორი

25 მაისი 2023 წ.